

ხმალნი და ზედი

№ 2(13)

სოფელ ბამახაშვილის
ყოვანდნობის სამების სახელობის მადრი
იკეთება 2021 წლის 19 ივნისს



ՏԼՅԹՈՒ

Թոնտոյն յի զմոյի, հեմ զոմոյի
 զոտ պիոնցա՝ մա զսիյցանմա;
 յիա մսիքէ լիճուր՝ եթիճոնտոյն
 զամեցնանցնա իշյոնար լրամա.
 Ե լրա մնոմնացն թա յիո միհրոն,
 մոհոյիո նյրոյիսնա;
 լոմիտսն Թոնտոյն զհանհայլեմ,
 հեմ եհիցսպոյ իոնա յիսնա.
 Թորոն լոմիտոն Լայսիտոնցան
 Թոնտոյն լոյոյոն լոյրեւո զսպեմո,
 հեմ յիոնա մեմիթ զոյլ
 փայնցանա թա Լոնսիպեմո;
 յիոն ելուպեո մահրոյն ելուպեոսթ,
 Եիլթոյն մոն լիսնիլոտ Լուլո,
 մոն Երոտ թա պիթրեմոտ
 Թաթրացն միլիոյո զսպեո...



մամոն լորթամ նամիկնալո
 տպ չրոմոպոյն զսպեմո լոյրեւոնա,
 մամոն զոմոյի, մեւեւր մամոն
 մեւնեմիթ յիսնար լիսնիլոտ լիլմեւոնա!

ԼՐՅՈՒ

մամաւ, հիյնեւ, հեմլուրթա եսի լրաս մոնա!
 մպեմեւրիյոլո, Լեմեմոյիո զրոյոյսի Եի երոնա:
 յիլթա Լոմրոհոն, յիլթ թորթոն տեւցնա յի մոնթա,
 յի մոնթա, սմոտ Եիպիլթե-զմիլ Ե լուրթո եմոնթա...
 յիաթր միլիպիլ Ե զանմոնալթոյն լրոտ հիլմո Լուլո,
 Եիցնեմ նամիլեմոն Լույոյսիպեոտ չրոմեւեւ զսպեո,
 հեմ միլիտոյոնար, հեմլուտ տպերա զսպեմ Լանցսիո միլեմ,
 զտեւզրոյ: Եիպերոյ, - յի ոլթոն, լոմիտեւ, Լսն ոլթան!

„ხორნახ უჯი“

ოქტომბერი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2022 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

პროზა

ეკატერინე ფავლენიშვილი	
წეროები	2
იაგორა	3
ნინია	4
ხელთათმანი	5

პოეზია

ია ხასაია	6
თამაზ წიკლაური	7

პროზა

მარი თაბაგარი	
ალიაქოთის ამტეხი	9
ქეთი იმერლიშვილი	
სუფთა ფურცელი	11

პოეზია

ბელა ალანია	14
თამარ ნასრაშვილი	16

პროზა

ნინო სადღობელაშვილი	17
ფიჭვის კევი	17

პოეზია

პაატა აბაშიძე	23
ანდრო ჩაჩანიძე	25

პროზა

ჯემალ მებრიშვილი	
ღვიძლი	26

პოეზია

ლელია ბაგრატიონ-ბაბადიში	29
--------------------------------	----

პროზა

გიორგი პაპუაშვილი	
ელდარა	32

პოეზია

სოფია ქურასბედიანი	
ნანა საბანაძე	35
გიორგი ტარყაშვილი	36

დრამატურგია

ზურაბ პაპიაშვილი	
სადღეგრძელო	37

თარგმანი

ფრანჩესკო პეტრარკა	40
ბელა ანზადულინა	40
ანა ახმატოვა	41
გალინა ვოლენბერგი (რუდაკოვა)	41
ბულატ ოკუჯაა	42
სერგეი ესენინი	42
ომარ ხაიამის რობაიები	42

იუბილე

ნანა ჭიჭინაძე	
მელეა კუჭუხიძე — 85	44

კუბლიცისტობა

ნინო ტარყაშვილი	
„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი	55

დედოფლისწყაროს ისტორიიდან

ლალი ბასილაშვილი	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის	
სოფელი გამარჯვება (ყოფილი უზუნდარა)	56

ბასენება

მარია პოპიაშვილი	
რეზო ამაშუკელი	59

ხსოვნა

ნანა ჭიჭინაძე	
თემურ ჩხეიძე — კაცი, რომელიც ყველას უყვარდა ..	62



აღმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ მამუკა ყავრელიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

აღმანახის ქუდის ავტორი:
სმარგო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:
მაკა სულაშვილის ფოტოთი
და ლია მაისურაძის ნაშრომებით



ნანატარიანი ფაკლენიშვილი ნეროენი

როცა თვალს ვახელ, მხოლოდ იმას ვხედავ, რაც თვალ-წინაა, როცა ვხუჭავ კი – ყველაფერს, რისი დანახვაც მინდა. ახლა თვალს ვხუჭავ, ცხოვრების ფერს უკან ვახვევ და 80-იანი წლების შემოდგომებს ვათვალისწინებ.

ჟივოტი შემოდგომა შემოდგომა წითელწყაროში. 1 სექტემბერს სწავლა იწყებოდა. თეთრი წინსაფრები, თეთრი საყელოები, თეთრი სახელოები, თეთრი ბაფთები, თეთრი პერანგები, თეთრი წინდები... ათოვდა კირქვების ქალაქს. გოგო-ბიჭები გვირილების თაიგულებით ჯგუფებად დადიოდნენ. ჯერ ისევ ცხელოდა, ჯერ ისევ გვიხმობდა მემაროხნე ვალოდა, თუმცა ფერისცვალების შემდეგ მობერილი ნიავს მუქარის ტონი დაჰკრავდა ხოლმე. კაკალი ჯერ ისევ წენგოში იყო თავწარგული. წენგოთი გოგოები ტუჩებს ვიმუქებდით. დღე-ღამის გასაყარი მომხვდურით უტევდა სინათლეს და უკან ახვეინებდა. დღე მოკლდებოდა. შხის თვალი შედიოდა ყურმნის მტკვანში. კახეთში რთველი იწყებოდა. ვაზი დიდ-პატარას ერთიანად აწრილებდა. როცა კოლმეურნეები მოძალეებულ მოსავალს ვედარ ერეოდნენ, სკოლის მოსწავლეებს მიგვანხმარებდნენ ხოლმე. ეს შემოდგომის ზეიმი იყო ჩვენთვის. გაკვეთილების გაცდენა გვიხაროდა. დილით სკოლის ეზოსთან ვიკრიბებოდით ვედროებით, ვედროებში ჩალაგებული დანებითა და საგზლით. „პაზიკებში“ ექსკურსიაზე წასვლის განწყობით ავდიოდით. მასწავლებლები მორიგეობით დაგვყვებოდნენ. შორს არ დაეყავდით. ვენახი ორი სიმღერის სამღერზე იყო. მიყვარდა რთველი, მაგრამ მალე ვიღლებოდი და

ვაზის ძირში ვჯდებოდი. არ მახსოვს, პლანი ბოლომდე გამეტანოს. ვაზის ძირიდან ვაგულიანებდი მეგობრებს და ვაციებდი. რომელიმე მათგანი თავისას რომ მორჩებოდა, მომეშველებოდა და შრომადეც მეთვლებოდა. შენჩემობა არ იყო ჩვენს შორის. სადილს მიწაზე ვშლიდით. მოხარშული კვერცხი, ყველი, პური, შემწვარი ქათამი, კიტრი, პამიდორი... ბოსტანში დაკრეფილი პამიდორი შემოდგომაზე ყველაზე გემრიელი იყო. ზერებით, მზით, მოთენთით და მაინც ხალისით მთავრდებოდა დღე. ხელფასსაც გვიწერდნენ. ხელფასი სიმბოლური იყო და ისევ სკოლის ბუფეტში ვხარჯავდით, მაგრამ შრომის საფასურის გემოს ვიგებდით. როგორც ვაზის კულტურის ქვეყნის შვილს, ახლა მეამაყება, რომ ჩემი პირველი ჯამაგირი ვაზის სამსახურში ავიღე. რქაწითელით დატვირთული მანქანების კოლონები მოძრაობდა ღვინის ქარხნებისკენ. კახეთის ქარვის სამკაული მიივებდა დაშლილი ყვარა ძარებზე. ჰაერთან ერთად მაჭრის შხეფებს ვსუნთქავდით. გზაზე გაჩერებული დატვირთული მანქანების ძარებიდან გაურეცხავ მტვერებს ვჭამდით. სიტკბოსაგან გადამწვარი იყო რქაწითელი. მისი წვენი წებოსავით იკრავდა ყველაფერს. დაცლილი ძარების ძირზე ჩარჩენილ წვენში ფუტკრები თავს იხრჩობდნენ. ბროწეულები სკდებოდა. წენგოს ბუდიდან მშრალი კაკალი ცვიოდა. მამები ხილს კრეფდნენ, დედები ჩირსა და ტყლაპს აკეთებდნენ. მამები ყურძენს წურავდნენ, დედები ბადაგს ადუღებდნენ. მამები მაჭარს ურეფდნენ, დედები ნიგოზს დაფხე აბნეფდნენ. მამები ფიჩხს ამზადებდნენ, დედები პურის ცომს ზელდნენ. მამები თონეს ახურებდნენ, დედები ხის ვარცლიდან გუნდებს იღებდნენ. თონეში აალებული ფიჩხი ტკაცუნობდა და ცაში ნაპერწკლებს ისროდა. შებინდებისას ეს ნაპერწკლები მელნის ზღვაში მუჭით შეყრილ კოწახურის მარცვლებს ჰგავდა. პურის სუნი აძლობდა ყნოსვას. სადღაც მწვადი იწვებოდა. ცეცხლმოკიდებულ უსიცოცხლო ფოთლების გროვას ვიდაცა ფიწალს უყრიდა გულში. მაჭრის, პურის, მწვადის, ხმელი ფოთლების ნავლის სურნელთა ნაზავი შემოდგომის კახეთის ნელსაცხებელია. მამები ღვინოს იღებდნენ, დედები თათარას ადუღებდნენ. მამები არაყს ხდიდნენ, დედები მწნილს დებდნენ. თონეში, სამწვადეზე, საარყეზე, ფოთლების გროვებზე, თათარის ქვაბებქვეშ, ყველგან ცეცხლი ენთო, თითქოს კახელები ისევ სპარსელთა შემოსევის ამბავს ატყობინებდნენ ერთმანეთს. ბაღებს ერთთავად ბოლის სუნი გვიდიოდა. დაცვენილი ფოთლების გროვაში მიყვარდა სიარული. ისე მიეტოპავდი, როგორც მდინარეში. ვერხვის რბილი ფოთლები ყვითელი ნაჭრის ნაფლეთებით ყვარა მიწაზე. კაკლისა და ჭადრის ხორციანი ფოთლები და ფოთლებში ჩამალული კაკლები კი ფეხქვეშ მინასავით იმსხვრეოდა. ძაღლები შემოდგომაზე უფრო მოზომილად ყვფდნენ. ხეები ტიტვლდებოდა და ზაფხულში ფოთლებში ჩამალული სამეზობლო უკეთ ჩანდა. შემოდგომა ძაღმოსილობდა, მაგრამ ნამდვილი შემოდგომა წეროების წასვლით იწყებოდა ჩემთვის. უცებ ძალიან შორიდან ნიავი ახლობელ, წყვეტილ ხმას მოიტანდა. სმენას შევმართავდი. კი, ისინი იყვნენ. უკვე მიდიოდნენ. გაუქცევილი იქით, საიდანაც „ცის ფურცელი“ ყველაზე კარგად ჩანდა და ვემბედი მათ, ასე შინაურებსა და სასურველებს. ხმა ახლოვდებოდა და შორს, ტატნობზე ჩნდებოდნენ მოლოვლივე წერტილები, შუბისპირის კონტურს

რომ ხატავდნენ. მიდიოდნენ, მიქოთქოთებდნენ, სამხედრო წესრიგით მიკვეთდნენ სივრცეს. შუბისწვერზე მდგომი ბელადი პირველი უმკლავდებოდა შუბლისქარს. დანარჩენები მისი ფრთების სისწორეზე დგებოდნენ. ხანდახან აირუოდნენ, ერთ ადგილას ტრიალებდნენ, ვიშვიშებდნენ და „ცის ფურცელზე გაკრული ხელით წერდნენ“ რაღაცას. სულ ვცდილობდი, ამომეკითხა ეს „გაკრული ხელი“, მაგრამ ბელადი მალევე აგნებდა გზას, ყოველი მომდევნო ისევ წინას ფრთების სისწორეზე დგებოდა და შუბისპირი მიზნისკენ მიიბრძოდა. გადაივლიდნენ ცის ფურცელს და ფრთებს დაგვიქნევდნენ დაშვიდობებისას. მოკითხვას ვაბარებდი მეორე სამშობლოსთან, ლოცვად მშვიდობიან გზასა და უხიფათო ტაროსს ვაყოლებდი და ვიდექი მანამ, სანამ წერტილისხელად მაინც ჩანდა ნაბოლარა და ქარს შიგადაშიგ კიდევ მოჰქონდა მათი „მგზავრული“. სულ მინდოდა მცოდნოდა, სად მიდიოდნენ, „თბილი ქვეყნები“ არ მყოფნიდა მათ დასაგულვებლად. წეროები ყველაზე კარგად გრძნობდნენ ამინდს. მათი წასვლა მალე აციებას ნიშნავდა. ხალხმა ეს გამოცდილებით იცოდა და მედღე-ვალიენი თავს ინუგემებდნენ, წეროებს ჯერ არ გადაუვლიათო. გადაივლიდნენ და ზამთრდებოდა...

ქალაქს გარს სახნაუ-სათუხი მიწები ერტყა. ქარსაცავ ზოლებად ერთრიგად იყო ჩამწკრივებული ალვის ხეები. ზაფხულში თანაბარი სიმაღლის ალვები მიმავალი მანქანიდან „ხორუმის“ ხაზს ჰკავდა, გვიან შემოდგომაზე – ოდის აივანზე გაფენილ ზაფრანის წნულეებს, ზამთარში კი დასახვერეტად ჩამწკრივებულ ხელებანუელ ტყეებს. იდგნენ ხმელ-ხმელი ტყეები ასე, ვიდრე გაზაფხულის ალერგიასავით კვირტებს არ გამოაყრიდათ.

ადრე გაზაფხულზე ახლადდაჩენილ ფოთლებს სხვანაირი, ხასხასა მწვანე ფერი ედო. მერე ნელ-ნელა მუქდებოდა. ქალაქის შემოგარენში ალაგ-ალაგ ჯერაც დათოვლილი მიწა იხვნებოდა და მინდორი ზებრაასავით იყო დაჭრელებული. ქალაქგარეთ გასულს ნაზამთრალი მიწის სუნი გსუყავდა. ხორნაბუჯისკენ მიმავალი დაბურული გზა-დაღმართის კიდებზე ნესტისაგან დაწნეხილი ნაზამთრალი ფოთლების გროვას ენძელები როგორღაც ამოაპობდნენ ხოლმე. მზე ძალას იკრებდა, დღე-ღამის გასაყარას აბიჯებდა და ქვემოთ, სიბნელისაკენ აჩოჩებდა. უშეო ადგილებში გვიან შემოდგომაზე ჩაბუდებული ყინულების ძირებიდან პატარა ნაკადულები მოდიოდა. ქვიშანარევი რუხი ყინულები პატარავდებოდა და ქვა-მარილის ნატეხებს ემსგავსებოდა. უცებ ამოვარდნილი ქარი ხის ტოტებს, ფოთლებს, მტვერს, გაფენილ სარეცხს ერთ მხარეს უქცევდა პირს. მოყრიდა საავდრო ღრუბლებს. ატყდებოდა ყრუ გრუხუნის, ელვა ტეხილს შეკრავდა. თითქოს სადღაც ახლოს ფრონტის ხაზი იყო. ქარს ნამდნარში გაგუდული ხმა ჰქონდა, კაკლებსა და ვერხვებში კი ბობოქარი. გაზაფხული ძალას იკრებდა და ახლოვდებოდა წეროების დაბრუნების დრო. ერთთავად შემართულ სმენას ბოლოს და ბოლოს სწვდებოდა ნანატრი ხმა. მოდიოდნენ, მოთრთოდნენ, მოიტალღებოდნენ და მოგველაპარაკებოდნენ დაუდგარები, ენაჭარტალები, ხმაურიანები, გაუთავებლად რომ ჰყვებოდნენ რაღაცას. მე ჩემებურად მესმოდა მათი, მესმოდა, რომ ფრენით დაიღალნენ, რომ სულ ცოტაც და მივიდოდნენ მიზნამდე, რომ ყველაგან კარგია, მაგრამ ჩვენთან ყოფნას ვერაფერი შეცვლის, რომ

წელს ცოტა დააგვიანდათ, რომ ფათერაკებიც გადახდათ თავს და ასე იქმნებოდა წეროების ფურცულა ზღაპრები, რითაც თავი მქონდა ამოტენილი.

„ცის ფურცელზე წერილი გაკრული ხელით“ – დაუსათაურებია გიორგი კეკელიძის ფოტო, რომელზეც მოწმენდილ ცაზე არეული ფრინველებია აღბეჭდილი. და ამ ფრაზამ ამომახსნევინა ჩემი ცხოვრების ერთი დამიფრული წარწერა, რომლის ამოკითხვას ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ვცდილობდი. „გაკრული ხელით ცის ფურცელზე“ შემოდგომობით „წარმაველობა“ ქვერა, გაზაფხულობით კი – „მარადიულობა“! ამ ღრმა საზრისის გამო იყო ეს წარწერა ასეთი შთამბეჭდავი. რამდენი რამ იწერებოდა „ცის ფურცელზე“ – საპნის ქაფივით თეთრი ღრუბლები, ზოგჯერ საგნების ფორმას რომ იღებდნენ, ვარსკვლავები, დაისზე ჩამავალი მზე, გრეიფურტს რომ ჰგავდა, მთვარე, ყოველდღე ადგილსა და ფორმას რომ იცვლიდა, ცისარტყელა თავისი განუმეორებელი, ერთმანეთში გარდამავალი ფერებით და კიდევ ათასი რამ, მაგრამ „ცის ფურცელზე წერილი გაკრული ხელით“ სულ სხვა იყო, ყველაზე ბევრისმთქმელი. წეროების მოსვლას მოსდევდა ჩემი გაზაფხული. არ ვიცო, შემოდგომობით სად მიდიოდნენ. არც ის ვიცო, ჩვენში სად ცხოვრობდნენ. არასოდეს მინახავს ისინი დამსხდრები. ზოგი მინდვრის ბატებს ეძახდა. არც ის ვიცო, წეროები არიან თუ მინდვრის ბატები, მაგრამ მათი ხმა ჩემთვის შემოდგომისა და გაზაფხულის ნამდვილი ვალსია...

იაგორა

– პაპა, ჩემი მათიკო როგორა? – პირველად ეს იკითხა გონზე მოსულმა გოგომ. იაგორას იმხელა ლინზეები ეკეთა, რომ შემოგხედავდა, უკან დაიხევი. ახლა თვალებს კიდევ უფრო აფართოებდა, რომ შვილიშვილის სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი დაენახა.

– კარგადაა, პაპა გენაცვალოს შენა, გელოდება, როდის მოვა ჩემი დედიკო, – ხმის ნაბზარი შეიკოწიწა იაგორამ და განგებ ჩაახველა. მაგრობდა და ვეღარ მაგრობდა. ჯერ ისედაც, რაც მესამე ფეხი მოიშველია, პატარა რამეზე უჩუყდებოდა გული. მძობილებში ხუმრობდა ხოლმე, მესამე ფეხი რომ დაგჭირდება, თავმოყვარე კაცი ერთსაც აღარ უნდა ადგამდე გარეთო, მაგრამ ასე იოლი როდი აღმოჩნდა თავმოყვარე კაცობა.

– იაგორ, არ გაჩერდე, რაც შეიძლება, ბევრი იარე, თორემ სულ ჩალოგინდები, – უჩემებდნენ მეზობლები. ისიც, ჩალოგინების შიშით, დაიჭურდა მესამე ფეხს ხელში და აღმა-დაღმა დააკაკუნებდა. ავტოავარიამი გოგოს მოყოლა რომ გაიგო, მესამე ფეხის არსებობაც აღარ გახსენებია, ისე აირბინა საავადმყოფოს აღმართი. მეორეც რომ გამოეცალათ, ასკინკილით ავიდოდა. ორი შვილი ჰყავდა იაგორას, მაგრამ არც ერთის პატარაობა აღარ ახსოვდა. ამ კუდრაჭამ ჯერაც განუცდელი რამ აგრძნობინა, საქმეც დაავიწყა და თავიც. მშობლების მოუცვლელიობის გამო, ის და მისი დახუთული ცოლი ზრდიდნენ გოგოს.

იაგორას ძველი სახლის ლურჯი ზეთიანი საღებავით დაფერილი უსახური და უსიხარულო კედლები მხოლოდ ვაი-ვიშს, ოხვრა-გმინვასა და ხველას გამოსცემდა ნახ-

მეგად. მერე გოგო შემოტიტიინდა. გოგოს პატარა პიანინო და პატარა გარმონი მოუტანა პაპამ. უსწორმასწორო ბათქაშს ყველგან მხიარული ნოტები მიქნატა, ზოგან – სწორად და ზოგან – დაბრეცილად, ზოგან – ხმამაღალი და ზოგან – ხმადაბალი. კედლებს ნახმევი გაუმხიარულდა. ერთხელ გოგო იატაკის ხიჭვებიან ფიცარზე დაჯდა და კედელზე ცარცით მზე დახატა. თვალებიც გაუკეთა, ცხვირიც, გაცინებული პირიც და სხივებიც. მზის სხივებს აღარ ეხარებოდათ ამ ბათქაშზე არეკვლა, იმდენ ხანს დაცოცავდნენ ნოტიდან ნოტზე, სანამ მოცინარე ცარცის მზეს არ შესცივებდნენ თვითონაც, სანამ ცარცის სხივებს სხივებს არ დაატოლებდნენ. სითალხე გაუღიავდა ბათქაშის სილურჯეს.

– ესენი აქედან უნდა ავიღოთ, – გამოაცხადა გოგომ და ფანჯრის განიერი რაფიდან ბებო-პაპის წამლები და რეცეპტები მოხვეტა. იაგორა გოგოს ხელებში ეცა, წამლის შუშები რომ არ დაემტვრია და გამოართვა. გოგომ იქ პიანინო და გარმონი დააწყო, გამოაცხადა, ეს მუსიკის ოთახი იქნებაო და ფარდა გააფარა. მუსიკის გაკვეთილი თუ არ იყო, ფარდის გაწვევის უფლებაც არ ჰქონდათ ბებრებს. გაკვეთილების განრიგი მხოლოდ თავად იცოდა. იაგორა, კატუშა და მათიკო ბაღის აღსაზრდელები იყვნენ.

– ჩვენი ბაღი ბაღნარია, ბაღნარიიი,

აქ სულ სიცილ-ხარხარია, ხარხარიიი, – ამღერებდა გოგო ბებრებს. კატუშა ძნელად აღსაზრდელი ბავშვი გამოდგა, სულ საქმეზე ჩქარობდა და გაკვეთილებს ხშირად აცდენდა, იაგორა კი თვინიერად იჯდა, თამაშობდა, ლექსებს ამბობდა, მღეროდა, ქაშს ჭამდა, კისელს სვამდა და არ შფოთავდა, რადგან დედა არ აკითხავდა წასაყვანად.

კარადამი შეწყობილი წამლები თვალს რომ აღარ ხვდებოდა, ბებრებს ხშირად სულ ავიწყდებოდათ დალევა და მათ გარემეც მშვენიერად ცოცხლობდნენ...

მათიკო მოიკითხა გოგომ და ისევ გაჩუმდა. გაჩუმდა და აღარც გაჩქამებულა. კატუშამაც ხალათში შეკრა ბარგი, უჩემოდ გოგო როგორ იქნებაო და ფეხდაფეხ გაედევნა. დარჩა იაგორა ლურჯ ოთახში მარტო. ისევ დასცვივდა კედლებს ნოტები, ხმამაღლებიცა და ხმადაბლებიც, ვაე-ბა, ვარამი და ვაგლახი გახდა მათი ნახმევი. პიანინო და გარმონი ისევ ფანჯრის რაფაზე ეწყო, მაგრამ მუსიკის გაკვეთილი სულ ცდებოდა.

ერთ ღამეს შფოთს ვედარ გაუძლო იაგორამ. ჯერ გოგოს სურათებს უყურა, მერე სულ გადამალა, ეს უფრო ცუდად მხდისო. მაინც ვერ დაისვენა. წამლები გამოალაგა, ნაყენები აწვეთა, ხან ილოცა, ხან იტირა, ხან აიმაღლა თავი, ხან – დაიდაბლა, ვერა და ვერ მოასვენა ბალიშზე. ნაშუაღამევს ლოგინში წამოჯდა. საესე მთვარე ღამეს სიბნელეს არ ანებებდა. მის ფერწასულ შუქზე ცარცის მზე თეთრად შემოსცინოდა ბერიკაცს. იაგორამ მათიკო ხელში აიყვანა, ლოგინში გოგოსავით ჩაიწვინა, პაპა შემოგველოს, ჩემო ნახუქივით ტკბილოო, ჩაებუტებუტა და ლოყაზე მიიკრა.

– წვერი ხო არა გჩხვლევტავს, პაპა? – ეგურგურებოდა გოგოს და ყვითელ კულულებზე აცახცახებულ ხელს უსვამდა. გულში ჩაიხუტა და დამშვიდდა. იწვნენ გაუნძრევლად თანაბალელები – ქერა მათიკო და შავი იაგორა. საბავშვო ბაღში წყნარი საათი იყო. ასე აძინებდა ხოლმე მათ გოგო.

– ბერიკაცო, საითა ხარ? – კარი შეუხსნა მეზობელმა, დილით რომ არსად გაჩქამდა მოხუცი. იაგორას მათიკო ჩაებლუჯა და თვალები ისე დაეჭვიტა, სიცოცხლის ნიშან-წყალს თუ ეძებდა ისევ, მაგრამ სადღა იყო სიცოცხლის ნიშან-წყალი?!

ნინია

დამთავრდა თუ არა საახალწლო ზეიმი, ნინია დედასთან მივარდა. ისეთი ბედნიერი იყო, სიხარულისაგან გული ყელში ამოსდიოდა.

– მიყურებდი, დედი, როგორ ვიცეკვე? არც ლექსი შემშლია, არც სიმღერა, – დაღლილობისაგან სულს ძლივს ითქვამდა გოგო.

– გიყურე რომელია, დე, თვალიც არ მომიშორებია, დედიკოს ყოჩალი ხარ შენ, – შუბლიდან ოფლს წმენდა პატარძალივით გამოწყობილ დედოფალას დედა. სანამ კუდრაჭა თავს იწონებდა, ჭერზე მიბჯენილი საჰაერო ბუშტები ბავშვებმა დაისათითოვეს და ნინიას აღარ შეხვდა. წუთის წინ სიხარულისაგან ანთებული დედოფალა უცებ ჩაქრა და ტუჩი სატირლად დაბრიცა. ლუკა ნინიას თვალს არც სხვა დროს ამორებდა და, ახლაც, დედამ ოფლში გაღვარულს ჩოხა რომ შემოხსნა და ახალუხის ამარა დატოვა, მას უყურებდა. მაშინვე გაიქცა და წითელი ბუშტი მიუტანა.

– აპა, არ იტირო, მე რად მინდა, ბიჭი ვარ!

ნინია გაიბადრა, ტუჩი ისევ ტუჩს დაამსგავსა და ისევ ატიტიინდა. გახის ბუშტი მაღლა იწვედა. დედამ ბუშტი საჩვენებელ თითზე თოკით გამოაბა და უთხრა, – არ მოიხსნა, თორემ გაგიფრინდება და გული დაგწყდება.

ახალი წელი ახლოვდებოდა. სუსხი ძალას იცემდა და წვრილი ნამქერი სახეს ეხლებოდა. დედამ ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა გოგო საბავშვო ბაღიდან, ბაზარში უნდა გაველო და სახლშიც დროულად მისულიყო. ნინია ფიქრებით ჯერ ისევ ზეიმზე იყო, ხმადაბლა ღიღინებდა და ბუშტს ასცქეროდა. ბაზრის შესასვლელთან, მაღაზიის კიბის ქვის საფეხურზე მოხუცი კაცი იჯდა, ორივე აცახცახებული ხელით გადმობრუნებული ქუდი ჩაებლუჯა და საცერივით არწვედა. გრძელი თმა-წვერი ნამქერისაგან აცა-ბაცა ჰქონდა აშლილი. დედამ წინასწარ ნაგულები ხურდა ისე ჩაუყარა მოხუცს, ნაბიჯი არ შეუნელებია.

– გაიხარე, შვილო, ღმერთმა გაგიზარდოს გოგო, – ზურგიდან მიამახა მოხუცმა. ნინიამ ფეხი შეანეულა, კისერი უკან ეღრიცებოდა. დედა მიდიოდა და გოგო მიიზღაზნებოდა. ხელი გააშვებინა დედას და უკან მიბრუნდა. ქურთუკის ჯიბიდან შოკოლადი ამოიღო და მოხუცს გაუწოდა. სხვისგან ზრუნვას გადაჩვეულ მათხოვარს ერთ რამედ უღირდა სუსხისაგან ლოყებჩაწითლებული გოგოს ჩახუტება, მაგრამ ვის ესიაიმონებოდა გაბურძენულ-დაუბანელი ბერიკაცი. თვალები მოუწყლოიანდა და აკანკალებული, დათაფლული ხმით უთხრა, – შენა ჭამე, პაპა, მე არ მინდა. გოგონამ შოკოლადი ქულში ჩაუმახა და დედისკენ გაიქცა. შუა გზიდან ისევ მობრუნდა, თითიდან თოკი მოიხსნა და მოხუცის თითს წაეტანა. – არ მინდა მე, პაპა, შენ ითამაშე, გენაცვალე, – მოთქვამდა ლამის ატირებული მოხუცი და ხელებს უკან სწევდა. ნინიამ ძლივს დაუჭირა აცახცახებული თითი პაპას, თოკი შეაბა

და გააფრთხილა: – არ მოიხსნა, პაპა, თორემ გაგიფრინდება და გული დაგწყდება!

დედა-შვილი ბაზრის ჭიშკარში გაუჩინარდა. მოხუცი ძლივს-ძლივს წამოდგა, რამდენიმე წამს მუხლს მართავდა. რომ გასწორდა, კიბის საფეხურები აიარა და მაღაზიაში შევიდა.

ნამქერს სულ თავგზა აბნეოდა, ხან წაღმა დედა და ხან უკუღმა. მას ყველა ზურგს აქცევდა და ზოგი წაღმა დადიოდა და ზოგი უკუღმა. ბაზრის შესასვლელთან გათოშილი ბერიკაცი იდგა, თმა-წვერი ხან წაღმა მიუდიოდა და ხან უკუღმა, ცალ ხელში თოჯინა ეჭირა, მეორეში ბუშტი. ნამქერი ბუშტს ხან წაღმა აწნავდა სილას და ხან უკუღმა. ბუშტიც დახტოდა, რაღაცას ზეიმობდა, მაგრამ საზეიმო იერს მაინც ვერ აძლევდა ბერიკაცს. გამვლელ-გამომვლელები მოპარული მხერით მისჩერებოდნენ უცნაურ სანახაობას.

– არ მოიხსნა, პაპა, თორემ გაგიფრინდება და გული დაგწყდება, – ჩაესმოდა პაპას უკვე მერამდენელ და მზე-ყინვისგან დამაშრულ თითზე წამოცმულ თოკს კიდევ უფრო საუკულდაგულოდ ბლუჯავდა.

ხელთათმანი

თავდაიწყებით უყვარდა დედა! ფეხის ადგამდე ერთ-თავად ძუძუზე ეკიდა, ფეხის ადგმის შემდეგ – კალთაზე. დედაკაცები ხუმრობით კითხულობდნენ, – ე ბაღლისთვი ჭიპლარი არავის გადაუჭრიაო? ღინღლი რომ დაეტყო სახეზე, თავად გადაიჭრა ჭიპლარი, მაგრამ ბოლომდე არ გამოუვიდა. ქალი რომ ორი დღით სადმე წავიდოდა, ჩუმიად აიღებდა მის ბალიშს, ჩარგავდა ცხვირ-პირს და როდის, როდის ჩაეძინებოდა. რამდენჯერ წარმოუდგენია დედის სიკვდილი და ცოცხლად გამოუტირია. საიდანმე დაბრუნებული ეზო-კარ-მიდამოში თვალებით ეძებდა. თავდაიწყებით უყვარდა, მაგრამ მოფერება ერიდებოდა. მოეძალეებოდა სათქმელი, ლაუასავით მოადგებოდა ყელს, გადაწყვეტდა, ახლა კი წავალ და ამასა და ამას უსათუოდ ვეტყვიო. მივიდოდა, დედიო, დაუძახებდა და სრულებით სხვა რამეს ეტყოდა. კიდევ და კიდევ. ბრაზი მოსდიოდა თავზე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ამოაფრქვია ის ლაუა. ხანდახან დროსა და გარემოებას მოიხელთებდა, ბიჭები რომ დედამისს ადღევრძელებდნენ, თვითონაც ღვინოსა და სათქმელს აეთრევიებოდა, დედი, შენ შემოგველე, ხო იცი, როგორ მიყვარხარო, მიაძახებდა და ისე მიაფარებდა პირს ჭიქას, თითქოს ეშინოდა, ზედმეტად თბილი არაფერი წამოსცდენოდა, თითქოს სათქმელი ღვინოსთან ერთად უნდა ჩაებრუნებინა ყელში, თითქოს ცხელი ლაუა ცივი ღვინით უნდა გაენელებინა.

– შენს ნაჯაფარ ხელებს შემოგველე, დედი, შენს ამაგდარ ხელებს, – გულსაკლავად დასტიროდა დედას მეზობელი გოგო და ცვილისფერ თითებზე ეფერებოდა. ამის გაგონებაზე ის ლაუა ყელში ისე ამოაწვა, კინაღამ სუნთქვა შეუკრა. მოუნდა, მიესწრო, სანამ კიდევ თბილი იყო ნაჯაფარი ხელები, სანამ დედას ესმოდა, ეთქვა მისთვის მადლობა, მოფერებოდა. როცა ხელჩაკიდებული დაჰყავდა დედას, მისი ხელისგულების ყოველი ხაზი იცოდა. ბო-

ლოს, უკვე სიყმაწვილეში, გზის გადაკვეთისას უნებლიეთ მოჰკიდა ხელი და როცა გზა გადაჭრა, შერცხვა თავისი ბავშვურობისა. მას შემდეგ დედის ხელისთვის ხელი აღარ მოეკიდა. ნეტა როგორი იყო ახლა ის ხაზები...

სახლთან მისულს სიჩუმე დახვდა. ფრთხილად შეხსნა ოთახის კარი. დედაკაცს სავარძელზე გულის ძილით ჩასძინებოდა, ხელები სავარძლის სახელურებზე ელაგა. დიდხანს უყურა დამჭკნარ ხელებს, არ უნდოდა, გაეღვიძებინა, არ ჩქამობდა და გული უჩქარდებოდა. დაიხარა, ძალიან ფრთხილად შეახო ლოყა ხელს და გაიტრუნა. გული უფრო აუჩქარდა. დედამიწის ბურთზე ყველაზე საიმედო საყრდენს ეხებოდა. დედა შეიშმუშნა. ბიჭმა თავი უცებ ასწია.

– ჩამძინებია, ქა, – მოიბოდიშა მუდამ მოფუსფუსე დედამ.

– ბუზი გაწუხებდა, იმას გიგერიებდი, – „გამოასწორა“ საქციელი შვილმა.

რაც ლოცვა ისწავლა, მას შემდეგ დედის ხანგრძლივ სიცოცხლეს შესთხოვდა მამახეციერს. უსმინა გამჩენმა. დიდხანს, დიდხანს უღუდღუდა დედის ანთებული გულის ღადარი და როდის, როდისღა ჩაუნაცრა. ერთ დღეს დედამისსაც დაუკრიფეს გულზე ცვილისფერი ხელები, მთელი ცხოვრება მოჯამაგირედ რომ ედგნენ წუთისოფელს. რამდენი რამ ჰქონდა მათთან სათქმელი თავდაც ხანში შესულს, დაშტერებოდა ყელთან ლაუამომდგარი, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევდა მისი შეკავების ძალა.

დასალიერისკენ სავალი რთულდებოდა. მოდიოდა სავარძელში საბოდიშო ჩაძინების ასაკი. მარტო სიარული უჭირდა. ნახევრად გაჩერებული სახსრებიდან ბოლო ძალა გამოაქჟნა და სოფელში წავიდა. ფრთხილად შეხსნა დედის ოთახის კარი, თითქოს ისევ მძინარეს გააღვიძებდა. იმ სავარძელში ისე ჩაჯდა, როგორც დედა იჯდა მაშინ და თვალები დახუჭა. დედამიწის ბურთზე ეს ერთადერთი ოთახი იყო, სადაც ყველაზე დიდი სისავსე ეგულებოდა და ყველაზე დიდი სიცარიელე დახვდა. ისე მოენატრა დამსკდარ-დაღარული ხელები, ვერარა ძალა ვედარ შეაკავებდა ყელთან მომდგარ ლაუას. კომოდის უჯრა გამოხსნა, გამალებით ეძებდა რაღაცას, მეორე უჯრა გამოხსნა, ვერც იქ იპოვა. თავის დახრა უჭირდა, თავბრუ ეხვეოდა, მუხლებზე დადგა სულ ქვედა უჯრის გამოსახსნელად. დედის ხელთათმანი მოძებნა. ჯერ უყურა, მერე ლოყაზე მიიღო და ისე გაირინდა, როგორც მაშინ – დედის ხელზე ლოყაჩამოდებული. ჩქამს აღარ უფრთხოდა, მაგრამ გული უწინდელზე მტკივნეულად უფრთხილდებდა. პირი გაუხსნა ხელთათმანს და ცხვირ-პირი შიგ წარგო. ნაფტალინისა და ნესტის სუნში დედის ხელების სუნის გარჩევას ცდილობდა, რათა გამოზოგილად ეყნოსა, მისი ხელისგულების ხაზების ნაჭდევს ეძებდა.

ნახევრად ბნელ, ნესტიან ოთახში კომოდის წინ დაჩოქილი ბერიკაცი მოგუდული ზღუქუნით ისროდა ათწლეულების მანძილზე ნაგუბებ სიტყვებს და ხელთათმანში უძახებდა. ხელთათმანი კი იგნებოდა სიყვარულით და იბერებოდა, როგორც გუდა, რომელსაც თაობებისთვის უნდა ესაგზღა.



ია ხასაია

* * *

რა გაგაგონო? – ავის მსურველი
ქარი ყრის სიტყვებს საით, სადაურს...
რა წაგაკითხო, თუკი ღრუბელი
ცას წარამარა უცვლის სათაურს?..

ერთხელაც მნახავ, არა ღირს ჯავრად,
შიშველ ხილვებს ხომ არ მოსავს ღმერთი...
უნდა გამოვჭრა ჩემი ფანჯარა
შენი სიზმრების აღმოსავლეთით.

* * *

თავისუფლებას ისე აღმერთებ,
ფაფარაშლილი როგორც ველები,
როგორც შემდგარი მათა აღმართებს
ხეები, ჩუმი მომლოცველები.

მე კი სულ დაბლა, სიღრმისიქეთა
სულის მიწურში ჩიტივით ვკრთები...
ფრთები რომ გქონდეს, თუ იფიქრებდი,
აქ დაშვებისთვის მოგეცა ფრთები...

* * *

რატომ გვეგონა, ერთ სუნთქვაში
ორნი ვეტყვიო...

ერთი ცა გვექონდა, ერთი ჩრდილი,
ასე მიმნდობი...
მორბოდი ჩემკენ,
მე კი შენკენ
თავგამეტებით,
მაგრამ სხვადასხვა გვექონდა მინდორი...

* * *

რომელს ვესტუმრო?
ლხინის სახლს თუ მწუხარებისას?
მელოდებიან, გვერდიგვერდ დგანან,
მოდი, ჯერ ლხინის სახლს ვესტუმრები,-
გავიფიქრე და გავემართე,
ცარიელი დამიხვდა სახლი,
არსად იყო ლხინისუფალი...
დამლანდეს ფანჯრისთვალეებიდან
ჭირის სახლის
მომლოდინე ჭირისუფლებმა...
და ვიდრე ლხინის სახლის ზღურბლთან ვიდექი,
ჩამომწკრივდნენ და დაუინახე,
ან უფრო სწორად, დამანახა მთვარის სინათლემ,
დანრილ თვალეებით
ჭირის სახლში ვერდაღვრილ ცრემლებს
ლხინის სახლისკენ
როგორ ფრთხილად მოაგორებდნენ...

* * *

ისე შემთხვევით შემხვდი, თითქოს
ფიქრებში ვცოდე,
თითქოს ძირმოკრულ დაიწვევებს
ერთად ვიმკიდე...
შენ გაიღიმე ძველებურად,
როგორც იცოდი
და წლები მხრებზე პიჯაკივით
გადაიკიდე...
ლაპარაკობდი ისევ წრფელად,
ისევ ხელებით,
შვეიკრიბოთო, პანდემია
როცა გადავა...
გისმენდი თვალში მოციმციმე
აკვარელებით
მოგონებების ბოლო ფურცლის
მოსახატავად...

* * *

ამინდმა იცის... ვიფიქვებ ახალს
და მახსენდება, რადაც წინარე...
სად თხელ დოლბანდში მზე ახვევს მიწას,
ეს ჭრილობაა თუ ნაწვიმარი?..
თითქოს ნაპირთან მომდგარმა ტალღამ
ჩემი ძარღვიდან უნდა იხუჯოს...
ვკვდები... და თვალებს იმდენჯერ ვახელ,
რამდენჯერ ჩემ ლექსს ვინმე კითხულობს.

* * *

მარადისობის ნამზერ გუმბათზე
წუთის წინ... წამით... ჩამოჯდა ჩიტი...
ხელისგულები გზა მიუწნათ,
გამოჰყოლოდა ის მიაშიტი...

მაგრამ ვერ შეძლო, თუმცა მოინდომა,
რომ ვაგრძნობინე, გულით ღია ვარ...
გაშალა ფრთა და დასცვივდა ნდობა,
წამიერად რომ მოიღლიაფა...

ახლანახანს ღრუბლის ფარდა აკეცა,
ახლა უსასოდ ფრთებს რატომ იქნევს?
იქნებ ჩიტიისთვის მიწაა ზეცა
და უღმერთობით დავაფრთხე იქნებ?..

თითქოს რა... მაგრამ გული კი ბორგავს...
ჩიტი მარტო ზის, თვალებს აცეცებს,
თვალებს, რომელსაც გამოიზოგავ,
როგორც არტოსის პურის ნამცეცებს...

* * *

განა ქარია, მოტრიალდა დარდი ზარხოში,
სახე მაჩვენა დაღლილი და ჭმუნვით მარხული...
და როგორც მგზავრმა, ჩამომჯდარმა წყალთან ახლოში,
წასახემსებლად გადაშალა მუხლზე ზაფხული.

განა წვიმაა, უკან მოაქვთ შორეულ ნისლეებს
იმ ლექსთა ფერფლი, რაც ოდესღაც გაგანადგურე...
მატარებელი სხვა ბაქანზე ჩამოდგა ისევ
და მერამდენედ გამოტოვა ჩემი სადგური...

* * *

არ ვწუხ, რა შემხვდა, ჩემთვის რა იყო,
სუფრა ზეპურთა თუ ნასუფრალი,

ნეტამც, თუ ტრაპეზს მასთან გავიყოფ,
ცად დამიმგზავრებს ვისაც უფალი.

ფირუხს ექებენ მაღლა მგოსნები,
რად, თუ სულში არ ამოშნიურდა...
მაინც იმ მიწით შევიმოსები,
ცრემლით ალტობდა რასაც იუდა.


ფრთები რად ვზიდო, მიიწვდენს თუ კვლავ
ცოდვანაგუბი ტბების სიბლანტე...
წყურვილს ხომ დღესაც იმ წყალით ვიკვავ,
ხელებს იბანდა რითაც პილატე

* * *

ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
თმას არ იშლიან...
საუარცხლის ნაცვლად
თავთან უღვეთ სახაზავები,
მარკეტში სწრაფად თმის გასაზრდელ
შამპუნს ექებენ...

ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
ახალ „ვანსებზე“ ოცნებობენ
და ფართხუნა მაისურებზე...
ქბილებიან დედიკოებს
დაფარვაში განვადებების
ნაოცნებარ მობილურების,
ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
ნაცრისფერ „პენალს“ ყიდულობენ,
შავ ჩანთას და...

თასმებს, ფერადებს...
ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
თმას არ იშლიან...
ძილის წინ თავთან უღვეთ
დიდი სახაზავები...
და ესიზმრებათ გაშლილ ველებზე
როგორ დარბიან
თმაში გვირილით და
შხის სარჭებით...



თამაზ ნიალაური

სამშობლოს

საკირის ცეცხლი მეღება,
ღმერთს როგორ არ დავემდურო?!
შენი შხის შუქი ბნელდება,
ვაი, შენ მამულ-დედულო!
დღეს ჩემი სისხლით ძღებიან
კაცნი გვარ-ტომით ცვედანნი,
გამოდმა მედავებიან
ნაშობნი იქედნეთანი.
ცავ, რისხვით წარბებმეკრულო,

სევდის გრიგალო ბებერო,
ვაი, მამულო, ბედკრულო,
სატირალ-სადარდებელო!
სულო, მიწამდე დახრილო
დარდს რა გზით უნდა ვუყელო?
სისხლო ამოდ დაღვრილო,
მტრის ჯაგრო ამოუყრელო!
დავალ, მთვრალივით ვბარბაცებ,
მიჭირს თმენა და შეძლება...
ის რაც წარმტაცეს, წარმტაცეს...
ქართლიც ხელიდან მეცლება.
მტერს ფეხქვეშ როგორ გავეგო?!
გულზე მჭირს ჯაგრის ისარი.
არც ცოტნე, აღარც შავლეგო,
არც მგლები ალგეთისანი;
მშველელიც აღარსად არი,
ამოდ ვეძებ არწივებს,
მხარე ედემის სადარი
ყორნებმა გაინაწილეს.
საკირის ცეცხლი მეღება,
ღმერთს როგორ არ დავემდურო?!
შენი შხის შუქი ბნელდება,
ვაი, შენ მამულ-დედულო!

მოლოდინი

ღვიძილში ვარ თუ ძილშია,
ღღე იყოს, ღამეხელობდეს,
გული შენს მოლოდინშია,
მოდი როდემდე გელოდდეს.
ჩემს გზას შხის შუქი აღვრია,
ეგება სხვა გზას არ გაუღეს?
მომეალერსო ნაღვლიანს,
დარდს შორად დამიკარგავდე.
ღრო შენს ნაკვალევს მაღაუდა,
ღრო – ჩემი გრძნობის მეკობრე.
შენ რომ სიბნელით გზარაუდა,
ის ღამეც დავიმეგობრე.
მოდი, რომ დილის რიჟრაჟი
მტრედისფრად ამიკიაფო,
დავიცხრო სული გიჟმაჟი,
ჩემი ტკივილიც გაიამბო.
ღამეს გაფიცებ გათუულს,
ცისკრის ანარეკლს წყაროზე,
შენს მგოსანს ცნობაწართმეულს
ისევ შენ მეავგაროზე.
ზენამ მოგაგოს სანაცვლო
ტრფიალის დიდმა ღედამა,
მოდი, დამწვას და დამნაცროს
მაგ თვალთა შემოხედამა.

* * *

შოთა წიკლაურს

„რა ვქნისა“ ციხე ახსენე,
სიბრძნის შაირი მითხარი.
სუფრაზეც არ მომასვენე,
ამაბუბუნე ვით ხარი.

მამ-პაპის სისხლი ამენტო
გულში მამულის მცველების,
მესროლე საალავერდო
მტრის ჯაგრის არ შამჭმელების.
ვერც ლექსის ღვარი ვაგუბე,
ვერც წყალს ჩავეყვი ტივითა,
ქნლა თუ გინდა დამბუგე
ღა დამწვი სანთელივითა.

* * *

ოცნებით შენთან ვბრუნდები,
კვლავ შენთან ყოფნა მინდა,
ჰაი, ჰაი, რომ მწყურდები
როგორც მთის წყარო წმინდა.
ჰაი, ჰაი, რომ გშვენოდა
გადმოქნეული წელი,
ვაი, რომ ვერას მშველოდა
გულისთქმა გულდამწველი.
სად ხარ, თვალშურთხო, წარმტაცო,
ქალავ ქცეული ღმერთად,
ვაითუ გულიც წარმტაცო
ძვირფას გრძნობასთან ერთად?!
სიზმრიდან ვეღარ გამომყავს
თავი ცხადში თუ ძილში,
ალბათ ამიტომ გამომყავს
შენი დაკარგვის შიში.
სევდის ფიქრებით მოცული,
მოდი, გენუკვი ამად,
მე შენს ხატებას ვლოცულობ
მარტო ჟამითი-ჟამად.
მარტო ოცნებას ვუნდები
და მხოლოდ შენთან მინდა,
ჰაი, ჰაი, რომ მწყურდები
როგორც მთის წყარო წმინდა.

ძვირფასო...

ძვირფასო – ახლა ძალიან მიჭირს,
ძვირფასო – გული უშენოდ ვერ ძლებს,
ძვირფასო – არ მაქ მოთმენის ნიჭი,
ძვირფასო – ლექსიც გიზმობს და გეძებს.
ძვირფასო – რატომ არაფერს მშველი,
ძვირფასო – ცრემლი რისთვის მადინე,
ძვირფასო – რატომ მეგონე შველი,
ძვირფასო – ქაჯმა რად შემაცდინე?!

* * *

რალა ძილი, თუ ღვიძილი,
რალა ღამე, თუ რალა ღღე,
რალა ცრემლი, თუ სიცილი,
რაც ლექსად შემოგღაღადე.
ეს გრძნობაც თუ ვერ აწონოს
უღმერთო გულის ასულმა...
სხვა თავი რით მოგაწონოს
კაცმა ხელიდან წასულმა?!

მარი თაბაგარი

ალიაქოთის ამტეხი

შხის სხივებმა ძალიან შეაწუხა პატარა თენგო, თითქოს თვალდახუჭულს წამწამებზე ვიღაც წაეთამაშა. ჯერ რამდენჯერმე საწოლში შეიშმუშნა, მერე რომ აღარ მოემენენ, ხელიც მოიქნია. ამ ზედმეტმა მოძრაობამ კი მძინარე ბიჭი შეაშფოთა და თვალეები დააჭყიტა. ჯერ საბანი მხოლოდ სახეზე გადაიძრო, მერე ხელებიც ამოყო, გაიზმორა. „უი, გათენებულა. ნეტავ ბებო სადაა. პირველად დავრჩი მშობლების გარეშე სოფელში და როგორ მიმატოვა სახლში მარტო?!“ გაიფიქრა გულში მწყრალად და საბნიდან ამოცოცდა. სასწრაფოდ მოკლე შარვალი ამოიცვა და ეზოში გავარდა.

ბებო არსად ჩანდა. სამაგიეროდ მამალი დახვდა, რომელსაც წაგრძობლებინა კისერი და ირგვლივ შემოკრებილ დედლებთან ომახიანი ხმით იწონებდა თავს: – ყიყლიყოლოლოო! თენგოს დანახვამ მამალი კი გააჩუმა, მაგრამ დედლები აკაკანდნენ. მამალიც რის მამალი იყო, თავისი მრავალრიცხოვანი ქალბატონები არ დაეცვა. ბოლოსდაბოლოს ჰარამხანაში ერთადერთი მამრი ცხოვრობდა, და მთელი სადღეღეთი მის იმედად იყო. მანაც არ დააყოვნა. ისევ წაიგრძელა კისერი და ჯერ ნელა და დინჯად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი მოწინააღმდეგე თენგოსკენ, თითქოს ძალებს სინჯავსო, შემდეგ კი შეშინებული ბიჭი რომ დაინახა, ფრთები შეაფართოხუნა და ფეხს აუჩქარა. თენგომ „მტერს“ ზურგი აჩვენა და ისე მოკურცხლა, იფიქრებდით ფრთები მამალს კი არა მას ჰქონდა. თან გაპკიოდა: – ბებიაააა! თენგოს ხმაზე ქათმები კრიახებდნენ და იდგა ერთი ალიაქოთი თამარა ბებოს ეზოში.

ის იყო მამალი ეწეოდა და ზურგში უნდა ჩაფრენოდა, რომ ბებიას ომახიანი ხმაც მოისმა:

- აქა ვარ, ბებო გენაცვალოს, არ შეგეშინდეს!
- პატრონის ხმაზე მამალი დარიგებულივით შედგა.
- შენ მოისპი თუ ბავშვისა და დიდის გარჩევა იცოდე, – შეუტია მამალს თამარამ და აკანკალებულ შვილიშვილს მოეხეია, – არ გრცხვენია ბებო, მამალმა როგორ შეგაშინა ამხელა კაცი. შეხედე რა ერთი ციდაა. მუხლამდეც ვერ მოგწვდება, – თან მუხლებზე ხელი მოუსვა თენგოს, – უი, მომიკვდეს თავი, სულ სველი გაქვს შარვალი, ნუთუ ასე ძალიან შეშინდი, ბიჭო?!
- რა მუხლამდე. მამალს ფრთებიც აქვს და ფეხებიც. მე კი მარტო ორი ფეხი მაქვს. ის დიდი ნისკარტით იკბინება, მე კი... – სლუკუნებდა თენგო.
- კარგი, ბებო გენაცვალოს, მე თამარა არ ვიყო თუ შენც არ გაკებინო მაგ მამლისთვის, არ იდარდო!
- არ მინდა, არ დაიჭირო, მაგის ბუმბულებს არ ვუკბენ!.. – აუწია ხმას თენგომ.
- არა, ბები, ახლა არა. დაგკლავ, შეგბრაწავ და მერე. – გაიცინა თამარამ. თენგო ოთახში შეიყვანა, აბანავა, დიდ ნაჭერ პურზე კარაქი წაუსვა, ზედ ყველის ნაჭრები დაუღა და თეფში მაგიდაზე დაუდო. უკვე დამშვიდებული თენგო გემრიელად შეუდგა საუზმის მირთმევას. მუდამ ცნობისმოყვარე ბიჭს კითხვების სადღერდელი აეშალა:
 - ბებო, მამასაც ეშინოდა ბავშვობაში მამლების?
 - არა, ბებო, საშიში არაა მამალი. არ უნდა მიხვდეს,



რომ გეშინია. ჯოხი რომ მოგექნია, დაფრთხებოდა. მამაშენს არაფრის ეშინოდა.

- რატომ მატყუებ ბებო? – ტუჩი ღიმილით აუთამაშდა თენგოს.
- ტყუილს ვიკადრებ ამ ხნის ქალი? რატომ უნდა მოგატყუო. არ ეშინოდა! იქეთ ეშინოდა მამაშენის ყველას და ყველაფერს! – ამყავდ უთხრა თამარამ და თითქოს ნდობის მოსაპოვებლად თვალეებში ჩააცქერდა.
- აბა, დედა რომ ეუბნება-ხოლმე, მშინარა ხარ, ურისკო და უნაითო. ვერაფერს მიაღწევ ერთი ადგილი თუ ტკეპნეო?!
- თამარას ფერი დაეკარგა, ყბა აუთამაშდა. როგორ უნდოდა ახლა, ამ წუთას ამ სიტყვების ავტორი, მისი რძალი მჯდარიყო თენგოს ადგილას. შვილიშვილთან არაფერი შეიმჩნია:
 - ეხუმრება ალბათ, ბებო გენაცვალოს.
 - არა, ბებო, ისეთი სერიოზული სახე აქვს-ხოლმე, ხმას ვერ ვიღებ შიშისგან, რამე რომ ვკითხო...
 - თენგო, შვილო, ხშირად ადამიანები ერთმანეთზე რომ ვბრანდებით, ისეთი რამ წამოგვცდება, მერე ვნანობთ, ოი, ეს რამ მათქმევინა. ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ გავცხარდი, შეურაცხყოფას არც ვაპირებდი, უნებურად მომივიდა და კიდევ ბევრი რამ. გავიწყდება, რომ უფალმა პირში ენა რომ გამოგვაბა სამეტყველოდ, თავში ტვინი ჩაგვიდო სააზროვნოდ. ენის წინ კბილები დაგვიყენა, რომ ზედმეტი არაფერი გადმოგვცდეს და ტვინის ასამუშაველად ყოველდღიური სწავლა-განათლება დაგვიწესა. მაგრამ ხდება ისე, რომ სიბრაზე ყველაფერს გავიწყებს და ვედ-

არ ვმართავთ უფლისგან ნაბოძებს... ვინც ამ ყველაფერს საერთოდ იფიქრებს, უტაქტო და უზრდელი რჩება მთელი ცხოვრება...

– კარგი რა ბებო, რა ჩემი მასწავლებელივით მელაპარაკები. როცა უცებ წამოცდებათ, მეორედ ხომ აღარ იმეორებენ. დედა კი ხშირად ეუბნება. – თქვა თენგიმ ამაყად და ბოლო ლუკმა კარაქიანი პური ჩაიდო პირში.

– მოდი, ნუ ჩავერევით მათ საქმეში. ჩვენ ახლა სადილი გვაკეთოთ. – ისე იყო თამარა მოცელივით სკამზე მისვენებული, სადილის თავიც აღარ ჰქონდა.

– ბებო, მე ველოსიპედით მინდა ვიარო და ეზოში მამლის მეშინია. ახლა მე გამომეყვი და სადილი როცა მოგვშვდება, მერე გააკეთე.

– რას ამბობ, შვილო, მერე უეცრად რას მოვასწრებ. ახლა სადილი გვაკეთოთ და ველოსიპედით მერე ჭიშკარს გარეთ გაგიყვან, დიდ გზაზე. მამაშენიც იქ დადიოდა-ხოლმე.

– მამა როგორ დადიოდა, ველოსიპედი არ ჰქონდა.

– გოგა ბიძიას ჰქონდა და ის ათხოვებდა-ხოლმე. შენ რა იცი, რომ არ ჰქონდა?

– დედამ უთხრა, არაფერი სათამაშო შენ არ გქონდა და რას განვითარდებოდი, ამიტომ ხარ ტვინდანშული და ვერ იგებ რას გეუბნებიო. რას ნიშნავს ბებო დახშული?

თამარას ბოლო კითხვა აღარ გაუგონია. გაცხარდა:

– მამას ველოსიპედი არ ჰქონდა, მაგრამ იმდენი წიგნი ჰქონდა, ველოსიპედისთვის სად ეცალა. დედაშენი რომ კაფეებში ყავის დასალევად დარბოდა, მამაშენი მესამე დიპლომს იღებდა მაშინ... – თამარას ნერვებმა უმტყუნა. პირველად თქვა რძალზე სასაყვედურო სიტყვა.

– უი, ბებო, დიპლომი რა არის?

– განათლების დამადასტურებელი საბუთია, შვილო...

– და ბალიშის ქვეშ ამოსადებია ხომ ეგ საბუთი?!

თამარას მუხლებში ძალა გამოეცალა, სისუსტე იგრძნო.

– ვაი, ჩვენი ცოდვა, – ჩაილაპარაკა და კაბის კალთით ცრემლი ჩუმად მოიწმინდა: – ესეც დედამ თქვა? არა, ბებო, დრო მოვა და სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსება... მამაშენს რომ უყურებ, მისნაირი განათლებული ცოტა თუ დადის საქართველოში. სამსახურიც კარგი უნდა ჰქონდეს და მანქანაც ემსახურებოდეს. მან კი თავისი ხელფასით საკუთარი მანქანაც ვერ იყიდა.

– ჰო, დედა დასცინის ხოლმე, როდემდე უნდა იმუშაო ამ კაპიკებზე, ფეხსაცემელს ცვითავ ტყუილადო.

– რა მესმის ეს! შეუჭამია ცოცხლად! ფეხსაცემელს ცვითავს თორემ მაგ ყიდულობს-ხოლმე! – განწირული ხმით იყვირა თამარამ.

– აბა, ვინ ყიდულობს ბებო? მამაჩემმა გიყიდა ფეხსაცემელიც თორემ ცალ-ცალი კალოშით ჩამოხვედი სოფლიდანო...

– რაო? – ნერვებს ძლივს იოკებდა თამარა, – მერედა თუ ასეთი უქნარა, ტიტველ-შიშველი და განუვითარებელი იყავი მე რაღას მოგყვებოდიო, თუ კალთები დაახიეს?

– ჰოო, სულ წუწუნებს, თვალები რომ არ დამბრძანებოდა, შენ როგორ გამოგყვებოდიო. ერთხელ მამას ვკითხე, დედა რომ ცოლად მოიყვანე, ბრმა იყო და ვერ ხედავდათქო? მამამ ჯერ გაცხებულმა შემომხედა, მერე გაეღიმა და მითხრა, ბრმა იყო და მე აუუხილე თვალებიო. ვერ გავიგე, ბებო, დედა მართლა ბრმა იყო და სათვალთაც

ვერ ხედავდა?

თამარას უკვე აღარაფერი ესმოდა, მართლ იმაზე ფიქრობდა, ტელეფონით გაერკვია ეს ამბავი თუ პირადად დადგომოდა თავზე შვილს და რძალს. მერე ჩაილაპარაკა, ბრმა მე ვყოფილვარ ამდენი ხანიო და ფეხზე წამოდგა:

– თენგო, შვილო, ჩაიცვი ჩქარა, თბილისში მივდივართ!

– სად მივდივართ?

– თბილისში!

– ბებო, არდადეგები მაქვს და გუშინ არ ჩამომიყვანა მამამ?

– ჰოდა ის მამა უნდა ვნახო, სიტყვას რომ არ დაძრავს-ხოლმე ჩემთან. ...და დედაშენიც! – დაამატა მრავალმნიშვნელოვნად.

თენგიმ ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ ცოტა კი დაფიქრდა. ბებოზე ადრე ჩაიცვა და კართან დადგა. თამარაც მოემზადა, მეზობელს პირუტყვი და ფრინველი ჩააბარა, საღამოს დამიბინავეო და 12 საათიან სამარშრუტო ტაქსს გაჰყვა თბილისში.

შუადღე იყო, თამარა შვილის კორპუსს რომ მიადგა დიდმის მასივში. ლიფტის ეშინოდა და მეშვიდე სართულამდე ძლივს ხვნემით აიარა კიბეები. ზარი დარეკა.

– ვინ არის? – მოესმა რძლის ხმა და კარიც გაიღო. ნანა ცოტა შეცბა:

– რა მოხდა, ხომ კარგად ხართ? თენგო, დედიკო, რა დაგემართა? – დააყარა გოცხებულმა კითხვები დედამთილს და შვილს. თან ხედავდა, რომ ორივე საღსალამათი და ჯანმრთელი ჩანდნენ. ხმას კი არცერთი იღებდა. ისევ ნანა გამოცოცხლდა: – შემოდი, დედა, შემოდი. თენგიმ გაგაბრანა თუ ვერ გაჩერდა უჩვენოდ და იტირა. რატომ არ მითხარი ტელეფონზე. ასე აღარ გაგაწვალებდი. მე და გურამი ჩამოვიდოდით მანქანით.

ოთახიდან გურამიც გამოვიდა: – დედა?! – გოცხებულმა ჩაილაპარაკა, – ხომ მშვიდობაა?

– კი, შვილო, ჩემთან მშვიდობაა. თქვენთან, აქ რა ხდება? – ამოიღო ძლივს ხმა თამარამ და შვილს და რძალს შეხედა.

– აქ რა უნდა ხდებოდეს, დედა, გუშინ არ ვნახე სოფელში თენგო რომ ჩამოვიყვანე და გესაუბრე?! ცუდად ხომ არ ხარ? – გაიკვირვა გურამმა.

– მე ვარ ცუდად თუ... – აღარ დაასრულა თამარამ.

– დაჯექი დედა, წყალი დალიე, დაღლილი იქნები. გეშინებათ კიდევ. თენგო, ბებო არ მოაწვინო, მე სუფრას გავმლი. – მერე ქმარს მიუბრუნდა ნანა, – გურამ, საყვარელო, სამზარეულოს მაგიდაზე შენი პროექტის ნახაზებია გაშლილი. მისაღებში მაგიდა გამომაწვინე, გთხოვ.

თამარა გაქვავებული და ხახაგამშრალი იჯდა და თავის გაჩენას წყევლიდა გულში, როგორ დაუუჯერე და აყვავი ამ ერთი ციდა ბავშვის ენასო. ცოტა ხანში ნანა ისევ დიმილით შემოვიდა ოთახში: – დედა, წამოდი, სუფრა გავმალე. ჩვენც არ გვისადილია. გურამი საქმიანობდა და არ შეუუშალე ხელი, არ მოვაცდინე. თენგო, დედიკო, მოდი შენი საყვარელი ზორცის ღვეზელიც გამოუაცხვე!

სუფრას მიუსხდნენ. ყველას რაღაც დამაბულობა ეტყობოდა. თენგოც გრძნობდა ამას და ხვდებოდა, დამნაშავე იყო. იცოდა, რომ გრძელი ენა ჰქონდა (ესეც ბევრჯერ მოისმინა დედისგან) და მისმა ნალაპარაკებმა ააღელვა თამარა ბებოც. თუმცა ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, რა

თქვა ასეთი საშინელება. ყველაფერი ხომ მართლა მოისმინა... სიჩუმე ისევ გურამმა დაარღვია:

– დედა, აღარ იტყვი, რას მივაწეროთ შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სტუმრობა?

– რა იყო შეილო, თუ არ გესიამოვნა, ახლავე ავდგები და წავალ.

– აბა, რას ამბობ დედა, ეგ რამ გაფიქრებინა! – გურამის მაგივრად შეიცხადა ნანამ და გურამს გახედა, რამე თქვიო.

– გუშინ სოფლიდან წამოვედი, არაფერი გითქვამს. გვიან დავრეკე, არც მაშინ გიხსენებია აქ ჩამოსვლა, დღეს რა მოგელანდა, წუხელ სიზმარი ნახე რამე? – ირონიულად ჩაიღიმა გურამმა.

თამარას პასუხი არ ჰქონდა. აქ ისეთი ურთიერთობა და სიტუაცია დახვდა, ვერ მოყვებოდა იმ ყველაფერს, რაც შვილიშვილისგან მოისმინა. დაიძაბა, ყველაფერს მოელოდა და ასეთ დახვედრას კი არა. თუნგოსაც თავი ჩაეღუნა და ფიქრობდა, ახლა რომ ბებიამ მოყვეს, რაც მე დილით ვუთხარი, ალბათ დედა იყვირებს, მეც მიყვირებს, მერე მამა გაბრაზდება, ბებოც ისევ გაცხარდება, როგორც სოფელში... უეცრად ფეხზე წამოხტა:

– დედა, სოფელში რომ არ ჩამოხვედი და მარტო მამამ ჩამიყვანა, ბებომ ინერვიულა ან ცუდადაა, ან ჩემზეა ნაწყენიო. მამასაც არ დაუჯერა და მგონი შენს სანახავად წამოვიდა. მეც ხომ მარტო არ დამტოვებდა...

თამარამ ჯერ გაოცებისგან პირი დაალო, მერე ნელ-ნელა გაიღიმა, შენ გენაცვალოს ბებოო, ჩაილაპარაკა და

რძლის მომდიმარ სახეს და ცრემლმომდგარ თვალებს რომ წააწყდა, მაშინ ღიმილისგან თვითონაც მთლად ყურებამდე მოხსნა პირი... ნანა ფეხზე წამოდგა, დედამთილს გადაეხვია, დედა, რატომ არ მითხარი, როგორც კი მოვიცლიდი, ჩამოვიდოდი, მანქანითაც წამოგიყვანდი. ასე როგორ შეწუხდი ჩემთვისო.

სითბოსთვის სულ პატარა ყურადღების ნაპერწკალი უნდა ურთიერთობას, რომ იმ დიდ სიყვარულად გადავივდეს, რაც იმ საღამოს კალმახელიძეების ოჯახში ენთო. ცალ-ცალი კალოშით ქალაქში ჩამოსული სოფლელი, სამდიპლომიანი გურამი, თავის პროექტს დასტრიალებდა. რძალ-დედამთილი კი ტელივიზორის წინ ტახტზე მოკალათებული, ტკბილად საუბრობდნენ, იხსენებდნენ ნათესაებს, ყვებოდნენ სოფლისა თუ ქალაქის ამბებს. ამ ღამეში საღამოს ორგანიზატორი თუნგო, მსგავსი ჰარმონიის შემხედვარე, ბედნიერების მწვერვალზე იყო. ეფერებოდა დედას, მამას, ბებოს.

ძილის წინ მხოლოდ ერთი წინადადებით უთხრა რძალს და შვილს თამარამ, რომ თუნგო უკვე 7 წლისაა და მასთან პირად პრობლემებზე ნუ ილაპარაკებთო.

მეორე დილით ტკბილად გამოძინებული და რძლის მზრუნველობით განებფრებული თამარა ისევ იმ სამარშრუტო ტაქსში იჯდა, რომლითაც ადელევებული და აფორი-აქებული თბილისში ჩამოვიდა. ახლა პირიქით, უკან ბრუნდებოდა, თანაც სულ სხვა განწყობით. ბედნიერება სახეზე დასთამაშებდა. ენაჭარტალა, ალიაქოთის ამტეხ ბიჭს კი თავი ბებიის კალთაში ელო და მშვიდად თვლემდა.

ქეთი ივარლიძევილი

სყფთა ფურცელი

ცოტნე

სკოლაში რო მივდივარ, ბიძია ბუბლიკა თავის სახელოსნოშია და მუშაობს. ახლოს როცა ჩავუვლი, მესალმება და ბუბლიკებს მთავაზობს. უარს არასოდეს ვუბნები. გამოვართმევ ხოლმე და მესამე გაკვეთილის მერე დიდი დასვენება რო მაქვს, მაშინ ვჭამ. ეს სახელი მე შევარქვი. ისე ნოღარი ჰქვია. პატარა ხის მაგიდაზე მუდამ ბუბლიკების ასხმა უდევს, თვითონაც ხშირად ჭამს და კლიენტებსაც მაგიტ უმასპინძლდება. ოთახში სურათები, ფიგურები, სამუშაო იარაღები და ათასი ხარახურა უწყვია. სკოლაში წასვლას მაგასთან ყოფნა და იმ ქაოსის ყურება მირჩევნია, გასართობს ყოველთვის ვპოულობ, მაგრამ ვერე რო მოვიქცე, ბებიანემი და დამრიგებელი ისეთ ამბებს აწვევენ, ისევ კლასში ჯდომა ჯობია. ხატვა ბიძია ბუბლიკამ შემაყვარა, კარგად გამოსდის და მეც მასწავლის, ოღონდ მაგას ქვაზე და რკინაზე მუშაობა უფრო უყვარს. როცა ვთხოვ ეგეც მასწავლოს, შენთვის ჯერ ადრეაო მეუბნება.

ბიძია ბუბლიკასთან ყოფნა იმიტო მიყვარს, არაფერში მზღუდავს და რაც მაინტერესებს, იმას მასწავლის. სკოლაშიც მყავს ფაფორიტი მასწავლებელი. ელენე ჰქვია და ინგლისურს მასწავლის. მაგის საგნის არაფერი გამეგება,



მაგრამ რავი, მაინც მიყვარს. უფრო სწორად, ელენე მასწავლებელი მომწონს, კაი ქალია.

მასწავლებლები ჩემზე ამბობენ სადღაც დაფრინავსო. საკლასო ოთახში ჯდომით რო არ მოვიწყინო, რვეულში მოდებებს ვხატავ ხოლმე. ეგ არის ჩემი ფრთებიც და ფრენაც. შენიშვნას მამლევს სისულელეების ხატვას შეემვი და ჩვენ მოგვისმინეო, მაგრამ რასაც ხსნიან, არაფერი მესმის, ვერც კითხვებს ვუსვამ, მეშინია არ გამლანდლონ.

კლასელებს მაგრად არ ვეკვასები. ბიჭები დამცინიან, სუ გოგოებს და მაგათ ტანსაცმელს რა პონტიში ხატავ, გეი ხარო? გოგოებიც სხვანაირად მიყურებენ და ჩემთან კონტაქტს ერიდებიან. თუ რამეს ვთხოვ ან ვეკითხები, აგდებულად მპასუხობენ. ჰოდა, აღარაფერს ვუბნები. წინა კვირას რომელიღაც სკოლიდან ახალი მოსწავლე გადმოვიდა და ჩემ გვერდზე ადგილი რო ნახა, დაჯდა. ასე უთხრეს – მაგასთან რა გინდა, არაუინ ემეგობრება და ჩვენთან დაჯექიო. იმანაც დაავლო ჩანთას ხელი და გადაჯდა. არც მისთვის მითქვამს რამე...

სკოლის სივრცე ყელში მიჭერს. როცა რაღაც მინდა ვთქვა ან გავაკეთო, მახსენდება შეცდომების დაშვებისთვის ბავშვებმა რამდენჯერმე როგორ დამაბულინგეს და ვჩერდები. მერე ვიბოლმები და მინდა ყველას, ვინც დამცინის, რამე დაუშვაო. ერთხელ ერთს ხელში ფარგალი ჩავარჭე და სკოლის ადმინისტრაციამ ბებო დაიბარა. მოახსენეს, აგრესიული შვილიშვილი გყავთ და ყურადღება სჭირდებაო. მთხოვა, წყნარად იყავი და ნუ მანერვიულებ, თორე მოგკვდებიო. ჰოდა, წყნარად ვარ და ხელს არავის ვუშლი, მაგრამ მაინც არ მანებებენ თავს, ისწავლეო ტვინი გაღუნეს.

ჩემი ბებო სადამომდე სახლში არ არის. ქუჩაში დვას და მწვანის ყიდის. მარტო ყოფნა არ მიყვარს და გარეთ ვაგდევარ. ნია და მარიტა თუ ეზოში არიან, მაგათთან ვთამაშობ. მხოლოდ ეგ ტყუპი გოგოები მიგებენ და თავის სათამაშობსაც მათხოვებენ ხოლმე. იმ დღეს, წვიმა რო წამოვიდა, ეზოში გუბებები გაკეთდა და შიგნით ვიხტუნავეთ. მაგარი იყო. კლასელებს რო დავენახე, ისევ დამაბულინგებდნენ პატარა ბავშვებით იქცევიო, მაგრამ ბიძია ბუბლიკას მეტს, არავისაც არ დაუუნახივარ. იმან კიდევ არაფერი მითხრა.

ბიძია ბუბლიკა მარტოს თუ მხედავს, მეძახის ხოლმე. თუ არ ვხატავთ, რაღაცებს მვალებს. რო ვხმარები, მიხარია. იმიტო, რო მერე მაქვს და მადლობას მიხდის. ხანდახან საღებავებს მწუქნის და სახლშიც ვხატავ. კედლებზე ჭიკარტებით ჩემი ნახატები მაქვს მიმაგრებული. ბებია არ მიშლის. შემპირდა, ბანკის ვალს რო მოვრჩები, მოლბერტს გიყიდის. ერთი სული მაქვს, ვალი გადაიხადოს.

ბუბლიკა

ჩემი სახელოსნო ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის ეზოში მდებარეობს. ვიდრე შევისყიდდი, იქვე მცხოვრები მოსახლისგან ვქირაობდი. ერთხელ ძალიან მწწუხებული იყო, თავის შვილიშვილს ეძებდა, ის კი არსად ჩანდა. ლამის მთელი უბანი გადავებრუნეთ. ბოლოს ჩვენივე ეზოში, სახელოსნოს უკან რომ უმსხვილესი ხე დვას და მის უკან სხვა ეზოს კედელია, იქ მივაგენით. მის სამალავს ვიწრო მისადგომი ჰქონდა. ცალი თვალით შევიხედე და დავინახე ძირს იჯდა, თავი მუხლებში ჩაერგო და არ ინძრეოდა.

ცოტნე, შენ ხარ? – დაუძახე, მაგრამ ხმა არ გამცა. მანდ რას აკეთებ-მეთქი? – ვკითხე. მივხვდი, აშკარად რაღაც უჭირდა. ისევ არაფერი თქვა, ფეხზე წამოდგა და გამოვიდა. საწყალმა ბებიამისმა მის დანახვაზე შვევით ამოისუნთქა. შენ უნდა მომკლაო?! – საყვედურნარევი კითხვა აღმოხდა და თავის ქნევით უკან გაჰყვა.

მეორე დღეს ცოტნე ეზოში ჩამოვიდა. ჯოხი აიღო და მიწას ჩიჩქინდა, თან თვალს ჩემი სახელოსნოსკენ აპარებდა. მოწყენილი ჩანდა. გავედი და დაუძახე. სახელოსნოში შემოვიდა და აქეთ-იქით იყურებოდა. შევატყვევ, ჩემი საქმიანობით დაინტერესდა. გავეცანი, პროფესიით მოქანდაკე ვარ და რასაც აქ ხედავ, ყველაფერი მე შევექმენი-მეთქი. გაუკვირდა, ჯერ რკინის და ქვის ფიგურები შეათვალიერა, შემდეგ სურათებს მიაღდა და მკითხა, ხატვაც იცითო? გამეცინა. თუ გინდა, ფუნჯებს და საღებავებს მოგცემ და შენც დახატე-მეთქი. გაუნხარდა და თავი დამიქნია. მას შემდეგ ხშირად მაკითხავს, ხატვას ვასწავლი. კარგი ბავშვია, ოღონდ ცოტა თავისებური. ხელოვნების მიმართ აშკარად აქვს მიდრეკილება და თუ ამ კუთხით წავა ცხოვრებაში, შეიძლება ჩინებული შედეგიც აჩვენოს.

ელენე

ცოტნე გულჩათხრობილი მოსწავლეა. დღით და მამით ობოლი და ბებიასთან იზრდება. სანამ პირადად გავიცნობდი, მისი ოჯახის ისტორიის შესახებ გარკვეული ინფორმაცია კლასის დამრიგებლისგან მივიღე და მივხვდი, განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებოდა. ასეც არის, მუდამ ვცდილობ მასთან ურთიერთობისას ძალიან ვიფრთხილო და ეს ყველაფერი ისე გავაკეთო, ბუნებრივი ელფერი მიეცეს. ვაღიარებ, ასეთ მოსწავლესთან ურთიერთობა ჩემთვის ახალი გამოწვევაა და წინ ბევრი რთული ნაბიჯის გადადგმა მომიწევს. როცა პირველად დავინახე, მერხთან მარტო იჯდა, რვეული გადაქმალა და რაღაცას ხატავდა. არ შემომჩნია. მივუახლოვდი, ხელი გაუწოდე და გავეცანი. გაკვირვებული თვალებით ამომხედა და გაწითლდა. მერე წამოდგა და თავი ჩაქინდრა, თითქოს ჩემ წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო. ძალიან დაიძაბა, შევატყვევ, ჩემთან ლაპარაკს გაუბოლოდა. ვუთხარი წინა მერხზე გადმოჯექი, მინდა ყველა მოსწავლე ახლოს მყავდეს-მეთქი და უარი არ უთქვამს, უსიტყვოდ დამთანხმდა.

ვერ ვიტყვი, რომ სწავლაში დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სახალისო აქტივობებში ჩაერთო, ცოტა გაიხსნა და საგნის მიმართ ინტერესი გამოიჩინა. ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი ეს არის, დანარჩენს ნელ-ნელა, ერთობლივი მუშაობით მივალწევთ.

იმ დღეს გრძნობებისა და ემოციების შესახებ ახალი მასალა ავხსენი, შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე, პატარა ფურცელი აეღოთ და თუ დაფაზე ჩამოწერილი ცუდი ემოციებიდან რომელიმე მათგანს მსგავსი რამ აწუხებდა, დაეწერა, დაეჭმუჭნა და რაც შეიძლება, შორს ესროლა. ასეთი ხერხი ხშირად ამართლებს, ადამიანს უარყოფითი გრძნობებისგან ათავისუფლებს და ვიფიქრე, სასწავლო პროცესშიც გამართლებული იქნებოდა, თან ახალი სიტყვების გადარჩევის პროცესში მნიშვნელობებს კიდევ ერთხელ გადახედავდნენ და უკეთესად დაისწავლიდნენ. ვერ ვიტყვი, ცუდი ემოციების ფურცელზე გადატანა ბევრს მოუწია, რაც ცხადია, სასიამოვნოა, მაგრამ დავინახე,

რომ ცოტნემ დაფიდან რამდენიმე სიტყვა გადაწერა, შემდეგ თითების ნერვიული მოძრაობით ქალაქისგან გუნდა გააკეთა და კედელს მთელი ძალით ესროლა. იმედი მაქვს, ოღნავ მაინც დავეხმარე...

ცოტნე

ღამე უცნაურ, ყვითელთვალეა არსებებს ვხედავ. მაგარი საზიზღარი შესახედაობა აქვთ და გაშეშებული სიარული იციან. როგორც კი ძილს დაეპირებ, ჭიანჭველების ბუდეების მსგავსი ხვრელებიდან ამოდიან, სიმაღლეში იზრდებიან და აღმა-დაღმა სეირნობენ. ზოგჯერ ჩემთან სალაპარაკოდ საწოლზე სხდებიან. მაგ დროს ისე მეშინია, შიგნიდან ყველაფერი მეყინება, საბანს ვიფარებ და თვალებს ძალიან ვხუჭავ, რო თუ იქაც შემოდგინენ, ვერ დაეინახო. ერთხელ, როცა ბუდეებიდან ამოდიოდნენ, გარეთ კატებმა ისეთი ჩხავილი ატყეს, ლოგინში ჩავიფსი. მერე ბებო მეჩხუბა, რა დროს შენი ეგეთებია, პატარა ბიჭი ხო არ ხარო და ვერ ვუთხარი, რო იმ არსებების ბრალი იყო. ვერავის ვუბნები მაგათ შესახებ. იფიქრებენ, რო ვიტყუები. არ მინდა მატყუარა დამიძახონ. მაგ არსებებთან საუბარს ვერ ვბედავ. რობოტივით ხმა აქვთ და სიტყვას რო იტყვიან, სუ მაკანკალებს. ბუდეები ოთახში ბევრი აქვთ. დღე იმალებიან, იქ დაფუთფუთობენ და ღამე გამოდიან. როცა წარმოვიდგენ, რო ის ხვრელები შიგნით უფრო ღრმაა, ღამე ვეღარ ვდგები და ვერც ტუალეტში გავდივარ. ასე მგონია, იმ ხვრელებს შემთხვევით ფეხი რო დაუბიჯო, ჩატყდებიან, სადღაც ჩამითრევენ და ვერავინ მიპოვის. არ მინდა დავიკარგო...

ბოლოს რამდენიმე დღის წინ მოვიდნენ და ყველა ერთად საწოლთან მოგროვდნენ. ჩემ სახელს იძახდნენ და ხელებს მიწვდიდნენ – გამოგვეყვიო. ისე შემეშინდა, ხმას ვერ ვიღებდი. როგორც იქნა, გაგებდე და ჯერ ბებოს დაუბახე და რო ვერ გაგაგონე, მერე დედა-მეთქი – ამოვიკნავლე. ცოტა ხანში თითქოს ძრავა ჩაირთო და გუგუნო ატყდა. ოთახი დამაბრმავებელმა შუქმა გაანათა. იმ არსებებმა ჯერ სახეზე აიფარეს ხელები, მერე ისევ ჭიანჭველებით დაპატარავდნენ და ბუდეებში ჩაძვრნენ. ყვირილი ატყქე და ოთახიდან გაგვარდი. ბებომ გაიღვიძა და მკითხა ცუდი სიზმარი ნახეო? თავი დაუქუჩიე. იმან წყალი დამალევინა, ჩამეხუტა და მითხრა – წამოდი, მეც გვერდზე მოგიწვებიო. ოთახში ძლივს შემეყვანა და საწოლში რო ჩავწექი, ერთ კედელს შევაძმინე ოღნავ ანათებდა. ზედ დედაჩემის ჩრდილი იყო გამოსახული. ფილმებში რო კადრებია, ისიც ზუსტად ისე, ზურგშექცევით ლამაზ მინდორზე მიდიოდა. მისთვის აღარ დამიძახია, ვიცოდი, არ დაბრუნდებოდა...

გათენდა თუ არა, ბებო წავიდა. ყოველთვის ადრე გადის სახლიდან. ამბობს, მწვანილი პირველი ხელისგან თუ არ ვიყიდე, მერე გადამყიდველები ცეცხლის ფასს ადებენო. მეც ავდექი, ელენე მასწავლებელს შევპირდი დავალებას დაწერ-მეთქი და რახან შევპირდი, სირცხვილი იქნებოდა, რო არ მიმეტანა. ბევრი რამე ვერ გავიგე, მაგრამ მაინც დაწერე. მერე სანამ სკოლაში წავედი, სააბაზანოში გავედი, ტაშტები წყლით გაავსე, ჩემ ოთახში შევიტანე და იატაკზე დავაქციე. ბებომ სკოლაში მომაკითხა და მეჩხუბა მეზობელთან წყალი რატო ჩაუშვიო. ვერ ვუთხარი, რო ყვითელთვალეა არსებების ბუდეები წყლით ამოვავსე და შიგნით ჩავხოცე.

ბუბლიკა

ბოლო დროს ცოტნეს პოზიტიური ცვლილებები შევნიშნე. უწინდებურად მორიდებული და ჩუმი ბავშვი აღარ არის. მართალია, ბევრი ლაპარაკი ისევ არ უყვარს და ფიქრი უფრო იზიდავს, მაგრამ ცოტა გაიხსნა და სითამამესთან ერთად ხალისიც მიეცა. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, თუცა მიხარია, რადგან ხატვის დროს სვამს კითხვებს და ნაკლებ შეცდომებს უშვებს.

როცა რამის თხოვნა უნდა, არც მაშინ იკავებს თავს. დღეს მომადგა სათევზაოდ როცა წახვალთ, თუ შეიძლება, მეც წამოვალო. ადრე, როცა ვუბნებოდი, ყოველთვის უარზე იყო. ახლა ადგილებით და თევზის ჯიშებით დაინტერესებულმა სასიამოვნოდ გაოცებულიც კი დამტოვა. თურმე ინტერნეტში შემძვრალა და ინფორმაცია წინასწარ მოუქექია. მოვილაპარაკეთ, ამ შაბათ-კვირას სიონის ტბაზე მივდივართ. იმედი მაქვს, თევზი პასიური არ დაგვხვდება.

ელენე

ცოტნეს ჯგუფურ აქტივობებში ხშირი ჩართულობა ჩემი მხრიდან ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ვიცოდი, თავიდან კლასელები მასთან მუშაობას არ მოინდომებდნენ, მაგრამ დავალეები ისეთი დეტალებით დავტვირთე, მისი ხატვის ნიჭი მათ საქმეს ძალიან წაადგებოდა და ჩემდა გასაკვირად, სიტუაცია იმაზე უკეთესად წარამართა, ვიდრე წარმოვიდგენდი. ასე შეიქმნა საკლასო ოთახის კედლისთვის ვიზუალურად საუკეთესოდ გაფორმებული პრეზენტაციები, ბავშვების ფანტაზიებით შექმნილი დაწესებულებების ლოგოები, ორიგინალური მოხაზულობებით დაწერილი საინტერესო შინაარსის ტექსტები და რამდენიმე თვეში ყველასგან შეუმჩნეველი ცოტნე ჯგუფურ მუშაობებში ერთ-ერთი სასურველი კანდიდატიც კი აღმოჩნდა. თავად მან კი თვითმფეასების უნარი შეიძინა და როგორც ინდივიდს, საკუთარი შესაძლებლობების წყალობით, თანდათან თავდაჯერებულობა ჩამოუყალიბდა. ამასთანავე, აღარ ეშინია შეცდომების დამწვების, რადგან იცის, რომ სასწავლო პროცესისთვის ეს თანმდევი ნაწილია და ყველას შეიძლება დაემართოს.

დამრიგებელმა აღნიშნა შესვენებებზე ცოტნემ ბავშვებთან ურთიერთობა დაიწყო და სულ ერთ ადგილას აღარ ზისო. რადგან ამ ბავშვში ცვლილებების სურვილმა გაიღვიძა, ბევრ რამეზე მეტყველებს და მჯერა, დროთა განმავლობაში კომპლექსებს მოერევა.

საახალწლოდ ჩარლზ დიკენსის „სამობაო სიმღერის“ მიხედვით სპექტაკლის დადგმას ვკვებავ. ცოტნემ ინგლისური რომ კარგად იცოდეს, სწორედ ებენეზერ სქრუჯის როლისთვის მორგებული პიროვნებაა, მაგრამ იმედგაცრუება რომ არ მიიღოს და სწავლისადმი მოტივაცია შერჩეს, ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ და ნაკლები მოცულობის ტექსტით, მხოლოდ სქრუჯის ბავშვობის როლით დავტვირთავ.

ცოტნე

ყვითელთვალეა არსებები დიდი ხანია აღარ გამოჩენილან. ალბათ, წყალმა ყველა დაახრჩო. ახლა ვცდილობ, ღამე ნორმალურ ძილს შევქვიო, თუცა ხანდახან მაინც

ვეფხივლობ, რა ვიცი, იქნებ ისევ დაბრუნდნენ. ისე, რაც აღარ ჩანან, გამუდმებით მაგათზე ფიქრს შევეშვი და სხვა რამეებზე გადავერთო.

მე და ბიძია ბუბლიკა წინა კვირას სათევზაოდ წავედით. რა მაგარი ყოფილა თევზაობა. ერთი კარჩხანა დავიჭირე და სიხარულისგან ლამის გავეფიქრე. თევზის ჭამა პატარაობიდან არ მიყვარს და გაუშვი. ბიძია ბუბლიკაც ასე მოიქცა, არც ის გიჟდება თევზზე. მითხრა, თუ ბუნებასთან კონტაქტი ჩემსავით მოგწონს, შემიძლია ხშირად გატარო. იმედი მაქვს, ბებო გამიშვებს ხოლმე.

ხატვას თავს ვერ ვანებებ, ყოველდღე უფრო სერიოზულად მითრევს. ეს დაახლოებით ისეთი რამ არის, როგორც ეზოში ჩემი სამალავი. სუ სხვა გრძნობაა, როცა შენ თავს ისეთ ადგილებს უქმნი, სადაც ვერაუინ მოგაგნებს.

სკოლაში ზოგიერთმა კლასელმა ჩემდამი დამოკ-

იდებულება შეცვალა. ახლა სუ მარტო აღარ ვარ. კარგია, რო მამჩნევენ და ჩემი ხმაც ესმით... ისე ეს ყველაფერი ორი ადამიანის დამსახურებაა – ბიძია ბუბლიკასი და ელენე მასწავლებლის. ბიძია ბუბლიკასი იმიტო, რო ხატვა მასწავლა, ელენე მასწავლებელმა კი შესაძლებლობა მომცა კლასელებს სხვანაირი ცოტნე გავეცანი.

როცა მარტო ვრჩები და ცუდად ვარ, ფურცელს ვიღებ, ვწერ რასაც განვიცდი, მერე თვითმფრინავს ვაკეთებ და ფანჯრიდან ვუშვებ. ასეთი რაღაც ადრე ელენე მასწავლებელმა გაგვაკეთებინა და მომეწონა, ოღონდ მან გუნდების სროლა გვასწავლა, მე კი თვითმფრინავების გაშვება მიჩვევია.

დღეს ჩემი ფურცელი სუფთაა და თვითმფრინავი არსად გაფრინდება. სუფთა ფურცლები არ დაფრინავენ...

მორჩა უკვე? დავშორდით და დავითხოვდით?
თუ სიყვარულს განშორება ცდის?!
სიზმარ-ცხადში შენი სახე რატომ დამდევს –
ნაავდრალზე გამონთება მზის?!
გარეთ ისევ შემოდგომის ამინდია...

* * *

ვერ გამოვდექი დროის მეზობლებდ,
არ მინატრია მლიქვნელის ნიჭი,
გაუფასურდა ბევრი რამ ირგვლივ,
დაკარგა აზრი, გაძლება მიჭირს.
ნეტავ რამდენი უნდა ვეწამო,
რომ დაღლილ სულის შევძლო ცხონება,
ვცდილობ და მაინც, ასე მგონია,
არ კმარა მარტო ერთი ცხოვრება.
რა ვუპასუხო, შენი სიმართლით
თავს იტკიებო, ასე თუ მითხრეს?!
როცა საშობლოს აჭრიან გულ-ღვიძლს,
ჩემი სიცოცხლე რა უნდა ღირდეს?!
ამ ჩემს ცხოვრებას რა უნდა ვუყო
ყოველი დღე რომ მიჩენს თავსატეხს,
თითქოს ჩვილივით ვწევარ აკვანში
ველარ ვეტევი, ვლექვარ არტახებს.
ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მატარებს,
არ მთმობს არაფრით სევდის ლაშქარი,
მაგრამ იმედიც არ დააყოვნებს,
გამოწვდილ ხელით ვგრძნობ რომ აქ არის.
შევაკაზმე ცხენი, ვერ შემაფერხებს
ყინვა-აფრებით მკაცრი ზამთარი,
არც იღბალს ვწყალობ, არც უბედობას,
სიყვარულია, მაინც რაც არის...
კალთებს აივსებს ცა მზის სხივებით,
ტყემლის ყვავილიც პუბლებს დაისევს,
კვლავ ჩემებურად დაუღლი სტრიქონებს,
ლექსს შევაგებებ მზიან დაისებს!..
ნეკერჩხლის ფოთლებს შევუშრობ ცვარ-ნამს,
უთუოდ გულში უნდა ვახარო,



ბელა ალანია

* * *

გარეთ ისევ შემოდგომის ამინდია,
ძველებურად გულშიც სევდა ცრის,
თუკი ახლა ყველაფერი გვიანია
და დრო შენზე გადამაჩვევს ფიქრს...
გარეთ ქარი სადეკემბრო ნისლებს წეწავს,
მძინარე ხეს ბოლო ფოთოლს ხდის,
სადღაც აქვე გარინდულა ზამთრის პირი,
სადღაც აქვე მარტობა ძრწის,

რა უნდა მოხდეს, ღმერთო, ისეთი,
მე რომ სიცოცხლე გადამაყვაროს?!

* * *

ჩემი ფიქრები ცასთან შეზრდილი
წვიმს და ჭადრებიც დგანან შიშველი...
არ ვიცი, მართლა, სად დავიმალო?!
უმთვარო ღამეც ვეღარ მიშველის.
გამიორგულდა სულ მთლად სამყარო,
ღუმილი სულის ტრამალებს იკლებს,
ვერსად ვიპოვე თავშესაფარი,
უწყვეტად ვართავ მოჯარულ ფიქრებს...
წლები სინორჩეს თელავენ ჩემსას,
ზამთარსაც ისე მოეჩქარება...
სად შევეფარო, რომ არ წამიღონ
მოძალეებულმა ნიაგქარებმა?!
სიმართლევსთან მაუღლებს წვიმა,
ნუთუ არავის არ ვედარდები?!
გაიფოთლავენ ვიდრე ჩემს ფიქრებს,
გამიშველებული დგანან ჭადრებიც.
ჩემი ფიქრები ცასთან შეზრდილი წვიმს...

* * *

ძილს მივენდე და შევერიე მელნისფერ ღამეს,
მაფერებინა შენი თავი დილის სიზმარმა,
მოვინახულე, ჩვენ რომ გზები ერთად დავთვლით,
ღამის სმენა და თენების ცა სადაც გვიყვარდა.
ახლა კი წლებმა გაამკრთალა ძველი ამბები,
ბედს მინდობილი დაცურავენ ცაზე ფიქრებიც.
დღეთა სიჭრელეს წაიყოლებს, ვიცი, ცხოვრება,
ვერც კი ვიჯერებ, ერთხელ ჩვენც რომ ადარ ვიქნებით.
ღრო-ჟამი, ალბათ, დამავიწყებს ამ დღის სიზმარსაც,
ცისკრის ვარსკვლავსაც მიაძინებს დილის ზმანება,
ვუჭირისუფლებ შემოდგომის ჩუმ ფოთოლცვენას
და უჩვენო დღე მერამდენედ დამენანება...

* * *

როგორ მინდა, როგორ
თოვდეს, ისევ თოვდეს,
თეთრი მარგალიტი
ეხვეოდეს ტოტებს.
იანვარი ცაში
ფენდეს ნისლის ფარდებს,
თეთრი თქა ეცვათ
ჩვენი ეზოს ნაძვებს.
თმა აქოჩრილ ურთხმელს
ჭირხლი დასდებოდეს...
ვარსკვლავეთი ცაში
ნაირფერად კრთოდეს
მინდა, კარვად მყავდე,
დარდი აღარ მქონდეს,
ვინახავდე გულში
ამ თოვლზე თეთრ გრძნობებს,

შენი ერთი ნახვა
ზეცის გახსნას სჯობდეს.
ისევ სიყვარულზე,
გიყვებოდე ოდებს,
კრძალვით, ფეხაკრეფით
შობა მოდიოდეს...
როგორ მინდა, როგორ,
თოვდეს, თოვდეს, თოვდეს...

* * *

ცისკრის მკრთალმა ნათებამ ამიშალა ფიქრები,
სადაც არ უნდა ვიყო, არასდროს დაგცილდები.
სულაც არ დამაბრკოლებს შორი გზა და ხიდები,
ტკივილებსაც დავითმენ, თუკი მომიფრთხილდები.
ნეტავ რატომ მგონია, სულ გოგონა ვიქნები,
ყველა ფერი მიხდება, როცა შენთვის ვირთვები.
ნუთუ ვეღარ იგრძენი სიყვარულის ნიაგი,
როგორ გაგვიადვილა ქვეყნის ორომტრიალი.
ზეცას შემოურკალავს ცისარტყელას ფერები,
სულ მზებად მატყვია შენი მონაფერები.
წამლევავი გამხდარა თბილი მზერა, სიტყვები,
არაფერს არ გიმაღავ, სულ ყველაფერს გიყვები...
სიყალბეს გაეუბრებარ, არ მიცვლია ნიღბები,
შენს სახელს დავიფიცებ, მანამ არ დავიღლები.
სანამ მიდი-მოდიან მწვერვალებზე ნისლები,
დამერწმუნე, ძვირფასო, ჩემს გულს არ შესცვივდები.
ნაპარს შემოსჩვევია ტკბილხმოვანი ჩიტები,
კვლავაც შენკენ მოცურავ, კვლავ შენს აჩრდილს მიყვები...
ნეტავ რატომ მგონია, ახლა ვიწყებ სიცოცხლეს,
სიკვდილს არ ვემეტები და თავიდან მიშორებს.
ზეცას შემოურკალავს ცისარტყელას ფერები,
სულ მზებად მატყვია შენი მონაფერები.

* * *

დღე დაილევს ყლუპი წყალივით...
ჩემს ფიქრებს აღარ უჩანს სათავე...
მოუსვენარი მზაპუნა წვიმა
ჩვენ შორის ფარდებს ჩამოაფარებს...
მერე იწვიმებს, იწვიმებს დიდხანს,
ზღვა გამორიყავს ციციქნა ნიჟარას,
რომელიც ელის მოქცევის წამებს
და გულში ტალღის ხმაურს ინახავს.
ეს ერთგულების ერთი ნამცეცი
გამიფერადებს დღეებს უთუოდ,
მერე შენც მოხვალ, გადასწევ ფარდებს,
რომ ცისკრის ვარსკვლავს ერთად ვუყუროთ.
ცის სიყვარულით დედამიწაც ხომ
ბრუნავს და ბრუნავს ისევ და ისევ,
გავინაპირე დარდის სამყარო –
მზისფერ მკლავებში იმედი მიწევს.
თენება მოდის, კანკალებს დილა,
რამხელა ძალა ჰქონია იმედს!
მათბობს და მიცავს, მათბობს და მიცავს
და გული ისევ ხმამაღლა მიცემს.



სისხლის ყვილი

ფერად შერჩენია თვალებს დღესაც
ჩემი გაზახფულის სიმწვანე...
მამულზე წუხილი, ყველა კენესა
სულ სისხლის ყვილად ვიწამე.
მე რომ საქართველო მიყვარს ძლიერ...
რალა თქმა უნდა რომ ძველია...
მტერს რა სათქმელია, ჩემს თავს ვძლიე..
ეს ლექსიც მარაბდის ველია.
მამულს, რაც რომ სჭირდა, წარღვნა, ხვატი...
რამაც იხსნა, იცის თბილისმა...
ისევ უბით დამაქვს უფლის ხატი,
ჩემი საქართველოს თილისმა.
ეშმა ყურის ძირში მითვლის წუთებს...
იცის რა შვილი ვარ, იწვინა...
მე რომ საქართველოს სანთელს ვუნთებ,
სულ სისხლის ყვილად მიცვინა.

* * *

თამარ ნასრაშვილი

მეუფე დიმიტრის

ზე უბრალოებით შეიმოსე,
იქაც უბრალოდ და მართლად გველოს.
მინდა გაგიმზილო ჰგავდი მოსეს
და რომ უხდებოდი საქართველოს.
ცრუ სოფელს ან რა დაგაშურო,
თითქოს სტუმრად იყავ მკვიდრი ზეცის.
გზად მხოლოდ გეფინოს ბზა და სურო...
მაინც მეუფეო, სული მეწვის...
მადლობა უფლის მოწყალებას,
ჰერეთს და ხორნაბუჯს არწყულებდი.

სიყვარულის ნიღო...

აღმართებზე ქარი უცებ ღლიდა,
დაეწია აქაც ზურგის ქარი,
დაფნა ჰპოვა სიყვარულის წილ და...
გვიან მგზავრთა მორცხვი საუბარი.
სიმსუბუქე ღლიდა დაფნის ტოტის,
მას კი უფრო სხვა დიდება სჭირდა,
დუდუნებდა ცა სევდიან მოტივს,
დაფნა ჰპოვა სიყვარულის წილ და...

მარტი იყო და მაშინაც ცრიდა.
მარტო იყო, მხოლოდ ახლდა მარტი...
დაფნა ჰპოვა სიყვარულის წილ და..
გასაუღელი რაც დარჩა... აღმართი..
მარტი იყო, და მაშინაც ცრიდა.

გ.ტაბიძეს

ღღუა საოცარი...
კივის აკაცია,
მისი სალოცავი
შხეს გაუტაცია..

იყო..შენც იყავი...
გვეცვა ცის მანტია
ჩემი ამორძალი...
მისტიფიკაცია

ღღუა საოცარი
კივის აკაცია...
მოციქულობს ქარი...
ცა დაუკაწრია...

იყო... ახლაც არი...
კვლავ ლურჯი მაცვია.
და ხარ ვით იყავი.
მისტიფიკაცია...

* * *

ახლა საცაა გადაიზამთრებს,
გამოვაცილე სევდა სახლიდან...
კვლავ ხის ტოტებზე გაკვიდებ ზღაპრებს
და გამოგიხმობ ჩემი ზღაპრიდან.

ღობინად

მოდ, მეწვიე ამ მწვანე ქოხში,
მოდ, მეწვიე მეგობრად, ღობინად...
ვერვინ იპოვა ის ერთი ქოში,
მე რომ დავკარგე ასე წლის წინათ...

აქ სულ სხვაგვარად იცლება ჭიქა.
(ო, როგორ მხიბლავს მასპინძლის როლი),
ღვინოდ დაუცალთ ის, რაც არ ითქვა,
გთხოვ, შეიყვარო ამ ბუხრის ბოლი.

ამ მწვანე ქონში მეც ვარ სტუმარი...
ახლაც დავდივარ მე ცალი ქოშით...
ჩემი გრძნობებით გაუხუნარი...
და მყუდროდ ვხედავ ჩემს მწვანე ქონში...
მოდი მეწვიე მეგობრად, ლხინად...

* * *

ახლა ყველაფერს სხვა ფერი აქვს,
დავჯდეთ მონატრებისა დაელით...
დროს ყველა ტკივილის ვერ მიაქვს
მე და შენ ლექსებით გაუყვეთ ალიონს...

თვალწინ გადიშლება ცისფერი ზმანება,
ქარში აკვილდება სტრიქონი...

სიცოცხლე არ დამენანება...
აქ თუ იმ ლამაზ წამს ვიპოვი...

რომ ვუთხრა შეჩერდი...

ვათავისუფლებ

ხოდა, მე ასე გავდიდგულდები...
ყელზე ავისხამ ველურ მარგალიტს,
სულ დავამსხვრიე ძველი ხუნდები,
ცაში მიფფრინავ – ცამდე მართალი..

ანგელოზებთან რაუტი მელის,
ქარს დავაბარე თქვენთან „მშვიდობა“
მე ისევ მტკივა გაწვდილი ხელი
და აღარ მახსოვს აქ რა მინდოდა.

ჩემი გზით მივალ, არ დავბრუნდები,
ქარმა მაუწყა შემონათვალი...
მე დავამსხვრიე ძველი ხუნდები...
ცაში მიფფრინავ – ცამდე მართალი...



ნინო საღლობლაშვილი

ფიჭვის კევი

„და მეუფეთა მეუფეო,
უხმოდ, უსიტყვოდ უნდა ვიდგე მე შენს წინაშე?..“
რაბინდრანატ თაგორი

ღიანა

მე რომ ყველაფერი მოეყვებო, ცხოვრებას რაღა დარჩება.
ეს საღდაც წავიკითხე მგონი ან იქნებ არც არსად და
მე ვფიქრობ ასე. რამდენი ხანია ასე აღარ მიფიქრია,
აღრინდებულად – გემრიელად, ჩემებურად, არავის და
არაფრის წინაშე ვაღრინდები რომ არაფრით ხარ, არც

ანგარიშს უწევ ვინმეს. ფიქრობ და იძირები საღდაც, ნის-
ლიან, ლელქაშებიან ტბაში, წყვილია და რაც უფრო
ღრმად ჩადინარ, მით უფრო ბევრი ნაპერწკალი გცვივა
თვალებიდან.

ჩემი ნაპერწკლები.

ისინი მურომაც დაინახა ერთხელ, გავეშებული სექ-
სის დროს და თვალებზე ხელი ამაფარა. მეერ სულ ეგრე
ვთქავდით ერთმანეთს, გიჟებივით, დიდ-დიდი ლუკმე-
ბით. ოღონდ, რა წამსაც მურო ჩემს ნაპერწკლებს თვალს
მოკრავდა, მაშინვე ხელებს მაფარებდა. ერთი-ორჯერ კინა-
დამ ბუდიდან ამომიგდო თვალები. რას შერები-მეთქი,
დაუყვირე და, მე რას ვშერები თუ შენ რას შერები, შენი
კუდიანი დედა მოგტყანო, დამეწვა ხელისგულელებიო, რა
დენს ირტყემინებო, და ისეთი ძალით მიკბინა ლოყაზე,
ორი კვირა ფესტივალის მანეკენით დავდიოდი – ლოყებ-
მოხატული, ვინმეს რამე რომ არ ეფიქრა.

ჰოდა, ჩაქრა ჩემი ნაპერწკლები. მეც არ ვიცი, საღ
დაუკარგე. არც მიძებნია. მუროსთან კარგად ვიყავი და
ბოლოს და ბოლოს, ჭერის შეგრძნება დავიბრუნე.

ვისაც ჭერი აქვს, ის ვერასდროს გამიგებს. რაღაცა
უნდა გაკლდეს, უნდა გენატრებოდეს, იმის ფასი რომ
გაიგო.

განა სახლის ჭერზე ვამბობ (თუმცა, არც უამისობაა,
ხანდახან კი ორივე ერთსა და იმავეს ნიშნავს). მუროზე
ვამბობ – კაცზე, რომელიც მოსიარულე სახლია და მყარი
ჭერი ახურავს. მასთან ყოფნა კი შინყოფნის სიხარულს
განიჭებს. ბევრი არა, სულ სამი კაცი მყავდა მურომდე,
მაგრამ სხვა სამასს ხომ ისე ვიცნობ – დაქალების ქმრებს,
ძმებს, მეგობრებს ან მეზობლის კაცებს და ეს მიიღლებს
წარმოდგენას მუროზე, როგორც გამორჩეულად სახლის
კაცი.

სახლიკაცი. დავარქვი კიდეც და შემომიბთია, შტერო,
ეგ ძმას ნიშნავსო. მაგრამ მე თუ მკითხავ, საყვარელი კაცი

სადაც მძაც კია შენი, ანუ, იმაზე მეტი, ვიდრე ლოგინში აშლილმა ვნებებმა შეიძლება გაგრძობინონ, ან კვირაგამოშვებით ქალაქგარეთ პაემნების დროს ნათქვამა და ან ნაჩურხულებმა მილიონმა წმინდა და გარყვნილმა სიტყვამ ერთად.

ეს რომ ვუთხარი, ცოტახანს ჩაფიქრდა, ახლადწამოზრდილ დიპზე მოისვა ხელი და მომეჩვენა თუ მართლა იყო – ისეთი სინაზით შემომხედა, როგორითაც არც მანამდე და არც იმის მერე არ შემოუხედავს.

– აქ მომიჭირა რაღაცამ, სულელლო, – დააბოლოვა თავისი მაღლიერი ფიქრი და იმ ხელზე მაკოცა, რომელიც ჯერ თავის დიპზე დამადებინა, „მოჭერილი“ ადგილის საჩვენებლად.

ბოლო ერთი წელი ვასკა ცალკე გადავიდა, მეგობართან. მუროს ეს არ მოსწონდა, ინერვიულა კიდევ – ხომ არაფერზე მემდურის, ყველა პირობას უუქმნი, რომ კარგად იყოს და რაღატო გამექცაო, მაგრამ ვასკა გონიერი ბიჭია და თვითონ აუხსნა – უკვე დიდი ვარ და მე გადავწყვეტ, როგორ ვიცხოვრო.

მე არ ვყოფილვარ ვასკას წასვლის მიზეზი. მგონი ჩემზე არც არაფერი იცოდა. მამა-შვილს გადასარევი თუ არა, ნორმალური ურთიერთობა მაინც ჰქონდათ. მუროს მამობას ვერ დაუწუნებ – წლებზე ფეხს იდგამდა, რომ იტყვიან, ბიჭი რომ ერჩინა, უდებობა არ ეგრძობინებინა და ცუდ გზაზე არ გადავარდნილიყო. ვასკაც, დიდად ხმაურიანი და პრეტენზიული არასდროს ყოფილა, როგორც ვიცი. რამდენჯერმე ვნახე. ერთხელ – სტადიონზე წამოიყვანა, რაგბიზე, რუსეთ-საქართველოს ჯახი იყო. ჩვენ კორპორატიული ბილეთები გვქონდა, მურო ჩემზე უკვე ყურებამდე იყო შეყვარებული. ბილეთები ისე აიღო, რომ მთლად გვერდიგვერდ არა, მაგრამ ოთხ-სკამგამოშვებით აღმოჩნდით. ვასკა მაშინ 15-16 წლისა იქნებოდა. ისეთი ლამაზი სახე ჰქონდა, თვალს ვერ ვწყვეტდი, გავიფიქრე კიდევ – ეს რომ გოგო იყოს, ხომ შეშლიდა ნახევარქვეყანას-მეთქი. მაგრამ ძალიან მოწყენილი ჩანდა. ერთ ადგილზე ცმუკავდა. ამკარად სულ ცალ ფეხზე ეკიდა ის რაგბი და ის ყიჟინა.

ყოველ გატანილ ლელოზე მურო ისეთ მუჯღუგუნს გაკრავდა ხოლმე, საწყალი მენობელ გულშემატკივარს ორჯერ შეასკდა თავით. ვასკა ამაზე უფრო იბოდებოდა და ბოლოს საერთოდაც, ადგა და წავიდა. მამამისს გარეთ ელოდებოდა. იმდღეს მურომ სახლამდე მაგის გამო ვერ გამაცილა, არადა შემჭამა თვალებით და დამე კი ტელეფონზე ლაპარაკით დამაოსა. რამდენი ლელოც დღეს ბიჭებმა რუსებს დაუდესო, ეგრე დაგიდებ ყველა ლელოს და პასუხსაც მოგკითხავ ყველა ოკუპაციაზე და სულ სათითაო დევნილზე გაზღვევინებო, რუსეთს როგორ მადარებმეთქი, მტერს და, მტერი ხარ შენ ჩემიო, მტერზე უარესი და იმიტომ შემიყვარდიო, თორე მოყვასის სიყვარულს რა უნდა, ან რა მაღლი მაგამიაო.

ღვაწლში იყო, მოკლედ.

მერე კაფეში ვნახე ვასკა. უფრო სწორედ, კაფეს ფანჯრიდან დავინახე. მანქანა მოუყვანა მამამისს, კაფეში არ შემოსულა, გარეთ გაიხმო და გასაღები მისცა. გამხდარი და ფერმკრთალი ჩანდა. ვუთხარი კიდევ მუროს.

ყავის მეტს არაფერს სვამს და ჭამს ეგ შობელმადლი, მე ხო მაგის ვერაფერი გავიგეო, ჩაიღრინა. გარდატეხის

ასაკს დავაბრალეთ. მარტობასაც.

ჩემთან, შინ, დედა და დეიდა ცხოვრობენ ჩემ გარდა. მამა დიდი ხნის წინ მომიკვდა. დეიდაჩემი 25 წლისა იყო, თხილამურებით სრიალისას ხეს რომ შეასკდა და ხერხემალი დაიზიანა, იმის მერე, ბევრი იწვალა, ფეხზე რომ გაველო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა უფრო უძძიმდებოდა. მერე სულაც ეტლს მიეჯახჭვა და სულ ბოლო წლებში კიდევ, გარეთაც არ გასულა. დედა დეიდას უვლის, ერთგულად და თავგანწირვით. ჩემი სახელიც მოწყენილია, სევდიანი. ამიტომ, მუდმივად ვარწმუნებდი საკუთარ თავს, რომ მხოლოდ დროებით ვარ იქ, სტუმარივით, ხანდახან დამეს რომ ათევენებენ და სულ მალე საკუთარი ჰერიც მექნება...

აბა რა ვიცოდი, ეს ჭერი არა აგურის და ალიზის, არამედ კაცის ხორცის და სისხლისგან რომ იქნებოდა მკვიდრად ნაგები და რაზეც ვოცნებობდი, ასე უცნაურად ამიხდებოდა. სწორად ნატვრას კიდევ, ვერ მივგვივო და ბოლოს ხელიც ჩავიქნე.

იქნებ მან, ვინც შორს, ზემოთ, ზის და კაცთა მოდგმის სურვილებს იწერს, მართლა ჩვენზე უკეთ იცის, რა გვინდა.

ჩვენ კიდევ, არ ვაცდით და გაუთავებლად ვერებთ საქმეში.

მურო უხვად მასაჩუქრებდა. ყოველთვის. ისე არ ყოფილა, რომ ჯერ ჩემი გული მოეგო და მერე შეეცოტავებინა საჩუქრები. უფრო პირიქითაც კი მოხდა – რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო შლიდა ფრთებს მისი ფანტაზია. აქ დაეკოკრეტლები და ერთ ჩემს დაკვირვებასაც გავამხელ – ფანტაზიაც ის ფრინველია, შინაარსში ჩადებული უკიდვანო შესაძლებლობების მიუხედავად, მაინც რაღაც დასახლვრულ სივრცეში რომ მოქმედებს. იმ სივრცეში, რომელსაც მისი პატრონის ინტელექტუალურ-სულიერი გამოცდილება ქმნის. მოკლედ რომ ვთქვათ, ფანტაზია ფრინველია, ოღონდ გალიის და ეს გალიაც, ყველას თავისებური აქვს – ზოგს უფრო დიდი, ზოგს – მომცრო.

მუროსი მომცროზე ოდნავ მეტი იყო და რაც შეეძლო, იმას აკეთებდა. ყვაილები, სუნამო, სამკაული, კინოს და თეატრის ბილეთები (ამ უკანასკნელის რეპერტუარს მე ვირჩევდი. ჩემთვის ისაც სასიამოვნო იყო, რომ იმაზე ზრუნავდა, რაც გამახარებდა) – ეს პირველ ეტაპზე. მერე კი – წიგნების თარო, ღამის სანათური, ფარდები საძინებლისთვის, ანუ ყველაფერი ის, რაც სახლს ქმნის, სახლის განწყობას.

ჩვენს ნაქირავებ ბინას ყველაფერი უხდებოდა.

პაწაწინა ერთ ოთახს, უფრო პაწაწინა სამზარეულოს და მინიატურულ აივანს.

ქირას რიგრიგობით ვიხდიდით.

ბინა ისეთ უბანში შევარჩიეთ, სადაც ნაკლები ნაცნობი თვალი შეგვაძმნევდა. არც მეზობლებთან ურთიერთობით გამომიდვია თავი. ის ჩემი სახლი გახდა. მურო თითქმის ყოველდღე მოდიოდა. ხან, დღეგამოშვებით.

ბოლოს ყველაფერი ისე იდეალურად აეწყო, ისე უპატიებლად კარგად, რომ შემეშინდა.

ერთი წლის წინ კი, მუროს სახლიდან ვასკა გადავიდა და ყველაფერმა ნელ-ნელა თვალჩაგდებული ნაქსოვივით რღვევა დაიწყო.

დალო

დედა მოგიკვდეს. დედა მოგიკვდეს შენ – დამცინის ჩემი ტერეზა, ცხვირჩამოშვებულს როცა დამინახავს. არ არსებობს, ამაზე არ გამეცინოს. მოდი და ნუ გაიცინებ – ამ უკბილო პირით ისე ოსტატურად ჩლიფინებს, ისე გულმოდგინედ წარმოთქვამს ქართულად ამ სამ სიტყვას, სულ რომ თავის მოსაკლავად მიდიოდე, შემობრუნდები. მეტი კი არაფერი ისწავლა ჩემგან, მარტო ეს – დედა მოგიკვდეს შენ. იმდენჯერ შეესწრო, სკაიპში რომ ვეუბნები ხოლმე ვასიკოს, დაიმახსოვრა. თან, რაღაცნაირად არტისტულად გამოთქვამს. თქვენ როგორ ეფერებით ხოლმე შვილებს-მეთქი, ვეკითხები. ყოველ შემთხვევაში, დედის სიკვდილს ნამდვილად არ ვუსურვებთო, ამაყად მპასუხობს. ის რომ იცოდეს ტერეზამ, ხანდახან მურიკოსთან ლაპარაკიც ეს „დედა მოგიკვდეს“ რომ წამომცდება ხოლმე, ალბათ მანიაკად მალიარებდა.

ოთხმოცდასამის გახდა ტერეზა წინა კვირაში და სტაფილოს სუპი და ტარხუნის ღვეზელი გამაკეთებინა. სპეც-რეისით გამოგზავნილი საქართველოდან ტარხუნა ჩემებს მაგის გულისთვის. მესუთე წელია ტერეზასთან ვარ და მანამდე ორი წელი მის ერთ დაქალთან, მერე სამი – იმის დეიდაშვილთან ვიყავი. ტერეზასთან ყველას სჯობია. შვილები მიღანში ცხოვრობენ – გოგო და ბიჭი, ჩემზე დიდები. ამ ხუთი წლის მანძილზე სულ ხუთჯერ ჩამოაკითხეს დედას.

მე და ტერეზა მშვენივრად შევეთვისეთ ერთმანეთს. უბრალოდ, ვერ იტანს, როცა მოწყენილს მხედავს და ეს მოხუცი ქალი ყირაზე დგება, რომ გამართოს.

ნეტა შენ, ჩემო ტერეზა. დედაჩემი შენზე ათი წლით პატარა იქნებოდა, რომ ეცოცხლა და ჩემზე შვიდი წლით პატარა წავიდა ამქვეყნიდან – დაბეჩავებული, გაღუული, ასი წლისას გაუდა კუბოში.

არადა, თქვენ რომ წყალი, ხილი და ბოსტნეული გაქვთო, მათუსალას ასაკამდე უნდა ცხოვრობდეთო, თვითონვე უკვირს, ჩვენებზე რომ ვუყვები ხოლმე. გიჟდება ქართულ კერძებზე, ვუკეთებ და ვუყვები და ვუყვები და ვუყვები ისტორიებს. იცის, რემონტის ფულს რომ ვაგროვებ. დაძველდა ჩვენი ბინა. იმდღეს ვიდუო-თვალით დამათვალღიერებინა მურიკომ და გული გამისკდა – ვანა-ტუალეტის კედლები სულ დამსკდარა, საძინებლის კედელი დალპა და ტირის, შპალერი გამოსაცვლელი, ავეჯი... იქნებ შემოდგომამდე მოვასწრო და გავაკეთებინო.

რატომ მითხრა ისეთი უცნაური რაღაცა გულიკომ? თავიდან არ ამომდის. სახეც ისეთი ქონდა, ნაჯახივით... მიხედე შენ ბიჭს, ის გირჩევიანო, ცოლი მოაყვანინეო. მაგაზე მეტად რა უნდა მინდოდეს, ვასიკომ რომ ცოლი მოიყვანოს, მაგრამ ჯერ არ ვფიქრობდი ამაზე. იმდენი რამე უნდა ცოლს, მერე ბავშვი გაჩნდება, მიმსვლელი, მომსვლელი... თუმცა, იქნებ კარგი აზრიცაა და ბოლოს და ბოლოს, ნახავს თავის პატრონს, დედა მოუკვდეს მაგას. იპოვის, ვინც მიეფერება, დაურეცხავს, ტკბილ სიტყვას ეტყვის, გულს და სულს გაუზიარებს... გოგოც კი მითხრა გულიკომ. თავისი თანამშრომლის გოგო. ვიცნობ იმ თანამშრომელს, ნათიას. კაი ქალია. ასე მგონია ყოველ შემთხვევაში და გულიკომაც ძალიან აქო ორივე. ჩავერევიო, თქვენი ოჯახისთვის რას არ ვინამო. ოღონდ შენ

ჩამოდი და მიხედე ამ შენ ქმარ-შვილსო. ღმერთო, ნეტა ხო მშვიდობაა და რამეს არ მიმაღავენ?... მარა, სიზმრები მაინც მექნებოდა ცუდი, რამე რომ ხდებოდეს, არ არსებობს! მე ეგეთები არ გამოვპარება. ვასიკო უკვე დიდი ბიჭია და თან, კარგი შვილია, ჭკვიანი. ვიცნობ მე ჩემ შვილს. ცუდისკენ გამხედავი ეგ არ არი. ღმერთო, ნეტა რამეს ხო არ მიმაღავენ და მე კიდე აქ ჭურში ვზივარ და ტერეზასთან ერთად კარტს ვშლი და ლოტოს ვთამაშობ!

რაც მე იმ „შრომანისფერი სანტა-მარიას“ გზა გავთულე, ჩემდენს მარტო ის ახალგაზრდა პადრე დადის, მეტი არაფერ. ხანდახან მხოლოდ მე და ის ვართ ხოლმე ტაძარში და დგას გულისწამსვლელად ნაზი სიმშვიდე, ჩვილი რაღაცნაირი, და რომ მესმის იმ პადრეს გულისცემაც კი, ისევე, როგორც ალბათ მას ესმის ჩემი... და რომ ვეხვეწები ჩემს შრომანისფერ სანტა მარიას, აქ შენს მეტი არაფერ მყავს-მეთქი, შენი სახელის წარმოთქმა მამშვიდებს და მამხნეებს-მეთქი, როგორც ჩემს სამშობლოში ბოდბის ღვთისმშობლის ყურება და მასთან საუბარი... და ვიცი, ვიცი ისმენს ჩემი შრომანისფერი სანტა მარია და არასდროს არ მომასწრებს ჩემი ოჯახის ცულს. ამარიდებს უკიდურეს ტკივილს, რომ არ დაიმსხვრეს ჩემი სული, ამდენი წლის მონატრებით გაძეგილი, ვიცი, ამარიდებს ყველაზე ცულს და წარმოუდგენელს ჩემი სანტა მარია, ვიცი...

ღიანა

ექიმმა წყალი მომაწოდა და მგონი სიგარეტიც კი შემთავაზა, ხომ კარგად ხარო. ნორმალურად არც მახსოვს. ბარბაცით გამოვედი კლინიკიდან.

ყველაზე მეტად რაც დამეზარა – შინ წასვლა იყო. ფეხით გაულა მომინდა. ყველა სუზონი მიყვარს ამ ქალაქში, ამ ძალით დამახინჯებულ ქალაქში, ყველა მის რკინა-ბეტონს და უთავმოყვარეოდ აჩონჩხილ კორპუსებს რომ აგინებს. მე მაინც მიყვარს, თუნდაც ამ რკინაბეტონინად, რადგან ხუთი ამდენი რკინა-ბეტონი ალბათ გულში მაქვს და ტვინში კიდევ და, მესმის, როგორია ცხოვრობდე სულისშემუსუთავი შინაგანი არქიტექტურით. არაფერი ისე არ აძლიერებს სიყვარულს, როგორც მსგავსება, სიახლოვე.

დავემსგავსეთ მე და ჩემი ქალაქი. და ადრიაანი შემოდგომაც ერთნაირი გვაქვს ახლა. ფოთლები პირდაპირ სისხლზე გადატარებულ ასფალტზე მაცვივია.

ორი დღეა მურო არ ჩანს. ვურეკავ – მითიშავს. „მაცადე და დაგირეკავო“ – ერთი ეგ მომწერა. არ იცის თავის ცხოვრებაზე, თავის პრობლემებზე ლაპარაკი. სიტყვას ვერ ამოგლეჯ. შენ რა გინდაო, შენთან ხომ ვარ მთელის ჩემის თავითაო და დანარჩენზე შემეშვიო, მეუბნება ხოლმე. ხანდახან მგონია, რომ „დანარჩენი“ არც აქვს. მაგრამ, ვასკა?

ჩემი თანამშრომლის მეზობელი აღმოჩნდა ბიჭი, რომელთანაც ვასკა საცხოვრებლად გადავიდა. ესაც მე დავასკვენი, რომ ვასკაზეა საუბარი, თორემ იმ ჩემმა თანამშრომელმა, ლიაკომ, არც ვასკას არსებობა იცის და არც მუროსი. ყავას ვსვამდით შესვენებაზე, პაციენტები არცერთს არ გვეყვოდა, ჯანსაღი კბილების საერთაშორისო დღე იყო თუ რა ვიცი, მთელი დღე ერთ კბილატიკებულს არ შემოუღია კარი. საღეჭი რეზინისგან პლობებს ვაკეთებდი უსაქმურობისგან და სამზარეულოს მაგიდის

ღრიჭოებს ვაცობდი მაღალი პროფესიონალიზმით.

და, მიეგება ეს ლიაკო უცებ:

ჩემი სახლი ხო იცი სადაცაა – სასაფლაოს გადმოყურებს პირდაპირ, ჩემი აივნისგან მთლად ჰადესის ზეღზე დი იმლება, თუმცა უკვე ისე შევეჩვიე, სიგარეტსაც კი უღრტეინველად ვწვევი, რაღა დაგიმალო და საღამოობით აივანზე ჯდომა და მიდამოს თვალიერებაც კი შემეფარდა – ჩემი ყველაზე უწყინარი და მშვიდი მეზობლების გარემოცვა. შევეჩვიეთ ერთმანეთს. ჰოდა, წუხელ, არ დამაძინა თავისტიკვილმა და ავდექი, ჟაკეტი მოვიცვი და გავედი აივანზე. ოდნავ ცრიდა და ეს ნოტიო ჰაერიც მესიამოვნა და შვერი კაიხანს. სასაფლაოებისკენ რამდენჯერაც გავიხედე, ვხედავ – ვიღაც დადის საფლაოებს შორის, ვიღაც კი არა, ორნი, და მესმის ჩხაკაჩხუკის ხმაც. ჯერ ვიფიქრე, მესაფლაოე-მეთქი, ათასში ერთხელ ვერ წამოუვლის ხოლმე და შუალამისას ურტყამს საპატიო წრეებს საფლაოებს, ოღონდ არ ვიცი რა მიზეზით, რა ჩემი საქმეა. ადრე ქურდებიც დაიჭირეს ვერე, 90-იანებში და მერეც, ახალდამარხულ მიცვალებულებს დარცვავენენ. მაგრამ ახლა არც მესაფლაოე იყო და ქურდებიც, ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე, დავიძაბე და თვალი არ მომიცილებია. და მივხვდი, რასაც აკეთებდნენ – უფრო სწორედ, იმ ორიდან ჯერ ერთი ვიცანი – ჩემი მეზობელი, ერთი სახლის ქვემოთ ცხოვრობს, ლაშა, ჩემ თვალწინ გაზრდილი ბიჭია, დიდი უცნარი ვინმე კი იყო ყოველთვის, ჰოდა დაუჭერია ამ ლაშას ფოტოაპარატი, დაარბენინებს იმ მეორეს საფლაოებს შორის და უღებს ფოტოებს, ალბათ ღამის განათებით. ნაპერწკლებით ელავს იმ წკვარამში ამათი ჩაჩხაკუნებული კადრები.

ისაც, მოდელი თუ რაც ქვია – ხან საფლაოს ქვასთან იპოზირა, ხან ღობესთან, ხან საღდაც გაწვა, ხან იასამინის და კიპარისის ბუჩქებს ამოეფარა. აუ, ისეთი მანალო სანახაობა იყო, ბრრრრ... რაღაცებს ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ სიტყვებს კარგად ვერ ვარჩევდი, აი, სახელი კი გავიგე, ეს, ჩემი მეზობელი რომ ეძახდა – ვასკა და ვასკაო, ყვიროდა. მერე ამ ჩემმა ლაშამ ქურთუკი გაიხადა და იმ ვასკას შემოაცვა. რამე ახალი არტია ღამის სასაფლაოზე ფოტო-სესია?

ვასკას ხსენებაზე გავიყურსე და თუ რამე კიდევ ახსოვდა იმ ნანახიდან, წვრილად გამოვიკითხე ლიაკოს – რა ეცვა, ან როგორ იყო. მთლად დაზუსტებით არაფერი უთქვამს. გამხდარი და საშუალო სიმაღლის ბევრი ვასკა იქნება ქალაქში. მაგრამ მაინც ჩამრჩა მისი მონაყოლი. მერე მუროს ვკითხე, რა ჰქვია შენი შეილის მეგობარს, ვისთანაც ახლა ცხოვრობს-მეთქი და, ლაშაო, მიპასუხა. ჯგუფელები არიანო, ერთად მეცადინეობენო. ვიგრძენი, რომ ვასკაზე ჩემთან საუბარი არ სიამოვნებდა მუროს და აღარ დაუძალე.

მაგრამ, რომ გამოჩნდება, მოუწვევს. ბევრ რამეზე მოუწვევს ლაპარაკი. მარტო ვასკაზე არა. ჩემზე. ბოლოს და ბოლოს, ჩემზე.

ღალი

მომეჩვენა, რომ არ გაუხარდა. ეს ეჭვი თავიდან ვერ ამოვიგდე. ეს საშინელი მოჩვენება. მესაიათასედ ვამეორებ კადრებს გონებაში და ვუკვირდები ყველა ღეტალს: აი,

დავრეკე. აინთო ვიდეო-თვალი. გული ისე მიცემს, ლაპარაკი მიჭირს, ხუთი წლის გოგოსავით ვხვანცალებ. გამოჩნდა მურიკო. ყავისფერი ჯემპრი აცვია, ჩემი გამოგზავნილი. ძალიან უხდება. ჭაღარა კი შეერია, მაგრამ ისევე კაი ბიჭია მურიკო, ცოტათი რობერტ დე ნირო და საღდაც გიორგი შავგულიძეც. როგორა ხარ, მურიკო? – ვეკითხები და ხმა მიკანკალებს. კარგად დალიკო, შენ რას შვები? – მპასუხობს და მიღიმის, შავი, კუნაპეტი შავი თვალებით.

ვასიკო სადაა? ეკრანს იქით ბავშვს დავეძებ, იქნებ მოხდეს სასწაული, შინ იყოს და ერთხელ მაინც შემოიხედოს ვიდეო-თვალთ. ლექციებზე, დალი. კარგადაა ბიჭი. სწავლობს. სტიპენდია დაუნიშნეს, იცი? – მეჩვენება, რომ დაძაბული მპასუხობს მურიკო. ალბათ დაღლილია. შენ, თვალმარგალიტო? მუშაობ ხო? მანქანას პაჩენიკი გამოუცვალე? აკუმლატორი? გყავს კლიენტები? – მეც სწრაფად ვაყრი. თვალმარგალიტი კი არა ის კიდევ, – უხერხულად იმშუშნება და ამ ჩემს ძვირფასეულობას უკან მიყრის, ეკრანს აქეთ ვიცინი. ხარ, ხართ ორივე მამ! – არ ვნებდები. რავი დალი, მუშაობა ისე რა, მთელი საქართველო ტაქსაობს ეხლა და დიდი კონკურენციაა, ხო იცი არა? – რაცნაირად მძიმედ მპასუხობს.

მურიკო, – ვიწყებ. ხელები მეყინება. ჰო, დალი – ხანტად მპასუხობს – როგორი ამინდები გაქვთ?

ამინდების თავი მაქვს?

მურიკო, ხო იცი როგორ ვენერვიულობ თქვენზე, – მეორედ ვიწყებ. ვიცი, დალი. მაცადე – ვაგრძელებ – ფულს ამ თვეში ვერ გამოგიგზავნი, იმიტომ, რომ რემონტის ფულს უნდა დაუშვალო რომ ბოლოს და ბოლოს რაღაც დავიჭიროთ ხელში. რა მოვიფიქრე იცი? ვასიკოს ცოლი უნდა შევერთოთ. თვითონ თუ არაყინ ყავს, ჩვენ დაეჩხმარებით. ხო იცი, რო მე თავისუფალი არჩევანის მომხრე ვარ და ეგ ისეთი საკითხია, კარგი იქნება ყველამ თვითონ რომ გადაწყვიტოს, მაგრამ თუ რამეში ჩემი დახმარება დაჭირდება, აგერ ვარ. მაცადე, მურიკო, გითხრა. იმდენი ოჯახი იქმნება ვერე, კეთილი სიტყვით. იღბლიანი ჩარევით. მე და შენ რა, ვერე არ ვიპოვეთ ერთმანეთი? რა, ცუდი ოჯახი გამოგვივიდა? ხო ვიყავით ბედნიერები, ვიდრე ქვეყანა აირეოდა. ჰოდა, დაეჩხმარები, დედა მოუკვდეს მაგას, ისედაც დაუსაჯე ბავშვი, როცა ვჭირდებოდი მაშინ რომ გამოვეცალე. მურიკო, – ბოლოჯერ ჩავისუნთქე და ამოვავოლე ფილტვების ჰაერს – ჩამოვდივარ. მანდ უნდა მოვავარო ეგ ყველაფერი.

აი, ამ კადრს ვატრიალებ გონებაში დაუსრულებლად და უკვე ტვინი მტკივა.

და ყველა ხელახალ ჩვენებაზე ერთი და იგივე ეჭვი მჭამს – არ გაუხარდა. გაშრა. მგონი გამავდა უფრო მეტად.

ახლა, რას ველოდი აბა – ათი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს და ელდა იქნებოდა ეს ამბავი მისთვის. გადახარშვა უნდა ამ ელდას და მონელება და, აქვს კიდევ ამისთვის ერთი კვირა.

ბილეთიც ვაჩვენე. ერთ კვირაში თქვენთან ვარ-მეთქი. ტერეზაო? – მეკითხება. ტერეზას ნარის დაუშტოვებ, შობამდე იქნება და მერე ვნახოთ... არ იდარდო მაგაზე-მეთქი. ოღონდ ვასიკოს არ უთხრა ჯერ არაფერი, სიურპრიზი მინდა გავუკეთო, თავზე მინდა დავადგე-მეთქი. იუარა, არ გამოვა მასეო, როგორ დაუშვალეო. ვაფიცე და

ვაფიცე და რაჟი, იმედია შემიწახავს სიტყვას.

რა დაგახვედრო, ბოლოს მაინც მკითხა – და ეს ჩემში ჩასახლებული ხუთი წლის გოგო ხომ ვერ მოვიცილე იმდღეს და, ისევე იმ გოგომ უპასუხა დაუფიქრებლად – ფიჭვის კვეი! ფიჭვის კვეი, ჩვენი ტიმოთესუბნიდან, ჩამოატანინე ვინმეს!

ღიანა

არაფრის დრო აღარ გვაქვს. გავრბოვართ ამ სამყაროდან თავქუდმოგლეჯილები, თითქოს სხვაგან ვინმე გვეპატივებოდეს, სხვაგან უკეთესი იყოს. ერთი შეფოვნებისთვისაც აღარაა დრო, ერთი გაყურებისთვის. რაღაც საყოველთაო ოლიმპიადაა, დიდი სროლის ჩემპიონატი. მართალია, ოლიმპიელებს კაი შორ მანძილზე ჩამოვრჩი, მაინც არაფრის დრო არ მაქვს – როდის დაეჯდე და ცხოვრებაზე დაუფიქრდე? გამოტოვებულ დღეებზე, ალბათ წლებზეც, განუხორციელებელ სურვილებზე, უფრო სწორად – გეგმებზე. პრაქტიკული ადამიანი ვარ და გეგმებიც მქონდა ოდესღაც – დიდი კლინიკის გახსნა მინდოდა, სადმე, ზღვის ან ტბის პირას, საზაფხულო სემინარებისა და სიმპოზიუმებისთვის – ვერანდიანი სასტუმრო, სტაბილური ოჯახი, შვილებს – ვეროპული განათლება, მოგზაურობა... ეს გეგმები პირადი არქივის საქმეებში შეჩურთულ დაშიფრულ კოდებად იქცა, ალტერნატიული რეალობის პროექტიად, რომლის ხორცშესხმაც მართლ ჩემს ნებაზე არ ყოფილა. თანამოაზრეთა ხმებიც სჭირდებოდა. ეს ხმები ვერ მოვიპოვე. კოდები კოდებად დარჩა, ჩაღმა ბოლოს არქივის საქმეებში.

სტაბილური არაფერი აღმოჩნდა. სულ გულისხეუქვა და სულ გადარჩენისთვის ბრძოლა.

ჩემმა ფსიქოთერაპევტმა მეგობარმა მთელი საღამო მისმინა, ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი წლობით დაგროვილი სტრესები და შიშები რომ ამოვიბღავლე, მერე კეფაზე მიიჭირა ხელები და მყარი ნახევარტონებით მითხრა: შენ პატრონი გჭირდება, შვილო. უპატრონო ხარ.

იმის დროც არ მქონდა, რამე შემეცვალა – მე თვითონ ვიყავი ჩემების პატრონი და მათ ვჭირდებოდი. ბოლოს, ალბათ ბუნებას შევებრალე ან მობეზრდა ჩემი დამაშვრალი სულის ყურება და დამიღო სახლის წინ, ზღურბლთან, ახალი ფეხსაცმელები – ეს ახალ გზას ნიშნავდა.

ჩავიცვი. მომერგო.

ჩემზე ყოველთვის ამბობდნენ, რომ შორს წავიდოდი, ბევრს მივალწვედი. ზოგიერთისგან ფარული შურიც მიგრძვნიდა. დედაჩემს სულ ეშინოდა, ვინმემ არ გაგთვალოს და ჯადო არ გაგიკეთოსო. ოღონდ, ეს რა აკვიატება იყო, არ ვიცი. არაფრის მომტანი არ იყო ჯადოზე ფიქრი, არც მაგის შიში. მღლიდა და მალიზიანებდა პირიქით. ცხოვრება ფაზებად მახსოვს – როცა ვნათლებოდი და როცა ვქრებოდი.

მურო ნათელ ფაზაში გავიცანი. ის ახალი ფეხსაცმელები მეცვა, ტაქსი გავაჩიე, ჩავჯექი და მისამართი ვუთხარი.

მურომ სარკეში შემათვალეირა და ცოტა ხანში საშინლად ბანალური რამე მითხრა: მე სულ ტაქსისტი კი არ ვიყავი. ცოტათი ჯადოქარი ვარ და ადამიანის ამოცნობის ნიჭი მაქვს. გიყურებ და ვხვდები, სიანხლეს როგორ დაეძებ. წამოდი, ჩიტო, აბასთუმანში, ვარსკვლავებზე ვი-

ლაპარაკობ.

გაგაჩერებინე და მანქანიდან გადმოვხტი. მგონი შევაგინე კიდევ.

მეორე დღეს მომძებნა და მოვიდა. რა დიდი ძებნა მინდოდა – მთელი დღე მითვალთვალებდა თურმე და უკვე ყველაფერი იცოდა ჩემზე. თქვა, რომ ერთი ნახვით შევეყვარდი და ეს ზუსტად ის იყო, რასაც კაცები და...კებას ეძახიან.

უკვე ოთხი წელი სრულდება. ოთხი დღეა არ ჩანს და მეტს ვეღარ ვითმენ.

მის სახლში ავდივარ. არ მაინტერესებს, ვინ რას იფიქრებს. იქნებ დროც კია, ყველამ ზუსტად ისე იფიქროს, როგორც სინამდვილეშია? ლიფტი არ მუშაობს, ფეხით მიუყვები კიბეს. გული მიჩქარდება, დიდიდან წნევაც დაბალი მაქვს. ექიმმა – კიდევ უარესს ელოდებო, შეიძლება წოლითი რეჟიმიც კი დავნიშნოთო. მეორე სართულის მეზობელი სადარბაზოს ბაქანს საპნიანი წყლით რეცხავს. ყოვნილება – ჯერ მე მატარებს. ინტერესით მათვალეირებს. მურო მჭხუთუხე ცხოვრობს.

ვღგავარ მის კართან. ხარის დარეკვა არ მინდა. არც დაკაკუნება. რამდენ ხანს ვიდგები ასე? და, ძალიან თავხედურად ვიქცევი – სახელურს ვქაჩავ. ისე, ყასიდად. რას წარმოვიდგენ, რომ კარი ღიაა.

და ის ღიაა! მშვიდად მნებდება. ოღნავ ვაწვები. მინდა, დაგუძახო, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. შევდივარ ერთიციცქნა მოსაცდელში, შეიძლება აქ სული შეგეხუთოს. ბნელა. ორ ნაბიჯს კიდევ ვღგამ და სამზარეულოსკენ უნდა წავიდე, რომ ხმა მესმის. ხმები. ერთი მუროსია. ბიჭს ელაპარაკება მოგუდული ყვირილით. თითქოს გრძნობს, რომ კართან მე ვღგავარ და ვუსმენ.

– ხოდა მაგიტომ გითხარი რომ ვიცი შენი უკუღმართი ხასიათი და ხუმტურები!

– რა ხასიათი და რა ხუმტურები? ჩემი ცხოვრება მაქვს მე! შეიგნე!

– მერე ეგ დედაშენთან რა შუაშია, ბიჭო?

– ა, ეხლა გაგახსენდა დედაჩემი?

– რას ბოდავ?

– როდის მერე შეყურებ თვალებში და ერთგულად უსრულებ ყველაფერს? და როგორც მე აღარ ვერევი თქვენს ცხოვრებაში, კეთილი ინებეთ და თავი დამანებეთ! დიდი ბიჭი ვარ მე!

– სუ აგირიეს ტვინი ხო?

– ვინ?

– მე რა ვიცი. შენ გეკითხები. ხან ვინ მეტყვის შენზე რაღაცას გადაკრულად, ხან ვინ. შენ, ბიჭო, გინდა თავი მომაკვლეინო? მარა ჯერ შენ მოგკლავ და მერე მოვიკლავ თავს, ეს იცოდე!

– რისთვის მკლავ?

– თავს თუ მომჭრი ბიჭო, გაიგე?

– და შენ არ გეჭრი თავს?

– მე?

– ხო შენ – მთელმა შენმა და დედაჩემის სანათესაო იცის რო საყვარელი გყავს, რო ძან მშვენიერად ააწყე ცხოვრება როგორც გინდა. იმ საწყალ ქალს იქ არაფერს ეუბნებიან, გული რო არ გაუსკდეს. და როცა სხვისთვის მორალის კითხვას დაიწყებ, ჯერ საკუთარ ცოდვებზე იფიქრე, მამა!

ეს „მამა“ ისე დამარცვლა!.. ისეთი ღრნით ჩაათავა... სამხარეულოში რაღაც გატყდა. რომელიღაცამ ჭურჭელი მიაშხვრია.

- რა, ტყუილს ვამბობ?
- შენი დედა რო მოვტყან მე! შე ნაგავო ბავშვო! შე ქალაჩუნა ბავშვო!..
- რა თქვი?
- მაგის ღირსი ვარ მე შენგან, შე ახვარო ბიჭო? რო ესე გამიმეტო, ეგ დავიმსახურე? დედაც მე ვიყავი შენი და მამაც და რა წლები გამოვიარეთ ერთად და სულ ეგაა შენი პასუხი?
- ძან მეცინება რო გიყურებ.
- ნუ მალიზიანებ თორე მართლა ყელს გამოგჭრი და მერე მე გამოგიჭრი ყელს, გითხარი!
- როდის ჩამოდის?
- შე უგულო ადამიანო, ვეღარ გცნობ მე შენ. უპკე დიდი ხანია ვერ გცნობ. ან ეგ გული ვინ ამოგგლიჯა, ან ეგ ტვინი ვინ გამოგილაყა!
- როდის ჩამოდის-მეთქი!
- ან რისთვის წავიდა?! ხო ვიცოდით ორივემ რო არ გამოსწორდებოდა ამით არაფერი! რისთვის მიგვატოვა და წავიდა, მე თქვენი დედები რო მოვტყან ორივესი! რო შემძულდა სუყველაფერი, ჩემი გაჩენის დღე რო მოვტყან და ჩემი არსებობის წუთი და წამი!
- როდის ჩამოდის?
- მაზგე. მაზგე დილით აქ იქნება.

ისევე მსხვრევის ხმა. იატაკზე ფაიფური იფშხვნება. კარის სახელურს ისე ვებლაუჭები, ცოტაც და ენას ამოიდგამს და ისაც შემაგინებს, შემეშვიო.

- მე მივდივარ.
- სად, ბიჭო?
- სულ მივდივარ. თქვენგან. შეიძლება ქვეყნიდანაც. დედას შენ აუხსენი ყველაფერი.
- რა აუხსნა ბიჭო?
- არ მინდა მისი ნახვა! არა!
- რატო, ბიჭო?
- არ შემიძლია! არაგის მოუცია ჩემთვის მაგდენი ნერვი და მაგდენი სიყვარული, არ მეყოფა არცერთი, ვერ გავუძლებ! გესმის რამენაირად?
- არ მესმის! და აქ ეგდები და აქ დახვდები დედაშენს!
- წავედი!
- სად გარბიხარ! ეგეთი სუსტი ხარ?
- შენ არ იცი მე ვინ ვარ.
- მართლა პიდარასტი ხო არა ხარ, ბიჭო?

ჭახანი. ბოლოჯერ. რადგან ყველაფერი მთავრდება. ვასკა ისე ჩამიქროლებს. ვერც მამჩნევს. კარს იჯახუნებს. სადარბაზოს კიბეზე ბრაგაბრუგით ჩარბის.

ძლივს ავედღლიზე სახელურს. ხელებს ისე ვაცმცებ ჰაერში, გგონება წყველიაღში მიფლიოდე. სამხარეულომდე მივიკვლევ გზას.

ზის, თავჩარგული. დამსხვრეულ თეფშებს და ჭიქებს ვაბიჯებ და მის წინ ვდგები.

როდის-როდის მამჩნევს. მიყურებს გაოგნებული. ვერაფერს კითხულობს ჩემს სახეზე, როგორც მე მისაზე. ასეთი არაფრისმთქმელი და უაზრო სახე დიდი ხანია არავიზე მინახავს. მერე უცებ შიში მიპყრობს. მისი ძალის მეშინია. მისი დაუხარჯავი ბოღმის და ბრახის. შიშისგან

ოფლად ვიღვრები. და მაინც ვამბობ:

- ხო მითხარი, რომ გამორებული იყავი?
- სიმწრით ელიძება. მერე მაგიდაზე დაგდებულ დანას იღებს და თვალისდახამხამებაში დაუშვებს თავისივე მარცხენა ხელისგულზე.
- ბოყინისმსგავსი აღმოხდება.
- მაგიდაზეა დაჭედებული. ვერ გამაცილებს.

დალი

ბოლოჯერ ველაპარაკე სკაიპით მურიკოს. ფრენა გვიან ღამითაა და საღამომდე მოვასწარი. ვასიკომ ხო არაფერი იცის-მეთქი. არაო, მამშვიდებს. ახლა სადაა-მეთქი, რატომ აღარ მელაპარაკება ამ ბოლო დროს-მეთქი. ხო იცი არ უყვარს სკაიპში ლაპარაკიო. სულ ეგეთი ბიჭი იყო ვასიკო, ძალით უნდა ამოგეგლიჯა სიტყვები. მაგისგან ერთი თბილი სიტყვა არ მახსოვს, მოსაფერებელი. აი, გოგოები რომ თავიანთ შვილებზე ყვებოდნენ ხოლმე, ჩემმა შვილმა ასე მითხრა და ჩემმა კიდე ასეო, მე ერთადერთი ამბავი მქონდა მოსაყოლი- რომ დამადგა ერთხელ თავზე, შუალამისას, მსხლებიანი პიჟამოთი, შემომიწვა ცივი ფეხებით და მეუბნება - მე თუ ვერა, იქნებ სხვა მაინც გადაარჩინოო. ნახევრად დახუჭული თვალები ჰქონდა და მივხვდი - სიზმრიდან მელაპარაკებოდა. ჩავიხუტე და ვკოცნე და ვკოცნე და დამყვა და დამანება და შემარგო ის მოფერება იმ ღამით. დედა მოუკვდეს მაგას. მივხვდავ ორივეს. მურიკოს ხელი გაუჭრია გატეხილ თეფშზე, იდაყვამდე ქონდა გადახვეული. მეტი არ მაჩვენა, მარტო ეს დავინახე.

აეროპორტიდანაც დავრეკე. ვაიფაიც იჭერს აქ, მარა არცერთმა არ აიღო. ალბათ ძინავთ. დილაამდე ცოტას გამოიძინებენ.

აქ რაღაც ჩოჩქოლი იყო ცოტა ხნის წინ. სირიელი ლტოლვილების ჯგუფი იცდის თურმე მესამე დღეა და არც იქით უშვებენ და არც აქეთ. ძირს წვანან, საცოდავად, პლედეზე და ტურისტების ნაჩუქარ პარალონებზე. ჯღავიან ბავშვები, შიათ, წყურიათ... ჩვენი დევნილები მახსენდება, სკოლებსა და ბაღებში რომ შერეკეს, მერხებზე რომ ეძინათ და ჩამტვრეულ ფანჯრებზე გახეთქის აკრავდნენ, ქარისგან რომ ცოტათი დაეცვათ თავი. მაგრამ ახლა ამათთვის ჩვენი ქვეყნაც კი საოცნებოა. ნებისმიერი ადგილია საოცნებო, სადაც შვილებს გადაარჩენენ.

ადმინისტრატორი ფრენის ნახევარი საათით გადადებას აცხადებს. რაღაც საეჭვო განგაშია. ხალხი აქეთ-იქით დაბნეული აწყდება. პანიკა ჩუმაღ, გველივით მოცოცავს აეროპორტისკენ.

ახალგაზრდა სირიელი ქალი ჩემთან ყველაზე ახლოს ზის, მუცელზე ჩვილი ყავს აკრული ტილოს ნაჭრით. სულ მე მიყურებს. თავიდან ვიძახები. მერე ვცდილობ გავიგო, რამე ხომ არ უნდა. ბავშვს ძინავს ტილოს გუდაში. ჩანთიდან ტერენას ჩალაგებულ ფუნთუშებს ვიღებ და ვაწვდი. მორცხვად მართმევს, მადლიერებით მიღიმის. რა ლამაზია! ახლად ვაკვირდები - მუქი ხორბლისფერი თმა და კანი, მომწვანო-ლურჯი თვალები, პაწაწინა პირი და ქათქათა კბილები... თითები - ცოტათი ჭუჭყიანი, მაგრამ კონტა, ნეკზე წამოცმული ოქროს რგოლი, წითელი თვლით.

უცებ ამ თითებს გრძელი კაბის ჯიბეში იყოფს და

იქიდან პატარა შეფუთულ პაკეტს აძრობს. თვითონვე ხსნის და მიწვდის. ქარვისფერი ბურთულაა. ღიმილით ამოდრავებს ყბებს – მანიშნებს, რომ დასაღვჯია. აჰა, ანუ საღვჯ რეზინას მჩუქნის. ვართმევ და იმის ნიშნად, რომ მეც მაღლიერი ვარ, პირისკენ მივაქანებ. ვაჰ, რა უცნაური გემო აქვს. თითქმის ჩვენებური ფიჭვის კვეის. კი მაგრამ, საიდან აქვს სირიელ ქალს ფიჭვის კვეი? სირიაშიც იზრდება კვეიანი ფიჭვები? ქარვისფერი კვეის გემო მაცოცხლებს და მართობს. ფიქრებს მიქარავებს.

მთავარ გასასვლელში პოლიციის რაზმი ჩნდება. ყველა მიმართულებით იშლებიან და სათითაოდ გვაფრთხილებენ, რომ დაეტოვოთ დარბაზი.

პანიკა მატულობს. რა ხდება? – ეკითხებიან პოლიციას. შემოსულია შეტყობინება, რომ მოსალოდნელია ტერაქტი, ამიტომ დარბაზში ყოფნა დაუშვებელია.

თვითმფრინავი გასაფრენად ემზადება. მობილიზება იწყება. გასასვლელებში რიგი დგება. დარბაზი ძნელად, მაგრამ თანდათან იცვლება. ჩემი სირიელი გოგო, ჩვილაკრული, ისევ ჩემს შორიახლოს ტრიალებს. შემოღილი თვალები აქვს. ნეტა მერამდენედ შეეშინდა? მერამდენედ უნდა გაიქცეს? ან მე რატომ არ მშორდება, რას მანიშნებს?

დანარჩენ ლტოლვილებს სადღაც მიერეკებიან. ისინი უკმაყოფილოდ ჩივიან თავიანთ ენაზე, ხელებს იქნევენ.

ჩემს გასასვლელთან ვდგები. ბილეთი და პასპორტი მაქვს ჩაბღუჯული. სირიელ გოგოს ვუყურებ. ისაც მიყურებს. პანტაპუნტით უშვებენ გასასვლელში, ზერეულად ამოწმებენ, ოღონდაც ხალხმა დროულად დატოვოს აეროპორტი.

ბავშვი ტილოს გულში იღვიძებს. თოთო ლოყები უღაჟებს. გაკვირვებული აცეცებს თვალებს. ვასიკომ იცოდა ზუსტად ეგეთი გაღვიძება. ზუსტად! – გაცეცებული, თითქოს ისეთ სამყაროში მოხვდა, სადაც არაფერი ესაქმებოდა, თითქოს სხვაგან გაიღვიძა, უცხო ხალხში, უცხო გარემოში. როდის-როდის მოდიოდა აზრზე. წვალებით და ტირილით. რატომ არ მელაპარაკება ვასიკო? რატომ არ გამოჩნდა ეკრანიდან? რას მიმაღავს ვასიკო, ან იქნებ მუ-

რიკოც მიმაღავს რამეს? თავს გიფიფით ვიქნევ და კითხვებს ვიბერტყავ. ვასიკო იღვიძებდა ხოლმე ტირილით, ერთი დღილა არ მახსოვს, გაეღიმოს, ტირილი კარგადაც ექიმმა, მგრძობობარე ბუნება ექნებაო და დიდი ჰუმანისტი გამოვო, ასე ამბობდა ხოლმე ექიმი, მაგრამ მე რატომ მჭამდა ეჭვი? ნუთუ ჩვენ სამში ყველაზე გამძლე ეჭვი აღმოჩნდა?..

ტილოს გულში იღვიძებს ბავშვი და სანამ ისიც ატირდებოდეს, უცებ საოცარი აზრი მომდის თავში! ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი აზრი! გოგოს მაჯაში ვაფრინდები და გვერდით ვაყენებ, ჩემს პასპორტს და ბილეთს ვაჩეჩებ, მერე მისი ხელითვე ვუწვდი ოპერატორს. ოპერატორი დაბნეული იმშუშნება, უკნიდან ზღვა ხალხი გავწვება – ჩქარა! ჩქარა! ოპერატორი გოგოს ატარებს და ის უკვე თვითმფრინავისკენ მიმავალ ჰოლში დგას. არა, მოიცა, ისევ მინათდება გონება – პირიდან ქარვისფერ კვეს ვიღებ და ჩემი პასპორტის უკანა მხარეს ვაწვებ, გოგოს ვაჩეჩებ. კვეი ხელისგულზე ეწებება, ვინმეს ეგონება, ერთმანეთს ხელს ვართმევთ, ვემშვიდობებით.

მართლა ვემშვიდობებით, თვალებით. საშინლად დაბნეულია, ვერ იძვრის, მაგრამ ხალხის ტალღას ჰოლისკენ მიყავს. ჩვილი ისევ გაცეცებული იყურება აქეთ-იქით. მე ტუჩებთან მიმაქვს ხელი და ვანიშნებ, რომ ვკოცნი, შორიდან.

რა ლამაზია ჰაერში კოცნა.

რა ლამაზია ღამის თვითმფრინავი, მოციმციმე ფერადი შუქებით, ხალხით დატვირთული, რკინის ფრთებით რომ გადააფრენს იქ, სადაც უსაფრთხოა, სადაც სამშობლოა, კარგი მხარეა, სადაც ნუგეშია...

ვიღაც მიყვირის აეროპორტის დარბაზში დაბრუნებულს. ჩემ გარდა სხვებიც არიან. ბევრნი. ყველა ვერ წავიდა. ყველამ ვერ გააღწია.

შიშს არა, უფრო მოლოდინის სიმძაფრეს ვგრძნობ. თითქოს ვინმემ ჩემ შიგნით რაღაც ააფეთქა და გამაფრუებელია ეს ხმა.

ეს ხმა ჯობია იმას, რასაც ველოდებით. ამ ხმამ უნდა დამიფაროს, როცა სხვა, უფრო ღონიერი ხმა გადაფარავს ყველაფერს. ამ ხმამ და ჩემმა შრომანისფერმა სანტა მარიამ...



ჰაატა აბაშიძე

შენ წახვალ

შენ წახვალ, მერე ამ ჩვენს ქუჩამდეც
მოვა თოვა და მოათოვლფიფქებს;
წახვალ და თითქოს არა უშავდეს,
წახვალ და იქნებ, სულ არც მოხვიდე.
ვრჩები უნიჩბო მენავესავით,
ანუ ნიჩბები იქით, წყალს გაღმა.
რომ დაჯანებოთ ყველაფერს თავი,
შენ ამის მერე მომსვლელი არ ხარ.
მე ყოველ ზამთარს ჭილაძის წიგნით

ხელში შევხვდები და თავს მოვახვევ
 მის ლექსებს, ჩემს თავს. შენ, კარებს შიგნით
 ვიცი, არასდროს არ შემოალე.
 ქარი გაბზარულ მინას ასე რომ
 თავს ახლის ახლა, ხმაურით არწევს...
 და თუ მეორედ მოსვლა არსებობს,
 იქნებ, მოხვიდე როგორმე ამ წელს.
 წახვალ და ჩემში მოთოვ ფიქრებად,
 მერე ეკლიპსი თვალებს დანისლავს.
 ეს წასვლა ისე მძიმე იქნება,
 როგორც ჩემს მხარზე კუბო მამისა.

* * *

ეს ამინდები ამ ზამთართან მალე ვენდეთას
 გამართავენ და წყლად იქცევა, ეს გარეწარი.
 თებერვალია, ხეში წყალი დგება ნელ-ნელა
 და მახსენდება მამის ფილტვში ჩამდგარი წყალი.

დადგება მარტი – გაზაფხულის დემო-ვერსია
 და ამ თებერვალს დაუმიზნებს ალბათ, დამბახას.
 გამახსენდება, ამ გზებს როგორ შემოესია
 იები (მაგრამ ეს პასაჟი ბავშვობას დარჩა).

მოგონებებში იქნებ, კაცი ნერწყვებს ყლაპავდე,
 ან სულაც, იქნებ, გიხაროდეს თოვლის გაშრობა.
 ეს თებერვალიც დაილევა ერთი დღით ადრე
 და მშრალ ეზოში ითამაშებს ჩემი ბავშვობა

მოსწავლეს

ნუ გაგიკვირდება აქა-იქ სიღამპლე
 თუ შეპყვა ცხოვრებას, შენ წელში გასწორდი!
 ისწავლე ღიმილი, თვალებით ისწავლე,
 სვედას და სინანულს ცხოვრებაც გასწავლის.

ფრთა თუ გაქვს – არ გინდა, გძულდეს კაკანათი...
 ხანდახან იმედიც გდებულა ბოძებთან.
 ისწავლე მიმიკით და ჟესტით კარნახი,
 ხომ ხედავ, ჩურჩულით კარნახი მოძველდა!

არსებობს სიტყვები, გზების გადაძვევით...
 გახსოვდეს, შენი „მე“ სხვის თვალში დაფასდა.
 ისწავლე, რომ ვიდაც არ სწავლობს გაკვეთილს
 და ხვალ შენს იმედად გამოვა დაფასთან.

გჯეროდეს სიზმრების და მეტად სიცხადის,
 სითბოს გაუფრთხილდი, ვერ ნახავ მას უხვად.
 სიცოცხლე ისწავლე, სიმღერა ისწავლე
 და ათას სიკვილს ეს გაეცი პასუხად.

ზოგი უჭმელობით, ზოგიც ჭამით კვდება
 და ზოგს აქვს სახლუკა, დანარჩენს – კორპუსი.
 იცოდე, ყველა „რომს“ მძიმე არ სჭირდება
 და მძიმეც ხანდახან მსუბუქად მოუსვი.

ვერ გავიმეორებთ ამ წამებს, იმ წამებს,
 რაც იყო და არის – მას ყავლი გაუვა.
 პაერის ხმაური და სუნთქვა ისწავლე,
 თორემ ჩვენს ყრუ ხმაურს რაღა სწავლა უნდა!

ყველას რომ გეძინავს (და ამ დროს შენც რომ გძინავს)
 ვიდაც გვეყარაულობს კარებთან, დაღლილი.
 ისწავლე ყველა ის, ვინც რომ შემოგცინა –
 რატომდაც ზოგ სიცილს არ ჰქვია ნამდვილი.

ნუ გაგიკვირდება აქა-იქ სიღამპლე
 თუ შეპყვა ცხოვრებას, შენ წელში გასწორდი!
 ისწავლე ღიმილი, თვალებით ისწავლე,
 სვედას და სინანულს ცხოვრებაც გასწავლის.

მახსოვს

მახსოვს, მზე სითბოს არ გვაძლევდა – სითბოს გვართმევდა,
 მამა გვეწვა,
 სხვა სითბო ჩვენ არც გვექონდა საერთოდ.
 იყო აგვისტო, დარი გარეთ ღუმელს ანთებდა
 და მამის ფილტვში ღუმელივით ანთებდა ერთო.
 საავადმყოფო,
 გადასხმები, ჩვენ –
 თავთან ახლოს
 ვედექით, მას ხომ მომაკვდავი გული უძგერდა.
 ისეთი გვალვა ჩამოაგდო ზაფხულმა – მახსოვს,
 რომ მამა ფილტვში წყლის გარეშე ვერ გაუძლებდა.
 თვალებს ხუჭავდა, მერე თითქმის ვეღარც გეხედავდა,
 ალბათ ჩვენს თავზე ფიქრობდა და ამას გვაჩვენებდა.
 ხომ იცოდა, რომ მიდიოდა,
 მიუხედავად
 ამისა,
 მაინც გვპირდებოდა ჩვენთან დარჩენას.
 თვალები მახსოვს,
 ის თვალები...
 ეეჰ, საწყალი!..
 აგვისტოს ბოლოს მოიქუფრა ზეცა უცებ და
 აგვისტოს ბოლოს იყო ნისლი, ფილტივიდან წყალი
 აორთქლდა, სულიც ნისლებს გაჰყვა და შეუერთდა.

* * *

ჩვენ უფრო სხვა ცხოვრება
 გვერგო და დაგვეკისრა,
 მე კიდევ ცოცხალი ვარ
 და უუძლებ ვერჯერობით.
 მახსოვს, ზურგით ვიდექით
 საფუნთუშეებისგან
 და გვშიოდა, მაგრამ ჩვენ
 სხვა თემას ვეხებოდით.
 უადამიანობა
 ჩვენთან ისე გახშირდა,
 რომ ვერ წარმოიდგენ და
 ახალგაზრდაებრდებით.

შენ კი შვიდი წელია,
 ისევ იმ ასაკში ხარ
 და მე ოცდათექვსმეტში
 ახლახანს გადაუვლი.
 ხვალაც მომაგონდება
 და ძველ რვეულს გადავძლი,
 გაცდენებზე რა გითხრა,

რომ არ მოგეთხოვება!
 ჩვენი კლასის ჟურნალის,
 მეცხრე ნომრის გრაფაში
 უკვე შვიდი წელია
 „აღარას“ წერს ცხოვრება.



ფოთოლოცვენის ქარი

მე შენში მიყვარს ქალი
 და სისპეტაკე სულის,
 შენი ეშხით ვარ მთვრალი,
 ვერ ვუმკლავდები სურვილს,
 რომ კვლავ ჩაგიკრა მკერდში,
 როგორც პირველად – ვნებით,
 მუდამ რომ მყავდე გვერდში,
 რომ ვიამაყოთ წლებით...
 დრო მიქრის, როგორც ქარი,
 წლები რაც უფრო გადის,
 ვრწმუნდები შენი დარი
 ქვეყნად არავეინ დადის...
 ვრწმუნდები, რომ ჩემ სურვილს
 წლები ვერაფერს უზამს,
 დრო მიძლიერებს წყურვილს
 ჩემო ლექსების მუზაჲ!
 მიყვარს ისეთი ქალი,
 როგორიც არის შენში
 და ფოთოლოცვენის ქარი
 მე ვერასოდეს შემცვლის...

ანდრო ჩაჩანიძე

უცნობი ქალი

ზურმუხტისფერი თვალების
 შემოფეთება ფერთა,
 თმა-კულულების ჩანჩქერი,
 ჩამონადენი მკერდთან,
 წამწამთა ჯარის სიუხვე,
 მცველად უძირო თვალთა,
 ტანად ხეობა-ჭიუხებს
 შერწყმა ბორცვთა და მთათა,
 დიდგვაროვანი იერით
 წარბის მოზიდვა მშვილდად,
 მზერის, ქალურად ცბიერის
 შემონათება მშვიდად,
 მარჯნის ტუჩების კუთხეში
 ევას ღიმილი სახლობს,
 თუ გაგაბრიყვა, თუ შეცდი,
 თუ გაეკარე ახლოს,
 მყის გაამართლებ ადამს და
 იმისი მადის აღმძვრელს,
 ერთს კი არა და გოდრებით
 გაჭმევს ედემის ვაშლებს....

ბებერი ხარი

„ბებერი ხარის რქანიც ხნავენო“
 ქართული ხალხური ანდაზა

მთის ფერდობზე და მის თხემზე
 ნაბიჯით ღინჯით და წყნარით,
 ამოვიდა და მთის წვერზე
 შემოდგა ბებერი ხარი,
 ხან შემხვედრს ებრძოდა ქარტეხილს,
 ხან ჰქონდა მზიანი დარი,
 ავდარს და მეხს თაუზე დატეხილს,
 არ უშინდებოდა ხარი,
 მინდვრებს ია-ვარდით მოფენილს,
 აღმართები მოყვა რთული,
 გათელა დრო-წუთისოფელი,
 პირველი გაჰქონდა ხნული,
 წინ მიდიოდა და რჩებოდა
 განვლილ გზას სიკეთის კვალი,
 უკან, ნახნაუზე ჩნდებოდა,
 ახლადამოსული ზვარი,
 ქელზე კვლავ აპეურს დაიდგამს,

კვლავ გასწევს მამულის ჭაპანს,
 ისევ პირველ ხნულს გაიტანს,
 არაფრად მიიჩნევს ჯაფას,
 ისევ უღელშია შებმული,
 ცხოვრებამ ვერ უცვალა მხარი,
 გამოცდილებით შემკული,
 კვლავ მხნედ დგას ბებერი ხარი!

მერვე მცნება

არავინაა შეუმცდარი,
 ყოველი ცდება,
 არ იპაროთ
 ღმერთმა მოგვცა ეს მერვე მცნებად.
 გამოუტანა კაცმა უმალ
 მას განაჩენი,
 მყისვე უარყო, ისე როგორც

ცხრა დანარჩენი.
 ვერცერთმა მცნებამ
 ვერ იპოვა ჩვენში ადგილი,
 ნამუსგარეშე ცხოვრებაა
 რადგან ადვილი,
 ზოგმა იპარა მილიონი,
 ზოგმა ხურდები,
 ასე მოძრავლდნენ აქლემის და
 ნემსის ქურდები...
 სასაცილოა, რომ არ იყო
 ეს სატირალი.
 ვინც მეტს იპარავს,
 ზდება უფრო გულქვა, ტირანი,
 გაგიკვირდებათ,
 მან მოირგო ნამუსის ქული
 და ასამართლებს ნემსის ქურდებს
 აქლემის ქურდი....



ჯემალ მახრიშვილი

ღვიძლი

ლეგენდის მიხედვით, რუსეთის იმპერატორის კარზე ერთ-ერთ დიდმოხელეს თარჯიმნის პირით ტყვე შამილისთვის დამცინავად უკითხავს: იქ, კავკასიაში ახლა ნაიბი ვინ არისო?

შამილს უპასუხია – სადაც მე ვარ, კავკასია იქ არისო.

ზოგიერთების საყურადღებოდ!

ავტორი

თავისი მომავალი წიგნის „მუსიკალური სოციოლოგია და ესთეტიკა“ ხელნაწერის სწორებით თავდავიწყებულმა კომპოზიტორმა ვერც კი შენიშნა, უბნის სამკურნალო

პროფილაქტიკური ცენტრიდან დაბრუნებულმა მეუღლემ როდის შემოუღო ბინის ან მისაღების კარი. ასლუკუნებული ქალი მოწყვეტით ისე დაეშვა დივანზე, თითქოს მარტოკა ყოფილიყო, პირისახე თან უშნოდ ემანჭებოდა.

ხელნაწერის სქელ დასტაში კაცმა სანიშნო აჩქარებით ჩაღო. მერე მეუღლესთან გადაჯდა და მიიხუტა. გაფერმკრთალებულ ლოყებზე ქალს ახლაც ეტყობოდა გზადაგზა ნაგალი ცრემლის ნაკვალევი.

– ხომ გითხარი, მეც გამოგყვები – მეთქი! – უწყინარი კილოთი შეახსენა ქმარმა.

– შენ რაზე უნდა მომეცდინე... ან იქ რაღას მიშველიდი?! – უიმედოდ შეჭქვითინა ქალმა, ქმარს უფრო აეტმასნა და ცრემლი კუფხა-კუფხად გადმოსკდა.

კომპოზიტორს თავისი მეუღლე ჯერ არასოდეს ენახა ასერიგად ატირებული. ქალი ისეთი მდულარებით იკურცხლებოდა, როცა საქმე საკუთარ სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება ხოლმე!

უმწეოდ მოხუტებული ცოლის წამსკდარმა ცრემლმა კომპოზიტორს ხელახლა გაახსენა დაუნდობელი ყოფითი სინამდვილე, მასზე ფიქრს მუდამ თავს რომ არიდებდა და ცდილობდა, თავის მიერვე გამონაგონი მუსიკალური სამყაროთი ჩაენაცვლებინა! მაგრამ მეუღლის მდულარებამ აგრძნობინა – თვითონ რანაირი შთამბეჭდავი სიმფონიური მუსიკის შეთხზვითაც არ უნდა გატანჯულიყო, გარდაუვალი ყოფითი სინამდვილის ბრჭყალებიდან თავს მაინც ვერაზინ დააღწევდა! ასე რომ, შორს ადარ იყო სიბერე... აუადმიყოფობა... წამლები... ერთ-ერთი მათგანის დაქვრივება... მარტობა... გაჭირვება... ყველასადმი გაუცხოება... სიკვდილი!

აქ ველარაფერს უშველიდა ქალიშვილი, თბილისში ჩამოსულ ბერძენ ფოტოხელოვანს მშობლების უკითხავად ცოლად რომ წაჰყვა. ისინი ჯერ სალონიკში ცხოვრობდნენ, ამწინეებზე კი თავიანთი ერთადერთი შვილის, ოთხწლიანხევრის არისტოტელესთვის მოველოთ ხელი და კანადაში ამოეყოთ თავი!.. ახალდაოჯახებული ვაჟიშვილი?! მართალია, თბილისურ ქართულ ოჯახს დაუმოკეთდნენ,

მაგრამ რძალმა მოკრძალებული ქორწილის მეორე დღი-დანვე არ იპიტნავა დედამთილ-მამამთილი, ურემონტო ბინა, განაპირა მასივი. ამიტომ პირდაპირ ცა გაიწითლა, სანამ სამუდამოდ ქობულეთში, თავის მარტოხელა „საყვარელ ვარა დეიდასთან“ გადასახლკარდებოდნენ!..

ერთი სიტყვით, შეხნიერებული ცოლ-ქმარი ყოველგვარ სიღუხჭირეს თავად უნდა გამკლავებოდა!..

– მაინც რა... გითხრეს... – ქმარი ხმას ძლივს იმორჩილებდა, – როგორი ანალიზებია...

მეუღლე ხელახლა აუქვითინდა.

– ჰემოგლობინი გაქვს დაცემულიო!... თუ აქედან მაინც არ მიხედვ, კომაში ჩავარდები და ვეღარაფერი... პირველ რიგში საქონლის ღვიძლი...

– მერე, მაგაზე ადვილი რა არის?

დაცრემილი თვალებით ქალმა ქმარს გამომცდელად ამოხედა.

– ათასში ერთხელ კი არა, სულ მაგაზე უნდა იყო, სანამ... მერე, ჩვენ მაგდენი ფული სად გვაბადია?! იცი, რა უღირთ კილოგრამი – თოთხმეტი ლარი!!!

– ფიქრი ნურაფრისა გექნება – შენ ყოველთვის გიყიდი! – დაბეჭდა კაცმა.

ქალი მაშინვე ჩახვდა, რა ტანჯვა-წვალებითა და რისთვის შეკოწიწებული ფულის დაკოჭლებას დაჰპირდა ქმარი და მადლიერებით აეხუტა, როგორც თავის ერთადერთ იმედსა და შესაძლო მსხნელს.

– სად არის ეგ ხორცის მაღაზია? – ბავშვით იკითხა წამომართულმა კაცმა, – საკანცელარიო რომ იყო, იმის გვერდით, არა?!

– უპ, იქ რამდენი წელია, რაც გააუქმეს! – ქმრის პიტალო უმეცრობით მოგვრილმა პირდიმილმა ქალს ჩატეტიკილი სახე წამით გაუნათა, – ახლა ხეივანის სულ ბოლოშია... იქითა მხარეს... დაინახავ... ან იკით...

– რამდენი ვიყიდიო, ერთი კილო?

– მაგდენი რად გვინდა! – შორს დაიჭირა გამოცოცხლებულმა ქალმა, – ჯერ ნახევარი კილო ვიმყოფინოთ, მერე კი ვნახოთ!

* * *

ხორცის მაღაზიის წინ იმოდენა ძაღლები დასუნსულდებდნენ, კომპოზიტორმა შიშიც კი იგრძნო – რომელიმე მათგანი მიმპარავი არ იყო! ამიტომ მათ სიფრთხილით აუარა გვერდი და მაღაზიაში კედელ-კედელ შევიდა.

– საქონლის ღვიძლი გაქვთ?

მაღალ მორგვზე შემოდებული ძროხის უზარმაზარი ბარკლის ჩეხით გართულმა ახალგაზრდა, წარმოსადგემა ყასაბმა თავი გაიფრუმუნჯა.

რიგში მდგომებმა იქით-აქედან მოუთმენლად მოაძახეს.

– არის, არის!.. ეგე, ვერა ხედავ?!.. რამდენიც გინდა!..

გრძელ ვიტრინაში, ნაჭერ-ნაჭერ გამორჩევით ელაგა სხვადასხვა ხარისხისა და ფასის ხორცეული. ვიტრინის ერთ ბოლოში ერთმანეთის გვერდიგვერდ ეწყო საქონლის ახალი ჯიგარი და მონდომებით გასუფთავებული ხაში.

ვეებერთელა, ტარმოკლე ცულს ხელგაწაფული ყასაბი ხერხიანად იქნედა და კუნძისებურ ბარკალს ჭახაჭუხით ანაწევრებდა. ხელუკუღმა, თანაც თვალმიუყოლებლად მოსროლილი ხორცის გრძელ-გრძელი ნაჭრები იქვე, სა-

თადარიგო მაგადაზე ერთმანეთის მიყოლებით თითქოს თავისით ლაგდებოდა!

რიგს კანტიკუნტად ემატებოდნენ. სახეზე ყველას მოუთმენლობა ეხატებოდა – ზოზინა ყასაბი როდის მორჩებოდა ხორცის ჩეხას, ჯერისამებრ ახლა მათ გასტუმრებას რომ შესდგომოდა!

ერთი თვალდამშეული, ხისსახიანი კაცი რკინის მკვიდრ ხარისხზე უფანგავი ჩანგლებით ჩამოკიდებულ ხბოს, ბურვაკისა და თოხლის ფეშხოებსა და ფელიკებს ისე მიშტერებოდა, თითქოს ყველაფრის წაღება თვითონ განუზრახავს, სხვებს კი აღარაფერი შეხვდებოდა!

რიგში მდგომ უმრავლესთა ხმადაშვებული, რაღაც საწვეულო სამზადისის მიმანიშნებელი მოკლე-მოკლე წამოლაპარაკება ცხადყოფდა, ისინი აქ ხშირი და თანაც სარფიანი მუშტრები იყვნენ!

ყასაბი ხორცის ჩეხას მორჩა. მძიმე ცული იქით მიდო, ხელები სუფთა ჩვარზე შეიწმინდა და მუშტრების გასტუმრებას შეუდგა.

– ჯანო, ხუთი კილო საქონლის სახაშლამე ხორცი – ოღონდ ჩვენ რომ ვიცით, იმნაირი!.. დედა, სამი კილო ღორის ფარში!.. ჯანო, ხუთი კილო ღორის რბილობი – სამწვადედ, რაღა!.. ორი არტალა, ერთი ძროხის ენა და სამი კილო ძროხისავე ნეკნები!.. ჯანო, მომხედე აქეთ! აგერ, ბურვაკის ის ბარკალი! მთლიანად, აბა, რა!.. ექვსი კილო ცხვრის ისეთი ხორცი, ადვილი რომ იყოს მოყაურმება!.. – ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა თავის საფიქრალში გადაკარგულ კომპოზიტორს. მოულოდნელად საშინელმა აკანკალებამ აიტანა და მთელი ძალა მოიკრიბა, ამ აკანკალებას როგორმე მორეოდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო.

– თქვენ? – თვალგაყრით შემოამტერდა ყასაბი.

– ნახევარი კილო საქონლის ღვიძლი.

ზოგიერთს დამცინავად შეუნაოჭდა პირისაზე – ამხელა კაცი თურმე ერთი ქულამა ღვიძლისთვის მდგარაო!

ვიტრინაში დებულ მთლიან ღვიძლს ყასაბმა სათული გაუსვა, მონაჭერი ახლაც შორეულ კუთხეში მოფარებულ ელექტროსასწორთან წაიღო, აწონა და ცელოფნის წყვითლო პარკში ესე გამობანტა, მერე მისი გამოხსნა აღარავის გასჭირვებოდა.

– შვიდი ლარი და ოთხმოცი თეთრი! – აუწყა აქამდე უნახავ მყიდველს და შეკრულა ვიტრინაზე შემოუდო.

– გასაკვირია! – მღელვარებისაგან კომპოზიტორს ხმა ჭაბუკურად უკანკალებდა, – ჯერ ერთი, მყიდველი აქედან იქ ვერც წონას ხედავს, ვერც ფასს!.. თანაც ამსქელა კაცი სასწორს ისე ეფარებით, რომ...

ყასაბმა ითაკილა საბედისწერო მხილება და მაშინვე გონჯად გამოაჯავრა.

– ამსქელა, არა?! – ჯერ ხეირიანი ქართული ლაპარაკი ისწავლეთ და მერე...

რიგში თავშეუკავებელი სიცილ-ფრუტუნე ატყდა. მობუხული ღვიძლი თვით კომპოზიტორსაც მოერია, რაკი მღელვარებისგან ერთმანეთში გაებლანდა სიტყვები – ამხელა და ამსისქე!

მყიდველის ატკერცითა და რიგში ატეხილი სიცილ-ყაყანით ყასაბმა ჩვეულად ისარგებლა – ღვიძლიანი პარკი ისევ იმ შორეულ კუთხეში წაიღო და ხელახლა აწონა.

– შვიდი ლარი და ოცი თეთრი – აბა, წედან რა ვთქვი?!

ვისაც გინდათ, მოდით, შეხედეთ! – დინჯად გამოაცხადა ყასაბმა და შეკრულა ისევ მყიდველს მიუტანა, – რა, არ მენდობით?

კომპოზიტორს თავისდა უნებურად ჩაეცინა.

– აქ საკითხი ნდობა-უნდობლობას კი არ ეხება, არამედ წესრიგიანობასა და ურთიერთპატივისცემას, – თანასწორულად განუმარტა, – რისთვის არსებობს სასწორი? მყიდველმაც და გამყიდველმაც რომ შეხედოს და!.. კარგი, თქვენ თვითონ მოგწონთ ასე?

– არა, მაგრამ... – ყასაბს ენა აუბორძიკდა, – აბა, აქ სადღა ჩავდგა სასწორი?

– აქ ისე ჩაგიხერგავთ, ახლა აღარსად! – მიმტყეებლური ღიმილით მიუგო კომპოზიტორმა, – ეგ თავიდანვე არ უნდა გეფიქრათ?!

– მე არავის არაფერში არ ვატყუებ, არა! – ყასაბმა ვინიანად გადააბრუნა სიტყვა.

– მაშინ მით უფრო გაუგებარია – სასწორს იქ რა უნდა?! – შეიცხადა გაკვირვებულმა კომპოზიტორმა, – ან მაგდენ მისვლა-მოსვლაში დროს რაზე კარგავთ?!.. ჰოდა, არ ჯობია სასწორიც ხელქვეშ გედგათ: მოუჭრით, აქვე აუწონით, გადაახდევინებთ, გაატანთ!.. არ მესმის, იმ სიშორეზე რიდასთვის მიგაქვთ?!

ყასაბი თავისი ზომის გალიაში გამომწყვედევულს დაემსგავსა. მან ამის მეტი სხვა ვეღარაფერი მოიხზრა – ჯილა თვალეები რიგში მდგომ ძველ მუშტრებს მისამხრობად საწყლურად მიმოავლო. ამას უმედევოდ არ ჩაუვლია – ძველი მყიდველები აუღელვებელ უცნობს გააგებით აუღელვდნენ.

– მორჩი მიტინგს!.. ე ვინა ყოფილხარ?!. სასწორი! აქ რა შუაშია სასწორი?!

– როგორ თუ რა შუაშია?! – კომპოზიტორი ახლა მათ მიუტრიალდა, – სად გაგონილა, ხორცს დიღმის მასივში გვიჭრის, ასაწონად კი ქვემო ავჭალაში მიაქვს!.. თქვენ ეს არ გამცირებთ?!

წამით ხიფათიანი სიჩუმე ჩამოვარდა.

უცნობის მსჯელობამ თითქოს ჰაერიც კი დანადმა – კრიჭის გახსნას ვეღარავინ ბედავდა.

– ო, ეგ კი ჩაგეთვალა! – მოულოდნელად სიცილ-ხარხარით გამოეძრანა სულ ბოლოს შემოსული თავქოჩორა ყარაჩი კაცი, – „ხორცს დიღმის მასივში გვიჭრის, ასაწონად კი ქვემო ავჭალაში მიაქვს!“ დაიცა, ეს გამოთქმა მთელ თბილისს მოედება!.. რას ერჩით, ეს კაცი მართალია – აწონაც მუშტრის თვალწინ არ უნდა ხდებოდეს?! მაგრამ ყველგან ეს უბეუდრებაა – სასწორზე აღარ გვახედებენ! აი, რა დღეში ჩაგყვარეს ნებაზე მიშვებულმა დახლიდრებმა!.. „...ასაწონად კი ქვემო ავჭალაში მიაქვს!“... ზუსტია! ზედგამოჭრილია! ჰა-ჰა-ჰა...

ძველმა ნაცნობებმა თავქოჩორას ყვედრებით შეანათეს თვალეები – როგორ თუ ვიღაც უცნობს სიტყვამახვილობა მოუწონეო! თუმც ჯავრი ისევ მასზე იყარეს – ქალი და კაცი ერთდროულად აუჟღავნდნენ.

– მაგ ნახევარ კილო ღვიძლს ნუ გადაგვაყოლებ!.. ხალხი არა ხართ, მე ურიგოდ გამიშვით – დაქირვებული მზარეული მელოდება!.. აიღე ეგ შენი ღვიძლი თუ რაც არი და მოგვმორდი!.. ახლა იქნებ საპატრულო პოლიციაც გამოიძახო?! ვააჰ, სახათაბლოდ მოგვიხვედი?

რიგს წედანდელი თვალდამშეული კაცი გამოეყო და

უცნაურ მუშტარს წინ ფალავნურად გამოეჭიმა.

– დიდი ხანია, რაც ამ საქმეზე დგებარ?

– რა საქმეზე?

– რა საქმეზე და ერთი მონარშვა ხორცის გამოძალვაზე!

– წარბშეჭმუხვნით მოუჭრა თვალდამშეულმა და ყასაბს ბატონკაცურად შეუხმამკვანა, – მაგ ნახევარი კილო ღვიძლისასაც მე გადავიხდი – მორჩით ბაზარს!

საყოფელთაო მოწონებამ რიგში შემოდგომის ჩალიანოვით შეიმრიალა.

– თქვენ რასთან დაკავშირებით უნდა გადაიხადოთ, როცა მე ვყიდულობ?! – კომპოზიტორი ჩამაგონებელი სიმშვიდით ჩაეკითხა ხისსახიანს და ყასაბს მიეხლა, – რამდენია გადასახდელი?

– შვიდი ლარი და ოცი თეთრი.

კომპოზიტორმა დასახელეებული საფასური გადაიხადა, აიღო თავისი ნავაჭრი და მაღაზიიდან გააბიჯა.

ვიღაცამ საკონტროლო ტყვიასავით იქედნურად დაადვენა.

– გემრიელად მიირთვი!

შეებამოგვრილმა ძველმა მუშტრებმა მაღაზიის სარკმლიდან დაუჯერებელი სურათი დაინახეს: უცნობმა ღვიძლიანი პარკი ძაღლებს გადაუგლო და ხეივნიპირა მოედანი უკანმოუხედავად გადაყვლა.

* * *

კომპოზიტორი ალაღბედად მიაბიჯებდა. ოცდაათი წელია, რაც ამ მასივში ცხოვრობდა, მაგრამ ამ მეზობელ კვარტალში ჯერ ფეხი არ დაეგა!.. კითხვა-კითხვით მიადგა ხორცის მაღაზიას. სარკმელში გაუბედავად შეიჭვრიტა და შიშისგან მუხლები მოეჭრა: მუშტრები ტუსაღებივით იცდიდნენ, ჯმუხ ყასაბს კი შერჩეული ხორცის ნაჭრები სადღაც განზე მიჰქონდა და მყიდველების თვალმოუკვრელად იქა წონიდა! ამიტომ მაღაზიაში შესასვლელად ძალა და გამბედაობა აღარ ეყო. იქვე, ტოტებგადმოფარჩხული ჰიმალაიური კედრის ქვეშ მიდგა და გარინდდა. მის ყისმათზე ხორცის მაღაზიისკენ გეზაღებული სახიერი ქალი გამოჩნდა. კომპოზიტორმა უმაღ გზა გადაუჭრა და შეუხამებლად აულაპარაკდა.

– ქალბატონო, ძალიან მიჭირს... იქნებ დამეხმაროთ...

ზომიერად სუნამონაკკურ ქალს უცხო კაცის თხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით მოეჩვენა და სახე შეუცბუნდა – ვერ წარმოედგინა, ასეთი ინტელექტუალური გამომეტყველების მამაკაციც თუ ფულის თხოვნაზე იქნებოდა გადასული! ამიტომ...

ეს ნიათგამოცლილმა კომპოზიტორმაც იმავეწამიერად იგრძნო და თავისი შეცდომის გამოსწორებას შეუდგა.

– ქალბატონო, დილას ექიმმა მეუღლეს საქონლის ღვიძლი გამოუწერა... ეს ნაცნობი ყასაბი კი ფულს არ გამომართმევს! არადა... – ქალს თან ათლარიანი გაუწოდა, – თქვენთვის რომ იყიდით... თუ არ შეწუხდებით, ერთი ნახევარი კილოგრამი ღვიძლი ჩემთვისაც იყიდეთ!

– რას ბრძანებთ – ეგ რა შეწუხებაა! – ქალს ისევ მოუვიდა ფერი და თავდაპირველი მიმზიდველი გამომეტყველება, – თქვენ აქ დამელოდეთ!

გახალისებული ქალი ცოცხალი ნაბიჯებით გაემართა და მაღაზიის შემინულ კარში გაუჩინარდა. მაგრამ მალე

უკანვე მობრუნდა და კაცს თავისი ფული დამნაშავესავით დაუბრუნა.

– სულ გავეყიდეო!.. ზეგ, ათ საათზე მექნებაო!

კომპოზიტორმა ბოდიშიანი გამომეტყველებით გაუშალა ხელები. ჩანთიანი ქალი ისევ მაღაზიისკენ გაესწრაფა.

* * *

მარტოდმარტო დარჩენილი კომპოზიტორი ჩაფიქრიანდა. ასე კვარატლ-კვარტალ რომ ეწოწილა, შეიძლება საქონლის ღვიძლი მთელ მასივში არსად ჰქონოდათ და ტყუილუბრალოდ მომცდარიყო. იქნებ ცენტრალურ ბაზარში წახისფეხებულიყო?! არადა, ახლა სიცოცხლეს ერჩია, შეჩვეულ კუთხეში მიმჯდარს, თავისი წიგნის ხელნაწერის საბოლოო ჩასწორება მოეთავებინა!.. ამასწინათ დასრულებული ბოლო სიმფონიის პარტიტურაც დახვეწას ითხოვდა!.. ო, ერთადერთი, რაც არასოდეს ჰყოფნიდა, ეს დრო იყო!!! თან ამ ჰემოგლობინის დაცემა! მეუღლის ცრემლები და მისი უმწყო მოხუტება!.. სიკვდილის შიში... სიკვდილზე გამუდმებული, გონების გამომფიტავი ფიქრი!.. მაგრამ სიკვდილი ხომ გარდაუვალია, უღმობელი და ამდენად, უმნიშვნელო! ამიტომ განა ღირს მასზე გამუდმებული შიშნარევი ფიქრით ტვინის გაწყალება?! თუმცა როგორ შეიძლება, მეუღლეს ეს ასე სწორხაზოვნად გაუზიაროს – ქალები ამას რას გაიგებენ!.. მას კი სადა სცალია სიკვდილზე საფიქრელად. მისთვის მთავარია არა სიკვდილზე ჯაბნური ფიქრი, არამედ ბუნებაში ფუტკრებივით მფრინავი Sons naturels-ის შეუმცდარი სმენით აღმოჩენა, მოგროვება და შესაბამისი ნოტებით მათი დახარისხება!

კედრის ქვეშ გაქვავებულ კომპოზიტორს მოზღვავებული განცდები, ფიქრები და ხორცის მაღაზიაში ნაწვენევი სურათები გონებას უხშობდა და დროული გადაწყვეტილების მიღების უნარს უსპობდა. თუმცა გამოცდილებით იცოდა,

თავისი მუსიკალური ბუნება არც ამჯერად გაწირავდა და რამეს უეჭველად მოაფიქრებინებდა ანდა შეიძლება შთაგონებინა კიდევ! ასეც მოხდა: თუმცა ბოლო წამსლა გაახსენდა, ჯერ შეუჩვეველი მობილური ტელეფონი შინ დარჩენოდა, მეუღლისთვის დაგვინების მიზეზი წინდაწინვე რომ შეეტყობინებინა! ამის მიუხედავად ცენტრალურ ბაზარში წასვლა მაინც მტკიცედ გადაწყვიტა!

კვარტლის ანდედ გადაჭრამ რომელიღაც უცხო გაჩერებასთან მიიყვანა. ოთხიოდე წუთის შემდეგ „MAN“-ის ლურჯი ავტობუსიც ჩამოდგა. მარტოსკამს ბიუსტივით შენაწილებულ კომპოზიტორს ავტობუსის აკენისებური რწევა აწეწილ ფიქრებს თანდათან ულაგებდა და შემოქმედებითი წინათგრძნობით ავსებდა.

„ოღონდ ეგა მყავდეს კარგად... ოღონდ მაგას არაფერი დაემართოს და!“... – გული აუკორკოტდა. „ჰემოგლობინი!“ – ისევ ყურში უტრიალებდა წედან მეუღლის მიერთილით ნაჩურჩულევი და უმაღ იგრძნო – ეს სიტყვა მის ცნობიერებაში სამუდამოდ მუსიკალური სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობით დაკვიდრდებოდა!.. ახლა ყოველი ბგერა, ჩქამი თუ ხმაური ყურში უკრძალველად ჩაუდიოდა და ბუნებრივად ითხოვდა დაუცადებელ გაორკესტრებას!..

„იქ მაინც ექნებათ?! ვაითუ არც... თუმცა რაღა მაინცდამაინც ღვიძლი?! იქნებ... იქნებ!.. გონებაში უელვა და უცებ სწორუტყუვრად იგრძნო მეხისებური Elevato – აფორიაქებულ წარმომსახველობაში როგორ დაეხდა მეუღლისადმი მისაძღვნელი ღირიკულ-დრამატული სიმფონიის იდეა, „ჰიმნი ჰემოგლობინს“!

Sons naturels (ფრანგ.) [სონ ნატურელ] -- ნატურალური ბგერები.

Elevato (იტალ.) [ელევატო] - დიადად.

ლელია ბაგრატიონ-ბაბაღიში

ქალქვა

პოემა
(ლეგენდა)

კახეთში, როცა ეწვევით
გრემის ციხეს და ენისელს,
აღმოსავლეთით იცქირეთ –
კავკასიონის მთებისკენ.
თურმე უხსოვარ წარსულში
მამის მამათა ბაბუებს
გაღმა, მთისძირა სოფლისთვის
დაურქმევიათ საბუე.
იქ ბუ და ჭოტი სად არის,



რაც ბუღბულია, იქ არის,
 მთებია დევთა სადარი
 და ბევრზე ბევრი ფიქალი.
 მთიდან შხუილით ჩამორბის
 ზვირთუბტუნია ინწობა,
 მის წყალში ნაბანავეები
 კაცი სად აღარ იცნობა.
 ამ სოფლის გვერდით გრემია,
 მისი კოპწია დობილი,
 საბუისაგან მდინარე
 ინწობით გამოყოფილი.
 ენისელიც ხომ ახლოა –
 სოფელი ბალთა, ვენახთა,
 მტრისაგან გადაბუგული,
 აშენებული ხელახლა.
 აქ გალავნები მაღალი,
 რიყის ქვა-კენჭით ნაშენი,
 სახლებს გარს ერტყა, რომ ლეკებს
 არ მოეტაცათ ბავშვები
 და მაინც სულ თავს ესხმოდა,
 სოფლებს მარცვაუდა, არბევდა
 ბევრი მაჰმუდი, რასულა,
 ლაბაზანა და მამედა.
 მხრებზე ნაბდები ეხვიათ,
 წელს ერტყათ ხანჯალ-დანები,
 ცხენზე დაკრული მიჰყავდათ
 ქართველი ლამაზმანები.

* * *

ინწობის პირას, ერთ სახლში
 ცხოვრობდა ტურთა თამარი,
 იგი ვაჟკაცი ქმრითა და
 შვილებით იყო თამამი.
 ტანკენარი და თვალადი,
 კეფაზე ოქროს დაღალით,
 კავკასიონის მთებიდან
 შხე იყო ამომავალი.
 თვალი დაადგა რასულამ,
 სახლ-კარს უვლიდა გარშემო:
 „ლევანს, სალაშქროდ რომ წაუა,
 მოვტაცებ ცოლს და ბავშვებსო.
 ზევით, აულში წაგასხამ
 ბნელ და უმთვარო ღამესა,
 თუ დაიხსნიან, რა კარგი,
 თუ არა, დარჩნენ დაღესტანს;
 ქალს ჭრელ პაჭიჭებს ჩავაცმევ,
 დავხურავ ლეკურ მანდილსა,

ბავშვებს კარგ ფასად დავეიდი,
 თვითონ კი – ცოლად დავისვამ“.
 მართლაც ერთ ღამეს, როდესაც
 სახლში არ იყო ლევანი,
 სოფელს ეძინა და თამარს
 ვერ უშევლიდა ვერაფერ...
 რასულა თავის ამქართ –
 შაენაბდიანი ლეკებით,
 გარს შემოერტყა ლევანის
 ეზოს ხანჯლებით, კეტებით.
 ჩუმად შეაღეს ჭიშკარი,
 ქურდულად გახსნეს საკეტი
 და სახლში სწრაფად შეცვივნენ
 არამზადები, თავხედნი.

* * *

თამარი სიზმარს ხედავდა:
 გველეშაპს ხახა დაელო,
 მზის გადაყლაპვა უნდოდა,
 წითლად ელავდა გარემო.
 ანაზღად ცაზე გაქვავდა
 მზე კაშკაშა და დიადი...
 ნაცვლად ცას ლოდი ეკიდა,
 მიწას ფარავდა წყვედიადი.
 დაბრმავებული თამარი
 ტახტზე წამოჯდა კანკალით,
 თავს ლეკი ადგა წყეული,
 ხელში ეჭირა შანდალი.
 ზედ ენთო ციცქნა სანთელი,
 ყურში ჩაესმა ჩურჩული:
 – ადექი, ჩუმად გამომყევ, –
 ეუბნებოდა ურჩხული.
 მას ხელში ეპყრა აკვანი
 ციცქნა მძინარე ყმაწვილით
 და დასცქეროდა მეორეს,
 როგორც ბახალას – არწივი.

* * *

ცხენზე დააკრეს თამარი,
 პირი აუკრეს თავშლებით,
 აკვნებიც ცხენებს აჰკიდეს
 ტყუპი მძინარე ბავშვებით.
 ღამე იყო და ყაჩაღნი,
 რადგან მეტი გზა არ ჰქონდათ,
 სწრაფად ავიდნენ მთის ფერღზე,
 ციხესიმაგრის მახლობლად.
 იქ დაბანაკდნენ წყეული

ლეკები დიდი ნადავლით:
 – ზვალვე ავალთო დაღესტანს
 კავკასიონზე გადავლით.
 მალე ჩასთვლიმათ „მეომრებს“,
 დარაჯად დარჩა რასულა,
 ბოლოს იმანაც ჩაყვინთა
 ზღვა ოცნებებში წასულმა.

* * *

პირზე აიძრო თავშალი
 თამარმა ხელის კანკალით...
 ისევ ეძინათ პაწიებს,
 ფეთქავდა ორი აკვანი.
 იყვიროს? რა ქნას, არ იცის,
 მიწაზე ფენს ვერ აკარებს,
 გაიღვიძებენ და ჩვილებს
 უმალ დედის წინ დაკლავენ.
 არა და... უცხო მიწაზე
 რა უნდა სინდისგაქელილს?
 შერისხულ იყოს, თუკი მტერს
 ცოცხლად ჩაბარდეს ქართველი.
 ზეცას მუდართით შეხედა,
 ხელები მაღლა ასწია,
 ღმერთს შეევედრა: – დაგვიხსენ
 მე და ტყუპები პაწია.
 ღმერთო, დიდება შენს სახელს,
 რადგანაც გულით გიწამე,
 გთხოვ, ქვებად გადაგვაქციე,
 დაგვტოვე მშობელ მიწაზე!

* * *

ღმერთმა წყალობა იხება –
 ქვად იქცნენ დედაც, შვილებიც,
 მათი კოპწია აკვნებიც
 ნატიფად გამოთლილები.
 განთიადისას მათ ნაცვლად
 ქვები რომ დახვდა რასულას,
 შეხტა სასწრაფოდ ცხენზე და
 შეშინებულმა გაქუსლა.
 – ოი, ალლაჰო! – და სხვებმაც
 პირზე შეახმათ სიტყვები.
 ტყეში შეცვიოდნენ ცახცახით,
 როგორც დამფრთხალი ვირთხები.
 ყველა მათგანი მთისაკენ
 ქუდმოგლეჯილი გარბოდა,
 მაგრამ ფეხმარდმა მღევარმა
 გზა გადაუჭრა ყადორთან,

გაცოფებულმა ლევანმა
 ავაზაკები გათოკა...
 დაფქვეს სულმოკლე ლეკებმა
 წვრილად, იმ ღამეს რაც მოხდა.

* * *


დილით დიდიც და პატარაც
 იმ მთაზე იყო ასული,
 სადაც ქვად იქცა თამარი –
 კახეთის ტურფა ასული.
 ამ საშინელმა ამბავმა
 ყველას გაუხსნა იარა...
 ამბობდნენ, მთელი სოფლები
 მიჰქონდა ცრემლის ნიაღვარს.
 ლეკებს რა უყვეს, არ ვიცი,
 ამაზე არას ამბობენ...
 აბა, რას აპატიებდნენ,
 ალბათ მაშინვე ჩაქოლეს.
 ეს მოხდა დიდი ხნის წინათ,
 როცა ჩვენს მშობელ მხარეში
 გახშირდა ოსმალ-სპარსების
 და დიდოელთა თარეში.

* * *

მთაზე საყდარი რომ მოჩანს,
 თეთრი ქვისაგან ნაშენი,
 იქვეა, თურმე ქალქვა და
 გაქვავებული ბავშვები.
 გვალვაში, წინათ ამ სოფლებს
 წყალი, როდესაც არ ჰქონდათ,
 ქალქვასთან წმინდა სანთლები
 და წვიმის ნატვრა აჰქონდათ.
 იღრუბლებოდა მათ თვალწინ
 მზე, დიადი და ზღაპრული
 და რუხი ციდან წვეთები
 ჩამოდიოდა შხაპუნით.
 ახლაც, რომ ავლენ ქალქვასთან
 იმ ამბის გასახსენებლად,
 მაშინვე წვიმა უუჟუნა
 ციდან წამოუა ცრემლებად.

* * *

თუკი კახეთში მოხვდებით,
 გრემის ციხესთან გავლისას,
 აბა, ამბავი იკითხეთ
 გაქვავებული ქალისა...



გიორგი ვაკუაშვილი

ელდარა

ელდარა ჩემი გარებიდაშვილი იყო.

როგორც კი წამოვიჩიბე, საცხოვრებლად თბილისში მომიწია წასვლა და იმის გამო, რომ სოფელში მხოლოდ ზაფხულის არდადეგებზე მიწვევდა ყოფნა, გარებიდაშვილები საკმაოდ გვიან გავიცანი. არადა, ერთი შებნედი, შორიშორს სულაც არ ვცხოვრობდით. ჩვენი ნაკვეთების ბოლოები ერთმანეთს კიდევ ემიჯნებოდა, მაგრამ მათი სახლები თუ ამ ნაკვეთების თავში იდგა და ეზოები ზედა ორღობეში გადიოდა, ჩვენები – პირიქით; სახლები ნაკვეთების ბოლოს გვედგა, სოფლის პირველივე ორღობეს ვესაზღვრებოდით და ჩვენი ეზოების გამოსავალიც აქ იყო.

მართალია, უფროსები, ბოსტანში ტრიალისას კიდევ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და დიდი სიყვარულითაც მოიკითხავდნენ, თუმცა პატარებს იქ ჯერ არც არაფერი გვესაქმებოდა და მაშინ თუ მოგვიწვევდა გავლა, როცა ჭერამი და ნუში გამოინასკვებოდა ან, თუთა და ბალი დაიწყებდა მწიფობას.

ჩვენი ბებოები, დიდი ჯამებით, მოსაკითხსაც უგზავნიდნენ ერთმანეთს, – უცხო ხილი იქნებოდა, მსხვილი, დარჩეული კვერცხი, ან რამე ამგვარი, სულაც შოთის პურები და ნაზუქები, გინდა ქადა, მაგრამ ბავშვებს ახლო ურთიერთობა არ გვქონდა და ჯერ ისევ ჩვენივე უბანში, ერთმანეთთან თამაშს ვამჯობინებდით. თუმცა, ვიცოდით, რომ ნათესავეები ვიყავით და ერთმანეთი შორიდანაც კარგად გვიყვარდა. მამაჩემიც და ბებიაჩემიც, მათზე და მათ წინაპრებზე ათასნაირ საგმირო და სასახელო ამბებს გვიყვებოდნენ და ეს კიდევ უფრო გვაახლოვებდა და სიყვარულით გვაგვსებდა.

მოვიდა დრო და, თუმცა საკმაოდ გვიან, ჩემი ძვირფასი ნათესავეები უფრო ახლოსაც გავიცანი. ძირითადად, ჭირსა და ლხინში მისვლა-მოსვლისას. მათგან, ზოგი, ჩემი ცხოვრების ნაწილადაც იქცა, თუმცა, უმეტესობას

დღესაც კარგად არ ვიცნობ, რასაც ამ სიბერეში ძალიანაც ვნანობ... მაგრამ, რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება. ეტყობა, ღმერთი, იმდენ ადამიანს შეგაყვარებს, რამდენის ამ ქვეყნიდან წასვლის ტკივილსაც გაუძლებს კაცი. ყველას ხომ თან მიაქვს შენი გულის ნაწილი და ეს პატარა გული, განა რამდენად გაიგლიჯება...

რაც შეეხება ელდარას, მასზე ბევრი რამ გამეგო ჩემი ალალი ბიძაშვილის, თამაზისგან. ვიცოდი, რომ ფიზიკურად მეტად ძლიერი იყო და ამას ერთი ნახვითვე მიხვდებოდი. იგი, ჩვენში რომ იტყვიან, ჩადგმული, მკვრივი ბიჭი იყო. მართალია, ძალიან მოძრაიყო, ვერ იტყოდი, მაგრამ უსწრაფესი იყო და დარტმას ვერავინ ასწრებდა. არადა, ხელის ერთი მოქნევა სრულიად საკმარისი იყო მეტოქის დასამარცხებლად. ნანახიც მაქვს, როგორ დაიფრინა ძალის გამოსაცდელად მოსული ორი-სამი სხვაუბნელი თანატოლი.

რომ არავის შეეშალოს, მაშინდელი ჩხუბი მტრობას და ჩაგვრას სულაც არ ნიშნავდა. უფრო ყოჩების ჭიდილს ჰგავდა, ძალა რომ გამოეცადათ და საკუთარი შესაძლებლობები გაეგოთ. ამიტომაც იყო, რომ ჩხუბი თუ ჭიდაობა, არასოდეს უმძრახობით არ მთავრდებოდა. უფრო პირიქით. მეტოქეები მეგობრდებოდნენ და ერთმანეთს უფრო მეტ პატივს სცემდნენ.

დიახ, ელდარა კარგად ჩხუბობდა. მართალია ტანდაბალი დარჩა, მაგრამ ისეთი თავური იცოდა, მასთან კონფლიქტს ყველა ერიდებოდა. როგორც ამბობენ, აფრინდებოდა და რაც არ უნდა მაღალი ყოფილიყო მეტოქე, ისე მარჯვედ დაჰკრავდა თავს პირისახეში, რომ კარგახანს ფეხზე ვედარ ადგებოდა. არადა, ელდარა ძალიან კეთილი იყო. სულ იღიმოდა და თავის მოკლე-მოკლე რუპლიკებში იმხელა იუმორს ტევდა, უცებ რომ ვერ ამოხსნიდი და მერე მთელი კვირა გყოფნიდა ხასიათზე მოსაყვანად. მისი ბევრი ეს რუპლიკა, უმაღლესად მოეძებოდა ხოლმე უბანსა და სოფელს, გზადაგზა მეტ ხიბლსაც იძენდა და თავად დავადასტურებ, რომ ამ ფრაზებს ქალაქშიც ხშირად ჩამოუღწევია. რაღაცნაირად, დატკეპნილად ლაპარაკობდა, დინჯად და გარკვევით. კილო, დახვეწილი გარეკახური ჰქონდა, ყოველგვარ შელამაზებას მოკლებული.

* * *

ზუსტად არ მახსოვს რომელი წელი იყო, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, საფეხბურთო მატჩებისას, ლატარიის გათამაშება რომ დაიწყო და ისედაც სავსე ტრიბუნები რომ მთლად გადაიჭყდა. ფეხბურთის ბილეთს, მანეთს თუ დაუმატებდი, ერთი ლატარიის ბილეთი მოსდევდა. ჯერზე, სამი ავტომობილი „ჟიუგული“ თამაშდებოდა, რაც მოგების ალბათობას საკმაოდ ზრდიდა. თბილისელები ხომ თავისთავად და ხალხი სოფლებიდანაც დაიძრა საგულშემატკივროდ, უფრო კი, ლატარიის სათამაშოდ.

ერთხელ, ელდარამ, წვრილად გამომკითხა ლატარიის ამბები. ჩვეული ირონიული ღიმილით მისმენდა და ერთსიტყვიან შეკითხვას თუ კომენტარსაც დროულად ურთავდა. როცა ახსნას მოერჩი, ეგ რა კარგი რამე მოუგონებიათო, თქვა ჩვეული ღიმილით, ერთი მეც უნდა ვცადოო.

უთხარი, რომ, როგორც ამბობდნენ, ლატარიის ბილეთი, ფეხბურთისაზე გაცილებით მეტი იყო დაბეჭდილი და

მოგების შანსიც მცირე იყო, მაგრამ ჩემმა პესიმიზმმა მისი ოპტიმიზმი ვერ შეარყია.

– თუ ლატარიაა, ფეხბურთის ერთ ბილეთთან ლატარიის ერთ ბილეთზე მეტი არ უნდა იყიდოს ნამუსიანმა კაცმა. – მითხრა დინჯად, – მომგები იმითაც კარგად მოიგებს...

ბევრი რომ არ გაუგარძელოთ, ჩვენი ელდარიც აჰყვამ ფეხისხმას და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მოიცალა, „დინამოს“ სტადიონს ეწვია. თანასოფლელები ამტკიცებენ, ფეხბურთისა არა გაეგებოდნენ. თამაშის ბოლოსდა იკითხა, ჩვენები რომლები არიანო და სულ იმის თვლაში იყო, მართლა თერთმეტ-თერთმეტნი არიან თუ არაო.

ეს, სარწმუნოდ არ მიმაჩნია, რადგან ჩემმა ძვირფასმა თანასოფლელებმა იციან ხოლმე ამბის გაზვარზღვარება, გალამაზება, მიმატება-გამოკლება და ეს არც არავის სწყინს.

მამინ, მთელი საქართველო ფეხბურთით ცხოვრობდა და შესაძლოა, ელდარა წვრილად მართლაც ვერ ერკვეოდა სატურნირო ნიუანსებში, რადგან ჭალაში საზამთრო ეთუსა და უმეტესწილად იქ უწევდა დღედაღამ ყოფნა, მაგრამ არც ისე იქნებოდა საქმე, როგორც ხატავდნენ. ეტყობა, მის მეგობრებს, ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ელდარას მთავარი მიზანი ლატარია იყო და ფეხბურთი სწორედაც ფეხებზე კვიდა.

მოკლედ, დამთავრდა თამაში, გათამაშდა ლატარია და ჩვენმა ელდარამ, სხვებისთვის მოულოდნელად, „ჟიგული“ მოიგო. ზუსტად რომელი მარკა, ამაში საზოგადოება ვერ თანხმდება და მეც ვერაფერს დავამატებ, რადგან, ობიექტური მიზეზის გამო, ეს მანქანა საერთოდ არ მინახავს, როგორც ბევრ სხვას. ვინც ნახა კი, მათგან ზოგი „ჟიგულსა“ და „მოსკვირშიც“ ვერ პოულობდა განსხვავებას და საერთოდ „ვოლგის“ ფონზე, მას მანქანად არც თვლიდა.

დავბრუნდეთ სტადიონზე. მეგობრებმა, ხალხის ჭყლეტაში, როგორც იქნა მოახერხეს ლატარიის საორგანიზაციო კომიტეტამდე მისვლა. ბილეთი საგულდაგულოდ შემოწმდა, ანუ, პროექტორის შუქზე დიდხანს და ბევრმა ადამიანმა დაათვალიერა, ნომრები იმდენჯერ გადამოწმდა, რამდენჯერაც ელდარამ ფეხბურთელები დათვალო, მერე კი, როგორც იქნა, მოგება აღიარეს, ელდარას ხელი ჩამოართვეს და „სახავტონისპექციის“ გამსვლელმა ბრიგადამ, იქვე, ავტომობილიც გაუფორმა მის კანონიერ მფლობელს და ნომრებიც გადასცა. მართალია, ნაკლებად პრესტიჟული, მაგრამ, კარგად თუ დაუკვირდებოდი, ციფრები პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელს ასახავდა. ამას, იქ მყოფთაგან ერთ-ერთი ამტკიცებს, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ მან ეს თარიღი სწორად იცოდა.

რამდენადაც მახსოვს, ელდარა სასმელს საერთოდ ერიდებოდა და მთვრალიც არსოდეს უნახავს ვინმეს. ახლა კი, როცა სამჯერ მოუწია მაღარიჩის გადახდა, ორჯერ სოფელში და ერთხელ ჭალაში, საზამთროს ბაღში, სადაც აქამდე ყოველ სისხამზე ფეხით ან „ტაჩკით“ უწევდა სიარული და ახლა, მოგებულმა მანქანამ გზა ასე გაუიოლა, სასმელს გაუბედა და ბლომდაც მიირთვა.

ზოგი ამბობს, ამ ქეიფებმა, ნუნუა მასაც შეაყვარაო. მაგრამ, ხომ იცით, გარეკახელები ისეთი დინჯები არა ვართ, როგორც შიდა კახელები, მით უფრო ქიზიყელები და ზოგჯერ, როგორც მოგახსენეთ, გადაჭარბება გვიყვარს, ამიტომაც, იმის თქმა, რომ რაც ელდარამ მანქანა მოიგო,

მერე სმას მიჰყო ხელი, სრული აბსურდია.

მე ისიც არ მჯერა, რომ სწორედ სიმთვრალის მიზეზით მოხდა ავარია, რომელმაც ავტომობილი სრულიად უვარგისი გახდა და მისი არათუ გაკეთება, ხვეიდან ამოთრევაც კი არ უცდია პატრონს. თუმცა, რა უნდა ამოეტანა, როცა ვილაც ხელმრუდეებმა, მანქანა ორ დღეში ისე გამოშინეს, რომ უკანასკნელ ჭანჭიკამდე განიძარცვა...

ელდარამ ძალიან განიცადა მომხდარი. თუმცა ცდილობდა სახის შენარჩუნებას და საკუთარ თავსაც ჩვეული სარკაზმით ამკობდა, მაგრამ განცდა საკმაოდ ღრმა იყო. არა, მანქანას არ გლოვობდა. უფრო ის ადარდებდა, მე ჯანდაბას, ვინმესთვის რამე რომ ამეტება, თავს ხომ არ ვიცოცხლებდიო. ქეიფები კი, როგორც უცებ დაიწყო, ასევე უცებ შეწყვიტა და ელდარა ცხოვრების მანქანამდელ რიტმს დაუბრუნდა.

სოფელს ისე უყვარდა ელდარა, რომ მხარში ამოუდგა და მომხდარს რეპლიკებითაც ნაკლებად ახსენებდნენ. ისე იქცეოდნენ, თითქოს ყოველი ტკბილ-მწარე სიზმარი იყო და მეტი არც არაფერი. ის კი არა, ლადიამ, მისგან ნაჩუქარი ორთვალაც უკან მიუყვანა, ვითომდა ცხენი არა მყავს და „ტაჩკას“ რა თავში ვიხლიო.

ელდარამ, როგორც სჩვეოდა, ჩაილიმა. ერთ თვეში, ამ „ტაჩკასაც“ უკან მოგიყვან და ლურჯასაც დაემატებო. ლადიამ იფიქრა, ალბათ ერთ თვეში ბაღს გამოჰკრეფს და ზამთარში ან ერთი რად უნდა, ან მეორეო. თქმით კი არაფერი უთქვამს, ვინაიდან სიტყვადუნწი გახლდათ და გრძნობებს აყოლა არ უყვარდა.

რომც იფიქრა, ლადია მანაც ვერ ჩასწვდებოდა ელდარას გეგმებს. ამ გაგანია საზამთროს კრეფის დროს, ელდარას არ ეცალა. ხან მუშტარს ეძებდა, ხანაც პირიქით, – ემაღებოდა წუწკ ვაჭრებს, მთლად ხუთ-ექვს კაპიკად რომ უნდოდათ ნარჩევი საზამთროს ყიდვა.

როცა პიკმა გადაიარა და დასაკრეფი დაიკრიფა, ხოლო გასაყიდი გაიყიდა, ელდარამ დაწუნებული და არასტანდარტული საზამთროს აღება დაიწყო. გაავსებდა ორთვალას, აიტანდა კახეთის გზატკეცილამდე, გამოუშვებდა ლურჯას, რომელიც გემრიელად მიადგებოდა შემოდგომის ბუნოს და თავად ორთვალადან ჰყიდდა მოსაჯალს. ყიდდა იმ ფასად, რასაც კლიენტი სთავაზობდა და უნდა ითქვას, რომ ასე უფრო ბარაქა გამოიღო, ვიდრე ვაჭრებისთვის მიყიდულმა საზამთრომ. ვისაც გაჭირვებას ატყობდა, მთლად იაფად აძლევდა, ზოგს კიდევ ჩუქნიდა და დღეში, ზოგჯერ, სამ გზობასაც ასწრებდა.

მიიღია გოგორობაც და ელდარამაც მოიცალა ბირჟაზე გასასვლელად.

– ხვალ რა დღეა, – იკითხა მოულოდნელად თავისი ხავერდოვანი ბარიტონით და მომხიბვლელი ირონიული ღიმილით, ზედა ტუჩის მარჯვენა მხარე რომ წამოუწია. ამკარა იყო, მუნობლებს უწინდელი ელდარა ელაპარაკებოდათ და საზოგადოება გამხნედა და გამოცოცხლდა.

– ხვალე, შაბათია, „ზარის“ ვეთამაშებით! – უპასუხა მთლად ჭყინტმა გულმემატკივრმა, „კამერა“ – „აბალოჩკიანი“ ბურთის რომ აწვალებდა და კენწვლას ცდილობდა, თანატოლების მოგროვების მოლოდინში, სოფლის ბოლოს სტადიონზე რომ წასულიყვნენ სათამაშოდ.

– ლატარია ხომ ისევ თამაშდება? – იკითხა ელდარამ და თან თვალი მოავლო ბიჭებს, თითქოს თანამხრახველს

ეკებდაო.

– ჰო, მერე, შენ რა? – გამომწვევად უპასუხა გერონტამ, არათუ უბანში, მთელ სოფელში ტექნიკის საუკეთესო მცოდნედ რომ მიიჩნეოდა და დაფასებაც შესაბამისი ჰქონდა, რადგან სწორედ მისით ედგა სოფლის მექანიზაციას სული.

– რაეი, ხვალე წასვლას ვაპირებ, მანქანა უნდა მოვიგო. რო შეეჩვევი, მერე უმანქანობა ძნელი ყოფილა. – გამოტყდა ელდარა და გოცებისგან ყბაჩამოგდებულ გერონტას მიმართა, შენ რაღას მიკეთებ, გამამყევი და მანქანა წამამყვანინე, მე ხომ „ლიშენია“ მამცეს და ამ თვის ბოლომდე „რულზე“ ვერ დავჯდები, თანაც, ტრასაზე.

სოფელში უმაღლესად ხმა, ელდარა ქალაქში მიდის, ლატარიაში მანქანა უნდა მოიგოსო.

იქნებ ამიტომაც, ხალხი ბირჟებზე დილიდანვე გამოეფინა. შესაძლოა, უბრალო დამთხვევაც იყო, მაგრამ ფაქტია, ყველას ერთი სული ჰქონდა, მანქანის მოსაგებად, ქალაქს მიმავალი ელდარა გაეცილებინა.

კახეთის გზატკეცილამდე, აქედან, ორ კილომეტრამდე გზა მაინც იყო და თუ ჭალისკენ მიმავალი კოლექტორის „გაზიკი“ ან იშვიათად მოძრავი მსუბუქი მანქანა არ ჩამოვლიდა, თანაც თავისუფალი, ფეხით მოგიწევდა გზატკეცილამდე ჩასვლა.

ძირითადად, ასეც ხდებოდა, რადგან სოფლის ბოლოში ვცხოვრობდით და ზემოდან მომავალი მანქანა, ჩვენამდე, ცარიელი იშვიათად აღწევდა. ახლაც, დაადგინენ ბიჭები შარისკენ მიმავალ გზას და ხშირ-ხშირად იხედებიან უკან, აქოდა მანქანა არ გამოგვეპაროსო. ზოგი რიხით აცილებს და ფერსაც ურჩევს, წითელი მაიგე, გზაზე უფრო კარგად გამოჩნდება და არაუინ დაგეჯახებო, ზოგი, მარკას ურჩევს, ეხლა, „ნოლდვები“ გამოსულა, „სპეციალურად“ მებღებებივინ და ეგ მაიგე, ნახამ, რომ არ ინანებო. ზოგი კი, როცა ბიჭები ცოტას გასცდებოდნენ, საფეთქელთან საჩვენებელ თითსაც იტრიალებდა, მოგება, მაგას ეგრე ხომ არ ჰგონიაო...

მე იქ არ ვყოფილვარ, თუმცა, უნდა გამოვტყდე, რომ გულში, უფრო მეორე კატეგორიის გამცილებელთა მხარეს გადავიხრებოდი, თუმცა, ელდარა ისე მიყვარდა, ისე მოვიქცეოდი, როგორც პირველები იქცეოდნენ და ვურჩევდი კიდევ, სანამ თბილისიდან წამოვიდოდნენ, ორხევი, „ვაზ“-ის ცენტრში შეველოთ და მანქანისთვის, ქვემოდან, „ბეზშუმნი პასტა“ წაესვათ, რაც ავტომობილს უფრო დააბრბილებდა და ჟანგისგანაც დაიცავდა.

ჩვენ ბოგირს რომ გასწორებიან, ელდარას, რად-რად-დასთვის შეუძახია, ხვალისთვის ჭედილა გაამზადე, ექვს თუმანს ვიძლევიო. რამდენადაც მახსოვს, ამხელა თანხად მანამდე, ჭედილა, ჩვენს სოფელში, ჯერაც არ გაყიდულიყო...

არადა, როგორც მერე ბიჭები ჰყვებოდნენ, ნამდვილად ღირებულა, რადგან ოცდახუთი კილო სუფთა ხორცი დაუყრია, თანაც ნიგოზივით გემრიელი.

* * *

სალაროს რიგში დიდხანს მდგარან და როგორც იქნა აუღიათ ბილეთები.

ლატარიის ბილეთი გერონტისაც უყიდიო. ამბობენ, ვიდრე ბილეთებს ჯიბეში ჩაიდებდნენ, გერონტამ უთხრა,

მოდი, ლატარიის ბილეთი გავცვალოთ და ელდარამაც, ჩვეული დიმილილ, უყოყმანოდ გაუცვალო, მაგრამ, მომკალით და, არც ესა მჯერა. გერონტა ჩემი ძვირფასი უფროსი მეგობარი იყო, ჩემი ველომოტოციკლეტის პირადი ექიმი და კარგად ვიცო, რომ ასეთი წინდახედული და ფრთხილი კაცი მზგავს საქციელს არასოდეს ჩაიდენდა. საერთოდ, სოფლის ხალხს რას გაუგებთ, ისეთ რაიმეს იტყვიან და დაგაჯერებენ, ეჭვიც არ შეგეპარება. ის კი არა, არათუ თავადაც სჯერათ თავიანთი ნათქვამი, ვისხედაც რამეს იტყვიან, ადრესატიც კი იჯერებს, ალბათ, ასე იყოო.

მე უფრო ეჭვიანი ვარ და არც ის მჯერა, რომ ელდარა და გერონტა თამაშზე არ შესულან, რადგან ელდარას ფეხბურთი არ აინტერესებდა და გერონტას კიდევ, „ზარიასთან“ თამაში, ნანახი ჰქონია, ამიტომაც, ვიდრე მატჩი დამთავრდებოდა, ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში უსეირნიათ.

როცა უდროვიათ, ელდარას გერონტა პირდაპირ იქ მიუყვანია, სადაც პრიზები თამაშდებოდა და იქ დალოდებიან გათამაშების დაწყებას. ამჯერად, ყოველგვარი ეჭვისა და ვარაუდის გარეშე, გეტყვი, რომ ამ გათამაშებაზე, ელდარამ მართლაც „ნოლდვა“ მოიგო. ოღონდ, წითელი კი არა, კრემისფერი.

ამას დაბეჯითებით იმიტომ ვამბობ, რომ ამ მანქანაში თავადაც ვმჯდარვარ, როცა ერთხელ, სოფლიდან გზატკეცილამდე ჩამიყვანა, თავად კი, ჭალისაკენ გააგრძელა გზა. ***

წინასწარ რომ არ შეპირებოდა რად-რად-დას, იქნებ ელდარას ჭედილა არც დაეკლა, რადგან მომლოცველი, ამჯერად, იმდენად ცოტა მოვიდა, ბატკანიც ყოფოდათ. ბევრმა იმით ახსნა ეს ამბავი, რომ ხალხს ჯერაც საქმეები აქვს, საქეიფოდ არ სცალია, თანაც ადრინდელი ახსოვს და თანასოფლელები ფრთხილობენ, კიდევ რაიმე არ მოიწიოს ბიჭმაო. მე კი, ისევ ჩემს გუმანს მივყვები და ვფიქრობ, რომ მეორე მანქანის მოგება, ღვთის მომეტებულ წყალობად ჩათვალა ხალხმა და ცოტა გამწყრალი იყო, ჩვენ რაღა დავაშავეთო. ამ ამბიდან ორიოდ დღეც არ იყო გასული, ბოგირის ბირჟაზე შეკრებილებმა ელდარა რომ შეაგულიანეს, ასეთი ხელი გაქვს და რასა დგებარ, წადი და ყველა თამაშზე იყიდე ბილეთი, არ მოგებნრდა თოხის ბაყუნო?

ელდარას, თურმე, თავისებურად ჩაუცინია, აბა, რას ამბობთ, ვთქვით და დაგიჯერეთ, მერე, მართალი ვიქნები? არც მეორედ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ რა მექნა, მანქანას უკვე შეჩვეული ვიყავი და ძალიან გამიჭირდა უმისობა. ახლა, რად მინდა, უკვე მყავს და ძალიანაც კმაყოფილი ვარ.

– კაცო, შენ მაიგე და მერე ერთ-ერთი გაყიდე, უფრო კმაყოფილი არ იქნები? – დაარიგა ჭკუა მისი მიუხვედრელობით გაკვირვებულმა მეზობელმა.

– მერე, ვისაც ის უნდა მოეგო, იმას რა ვუთხრა, მე სამი და შენ – არცერთი – მეთქი?

იმ საღამოს, თურმე დიდხანს იხარხარეს ბოგირზე. ლატარიობანა ისე დამთავრდა, აღარავის ურჩევია ელდარასთვის ფეხბურთზე წასვლა.

საკუთარ ჯანმრთელობასაც ხომ უნდა გაუფრთხილდეს კაცი...



ბოლო გაჩერება

მგზავრი დაღლილი და ძალაგამოცლილი, ფრთხილი მიმიკებით საათს აჩერდება, სხვა ვერ მიუხვდება რა აქვს გამოვლილი, როგორ ელოდება ბოლო გაჩერებას.

ხელებს აფათურებს თუმცა ვაგონებზე, მხრებს არ უწერია ჯერაც დასვენება, ნეტავ რაზე ფიქრობს, ან ვინ აგონდება, იქნებ მიავიწყდა ბოლო გაჩერება.

დილა უთვისტომო სიზმრებს ეზმანება, ჩემი სხეულიც ზომ ლოდინს ნაჩვევია, და მეც იმ მგზავროვით მოცდა მეზარება თითქმის მოახლოვდა ბოლო გაჩერება.

არის მონატრების მძაფრი განაჩენი, სადღაც სიშორეში ფიქრის აშენება, მგზავრი აქა ვარ და თქვენ თქვით დანარჩენი

სოფია ქრასბელიანი

ხანდახან

ხანდახან ქარი უბერავს დილის, ხანდახან ღამის გრიგალი ოხრავს, მამლის ყვილზე სიჩუმე ტირის, მე კი მგონია უეცრად მოხვალ.

სიღარბაისლე დაეტყოთ ტევრებს, სიმშვიდეს ფრთხილად ვიხდი ან ვიცვამ, იქნებ აუტირდე და მომიტყევე, დარდს გავეცლები ბოლოჯერ, ვფიცავ.

ხანდახან ნისლთა სიშორე მთანგავს, ხანდახან მზისფერ ოცნებებს ვკემსავ, ჩემი ცხოვრების უცნაურ ქარგას, გიყვები სულში გაბნეულ ლექსად...

* * *

თუ ტყუილად შეგნატროდე ღამემ დამწვას, დამაქვაგოს, წვიმის ეშხი რეცხავს ტოტებს და მავიწყებს სააქაოს.

მხოლოდ შენ არ მავიწყდები, შუადამის რიკულებზე, გთხოვ, ურჩად ნუ გამიწყვები, ვარსკვლავები გვიყურებენ.

ვერკინები სევდის კედელს, იზმორება მონატრება, თუ მივუსწრებ შუადღემდე, ფიქრის სხივად მონათებას



ნანა საბანაძე

თეთრი აპრილი

კვლავ ეზიდება, მძიმედ ნიკორა, მუდამ ბრძოლებში გაცვეთილ უღელს, ქარტყილებმა გადაიქროლა, არ ჩაჩოქილა და ახლაც უძლებს... შუმერნო, რანნო, ხეთებო სად ხართ? ჩასაფრებულა სიბნელე კართან, თეთრი აპრილი, მთებში არწივი, ახლა სამშობლოს დარაჯად დადგა! გზა კი გრძელია, საბრძოლოდ დიდი,

გადაქცეულა ცა შავ ნისლებად...
 ცეკვავს კითხვები ბრაზის, ხან მშვიდი,
 რომ გავიღვიძებთ ხვალ, რა იქნება?!
 შინა თუ გარე მტერი კვლავ გვაცლის,
 უფლის დალოცვილ მშობლიურ მიწას,
 თუ მკვიდრად ნაშენ ციხე-სიმაგრეს
 ბზარი გაუჩნდა და ვეღარ გვიცავს?!
 დაფრინავს ქარი, ცხენთა ჭიხვინით
 დიდგორის ველს რომ კვლავ ახშიანებს...
 ცრემლი შეუშრო დაჭრილს ტკივილით,
 სისხლიც მოწმინდა გახსნილ იარებს.
 ვგრძნობ, როგორ მტკივა ნატანჯი ხორცი,
 ჩამოფლეთილი ომის ხანძრიდან,
 იუდა ახლაც კვლავ მართავს ქორწილს,
 რომ აღადგინოს ქაჯი ნაცრიდან...

ვერ შემომაცლის ვაზის მანტიას
 ჩასაფრებული აფთართა ჯარი,
 რადგან მოვედი რითმის ზღაპრიდან
 და მოვინათლე იესოს ჯვართი!
 ცრემლიან თვალთ ვისხენებ გმირებს,
 ვინც მამულისთვის თავი გაწირა
 და სამუდამოდ, კვლავ, ისევ დარჩა
 ჩვენი სამშობლოს უკვდავ ნაწილად...
 მზე კი კვლავ გვიფენს ოქროს ფარდაგებს,
 მტრისათვის ლესავს ვერცხლისფერ მახვილს...
 და ყოველ დილით კავკასიონზე
 ისმის სიმღერა „შემოძახილის!“



გიორგი ბარყაშვილი

ჭავჭავარძლის ედემის ყვავილს

ჭავჭავარძლის ედემის ყვავილს,
 გეტრფი, მოვილტვი, გნატრობ.
 შენი სიცოცხლე ჰყვავის,
 შენი თვალები მათრობს.

უშენოდ სევდა რუხი,
 გულს კაემანი იპყრობს.
 ვწუხ და უღმობელ წუხილს,
 საზღვარი არ აქვს თითქოს.

და კვლავ ნისლი თუ ჯანდი,
 სივრცეს ბურუსი ფარავს.
 უსმინე სულის ძახილს,
 დაგელოდები მარად.

გიშრის თვალეზი

გიშრის თვალეზი – მოციმციმე ვით ვარსკვლავები,
 ღამის წყვდიადში კიაფობენ კელაპტარები.
 რეკენ ზარები, ელვარებენ შენი თვალეზი,
 მუხატებიან მომავალი ნატურ-მორტები.
 ყურში ჩამესმის „ჩაკრულო“ და „დაიგვიანეს“,
 და ჩემს ძაღვებში სისხლი ჩქეფავს, როგორც მდინარე,
 დაბრუნდებიან გარდასულნი დღენი-მნათობნი..
 გიშრის თვალეზი, მოციმციმე ვით ვარსკვლავები,
 ღამის წყვდიადში კიაფობენ კელაპტარები.

ქართველი ჯაზუკის სიმღერა

ხორცად მიწა ვარ, მიწად ვიქცევი,
 არ ვიცი როდის, იქნება ხვალეც,
 ჯიშით ჯილაგით მე ქართველი ვარ,
 ეს ქართველობა მე ბევრს მავალეც.
 სიყვარულს მოაქვს თავისუფლება,
 ეკალ-ბარდებში ვარდს რომ მაგონებს,
 ქვეყნად დავტოვებ გრძნობების მორევს,
 და ოცნებების ოკეანეებს.

ზურაბ პავიაშვილი

სადღევრძელო

(მონობიესა)

პიესა დაიწერა და დაიდგა ბათუმის მონობიესების ფესტივალის ფარგლებში. 2016 წ.

ღარბაში წარმოადგენს თანამედროვე კაფე-რესტორნი-სათვის დამატებითი გარემოს. მაყურებლები სხედან მაგიდებთან, რომლებიც გაწვობილია კოქტეილებით და სხვა მსუბუქი დესერტით. შემოდის შუა ზნის, ასე 50-60 წლის, მამაკაცი რუპორით ხელში.

შორიდანვე, რუპორში:

– აბა, საუკეთესო ქართული ნაწარმი!.. იჩქარეთ, შეიძინეთ! ყველაფერი ქართულია, არანაირი იმპორტული, არანაირი შემოტანილი... ჩინური არ გვეკონოთ, სამ დღეში რომ კაპიკად არ ვარგა, მხოლოდ ქართული ნაწარმი... სისხლძარღვებში რომ დაგივლით, გემრიელი, ჯიშინი... აბა, იჩქარეთ!.. ხარისხიანი, წელვადი, რა ფერის გინდათ, რა ზომის, თქვენ ოღონდ ბრძანეთ... ყველა ყველა ფერის მაქვს, შესახედი, საუკეთესო მოხმარების პირობით, გარანტიით... ქართულ საქონელს ხომ გარანტია ისედაც არ სჭირდება!.. იჩქარეთ, ნუ აგვიანებთ... ყველა პირობას ერგებიან, უკონკურენტონი არიან ამ საქმეში... წონა და სიმაღლე – სურვილის მიხედვით!.. მთაში გამოყვანილები, ზღვის ჰაერზეააპები... გინდათ სოფელში, გინდათ ქალაქის გულში, ასფალტზე გამოყვანილები... ამტანები, გამტანები და გაუმტანები... (უახლოვდება მაყურებელს, მცირე პაუზა).

ოჰ, ეს რა ძვირფასი საზოგადოება შეკრებილა, როგორ მიყვარს ასეთი უცხო გარემო, თანამედროვე, ევროპული, ადამიანებთან რომ არ გიჭირს ურთიერთობა. დიდებული სუფრაა-თქო გეტყოდით, მაგრამ ჩემი ასაკის ხალხი არ ვართ ნაჩვევი ამ უცხო-უცხო, მიღეთის სასმელებს და კერძებს. ღვინოს ჩამოვისხამ, დავილოცები, თქვენის ნებართვით (თავისით ივსებს ჭიქას). ისეთი მამულიშვილები შეკრებილხართ აქ, რომ პირველი, რა თქმა უნდა, უფლის სადღევრძელოს შესვამდით. მშვიდობა არ დაგავიწყდებოდეთ, ჩემო ბატონო. პატრიარქის დღევრძელობისას მიირთმევდით. სამშობლოს არ დაივიწყებდით და არც ქართველი ქალის სადღევრძელო გამოგრჩებოდით, – ქართლის დედის თამადობით. მეგობრობას, სიყვარულს, ურთიერთგაგებას ახსენებდით, ქართველი კაცის რაინდულ სულს ადღევრძელებდით, მოგონებებს იტყოდით და ჩვენს ნეტას გაუმარჯოსო. მამის სული ნუ წამიწყდება, ისეთი ლამაზები ხართ, ისეთი შესახედავები, რომ გიყურებთ და ქართული გენი მახსენდება ეგრევე. თქვენს შემხედვარეს აღარ მკლავს ინტერესი, როგორი სილამაზის იყო შედეა, ფარნავაზი, თამარ მეფე, რუსუდანი, დაუითი და კიდევ ვინ მოსთვლის ჩემო ბატონო... ამიტომაც გამომიწია თქვენსკენ გულმა – ისინი ჩემს წინ არიან! მოდით ქართულ გენს



გაუმარჯოს, ყველაზე ძლიერს, გამძღეს, ნიჭიერს, ყველაზე ლამაზს და გაუგონრად მამაც გენს (სვამს, ჭიქას ცლის და ისევ ავსებს). არ შემიძლია, ღმერთის სადიღებელი არ დავლიო... პირადად მე ღმერთმა მომცა ის საქმე, რომელიც გამომდის. ვიდაცას პოლიტიკოსობა გამოსდის და ვიდაცას პურის ცხობა. ასეა ერებშიც, ქართველებს ბრძოლის უნარიანობა მოგვცა, მოგვცა პოლიტიკის ნიჭი, აბა ვის ყავს ამდენი პოლიტიკოსი? არც არავის... კიდევ სხვა უამრავი ნიჭი მოგვეცა, აღარ ჩამოვთვლი, ისედაც გეცოდინებათ. სხვებს? სხვებს ნათობი, ოქრო... ისინი მიხედვენ თავის თავს, ეჰ... (ჩაფიქრდება) რა ვიცი, შორს წავედი მგონი... ღმერთის სადიღებელი იყოს ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ყველამ კარგად ვიცი, რომ სწორედ ღმერთმა შექმნა ერები, სახელმწიფოები, პლანეტები, კოსმოსი... გიყურებთ თვალეებში და ვრწმუნდები, რომ ჩვენი შექმნით, ქართველების გაჩენით ამ ქვეყანაზე, ღმერთს შეცდომა არ დაუშვია... კი ამბობენ, ზარმაცები ვიყავითო, ახლაც ამას გვეუბნებიან, ლევენდაცაა, ღმერთი ერებს მიწებს ურიგებდაო, ჩვენ თურმე დაუგვიანეთ და თავისთვის გადანახული სამოთხე მოგვცაო... ასე რომ სიზარმაცესაც თავისი ფასი ქონია. ხომ შეიძლება სხვებზე ადრე მივსულიყავით და სადღაც ხრიოკში გვეცხოვრა დღეს, არაფერი რომ არ ხარობს და არა ამ წალკოტში? ასე რომ... (პაუზაა, ჩაფიქრდება) არა, კი გვაქვს შეცდომებიც, არ ვართ უნაკლო ხალხი, ისაო, ესაო, ერთმანეთს ჭამენო, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ღმერთის იმედები გაუმართლეთ... გაამართლა ჩვენმა მრავალ ჭირნახულმა ქვეყანამ, რომელმაც ამდენ საუკუნეს გაუძლო მამინ, როცა მაიას ტომები და იმეგენი გაქრნენ რუკიდან და აღარ არსებობენ. ჩვენ ვართ და კიდევ დიდხანს ვიქნებით. მოდით, ჩვენ საქართველოს, ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს და რაც მთავარია დიდხანს ეარსებოს! მჯერა, რომ ეს ასეც იქნება და იცით რატომ ჩემო შვილებო? იმიტომ, რომ

თქვენ მაძლევთ ამის საბაბს და რწმენას! (ჭიქას ბოლომდე ცლის და ახლიდან ავსებს. მაგიდის წვერებს დაჭინებით აკვირდება.) გიყურებთ ასეთ კულტურულებს, აღზრდილებს და ვიცი რისი და ვისი დამსახურებაა ეს, ვიცი... შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანია ამის მიზეზი! არ ჩაგეკითხებით, თქვენც კარგად იცით, რომ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანზე დგას დღეს ჩვენი გენი, გმირული სულისკვეთება და მეგობრული ერთგულება. თქვენ სწორედ შოთას უკვდავი ქმნილებების შვილები ხართ, მისი გადმონაშთები!.. მოდიოთ, არ გაეყოფ და შოთა რუსთაველს და მის ვეფხისტყაოსანს ერთად გაუმარჯოს!.. ბუნდოვანი კაცი ვარ, ჩემს თვალწინ ზიხართ თინათინები, ავთანდილები, ტარიელები, ნესტან-დარეჯანები... და სიხარულისგან არ მინდა ეს გული გამისკდეს. ამიტომაც დავლევ ამ სადღევრძელოს. (სვამს და ჭიქას ისევ ივსებს. სასმელი ნელ-ნელა ეკიდება. ჯდება. მცირე პაუზის შემდეგ ისევ აგრძელებს.) ოჯახი, ბატონო ჩემო! აი, რა არის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპვარი ამ ქვეყნიერებაზე – ნამდვილი ტრადიციული ოჯახი, ქალისა და მამაკაცის კანონიერი ერთობა! სწორედ ოჯახის შექმნაა უმთავრესი. ხომ ხედავთ, როგორი გამალებული ბრძოლა მიდის ოჯახის სიწმინდის წინააღმდეგ? ჩვენს პატრიარქს ოჯახის სიწმინდის დღის დაწესებაც კი მოუწია, რატომ? იმიტომ რომ ოჯახი ვიღას უნდა, რომ ოჯახს არაფერი ღირებულება აღარ აქვს... შეხედეთ სერიალებს! პირდაპირ, აბუხადაა აგდებული ყველაფერი ქართული და პირველ რიგში ოჯახი, ოჯახის ცნება, ვინ ვისთანაა რო ვერ გაიგებს... მაგრამ ვერა, ვერ მოესწრებიან და ვერ ეღიროსებიან ქართული ოჯახის სიწმინდის შებღალვას! გვეყო! მსოფლიოს დავანახებთ ქართული ოჯახის სიმტკიცეს და წესიერებას! ჰოდა მეგობრებო, მოდიოთ, ქართულ ოჯახს გაუმარჯოს, მის სიმტკიცეს და სიწმინდეს! (ჭიქას ცლის და ისევ თვითონვე თამამად ივსებს.) ვუყურებ ამ მიწა-წყალს, მთა-გორებს, ზღვას, ნახატ ბუნებას და იცით ვინ მახსენდება? ნიკალა... ასე დაუფასებლად რომ წავიდა ჩვენგან. დარჩა მხოლოდ მისი შემოქმედება, კედლებზე თუ ტილოზე მოხატული... ბუმბერაზი მხატვარი, რომლის საფლაუიც კი არ ვიციოთ... გაყურებ ამ სივრცეს და, უფიქრ ამინდზე, ტერენტო მახსენდება. კიდევ პოეზიის მეფე და ამავე დროს უიღბლო გალაქტიონი...(თავს ჩახრის) არ მინდა ბევრი გაავარძელო... მინდა ორი ჭიქით დავლიო ეს სადღევრძელო, ერთით ქართული კულტურის, ხელოვნების, შემოქმედების და მეორეთი ამ ყველაფრის შემქმნელების, ღვინოში ჩამხრჩვალ მხატვრების და პოეტების, დახვერტილი და გადასახლებული კომპოზიტორების, მწერლების... აი, იმ შემოქმედების, რომლებიც სახლიდან გაიყვანეს და უკან აღარ დაბრუნებულან...პაოლო, ტიცციანი, ჯავახიშვილი, ახმეტელი და კიდევ რამდენი...მაგრამ მჯერა, ჩვენ კიდევ გაავარძელებთ ქართული ხელოვნების, კულტურის შექმნას და გავიტანთ მსოფლიო ასპარეზზე. (ჯერ ერთ ჭიქას ცლის, შემდეგ მეორეს. პაუზაა, ისევ დაჭინებით აკვირდება მაგიდის წვერებს) არ გეგონოთ ბატონებო სასმელი მალაპარაკებს. არა, ამას ის სიყვარული მალაპარაკებს, რომელიც მე თქვენი დანახვისას განვიცადე. ის სიყვარული, რასაც ქართველები ერთმანეთის მიმართ განვიცდით, და ეს განცდა თვით ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს... მოდიოთ ისევ ორი ჭიქით დავლევ ამ სადღევრძელოს, ჩვე-

ნი წინაპრების და ჩვენი წინაპრების მიერ დატოვებულ სიყვარულს, ერთმანეთის მიმართ. ამას გაუმარჯოს! გვიყვარდეს ერთმანეთი! ისე, როგორც ახლა მე ვხედავ ამ სიყვარულს თქვენს თვალებში. (სვამს კიდევ ორ ჭიქას რიგ-რიგობით და ისევ ახლიდან ივსებს) ჰოდა, ახლა ჩემო ბატონებო, ამდენი მშვენიერი ქალი რომ გვიმშვენებს გვერდს, ნება მომეცით, ქართველი ქალის სადღევრძელო დავლიო, თამარ მეფისა, ვისაც რუსთველმა მიუძღვნა უკვდავი პოემა. ჩვენთვის რომ ღმერთქალი იყო, წმინდანი, და მტრებისთვის, მათი შემშუსრავი! იუჰ!.. აი, რაშია ამ ყველაფრის სათავე! აი, სად მიეყვართ ამ ყველაფერს?... დედობა... კოლხი მედეა! დედა, რომელმაც უამრავი ტკივილი გადაიტანა, მაგრამ დღეს ის ამაყი დედაა, რადგან ჩვენ გვშობა! ის, რომ ქართველი ქალი, ქართველი დედა, შეუდარებელია სილამაზით, სიძლიერით, ბრძოლისუნარიანობით და სიამაყით, ერთ ხელში თასი რომ უჭირავს და მეორეში ხმალი, ეს ყველაფერი მედეას დამსახურებაა, მედეაა ეს ყველაფერი... მოდიოთ, მედეას თამადობით ქართველ ქალებს, ქართველ დედებს გაუმარჯოს! დაე, მუდამ ეტარებინოთ ამაყად ის ტვირთი, რასაც ქართველის დედობა ჰქვია! (ჭიქას ბოლომდე ცლის და ისევ ივსებს.) მამაკაცებო, ჩემო ძმებო, არც გაიფიქროთ, რომ დამაგიწყდით. ჩვენთვის ხომ დედაა უპირველესი საფიცარი... მაგრამ, აბა დაფიქრდეთ, რა იქნებოდა მართო ქალი, რომ არა ქართველი კაცი, ჯმუხი, ახმახი, მარად მებრძოლი, სამშობლოს მოყვარული, ერთგული ქვეყნის შვილი და ვინ მოსთვლის კიდევ უამრავ ეპითეტს... კი, ჩვენც ვაგვთვლა ცხოვრებამ, კაცის კისერზე გადაიარა მრავალსაუკუნოვანმა ომებმა. გული მისკდება, ქუჩაში დაჩაჩანაკებულ ქართველ კაცს რომ ვუყურებ, სულ ის მახსენდება, ვახტანგ მეფე ცხენზე რომ იჯდა, ფეხებს დაბლა მიათრევდა, იმხელა ქონდაო... ეჰ! მართალია ახლა ქართველი კაცი წაქცეული დადის, გალოთებული, დაუბანელი, სხვაზე გაბრაზებული, მაგრამ მჯერა, რომ ადღეგება მისი ძლევაძილილება, დაიბრუნებს თავმოყვარეობას და ჰე! წინ ვეღარავინ დაუდგება! ბოლო-ბოლო ომში ვინ უნდა წავიდეს? ვინ უნდა აისხას იარაღი? ვინ უნდა დაიცვას ეს ქვეყანა? ოჯახი, შვილები, ვინ? თუ არა ქართველმა კაცმა? (თვალებიდან ცრემლს მოიწმენდავს) მოდიოთ ჩემო მეგობრებო, ჩვენ, ქართველ მამაკაცებს გაგვიმარჯოს! (პაუზაა) მე ერთი უბრალო კაცი ვარ, გამყიდველი – პროფესიაა ასეთი. თანამედროვე ენაზე, ახლებურად, გაყიდვების მენეჯერი შეგიძლიათ მიწოდოთ. ჩემი საქონელი მართლაც საუკეთესოა, ჩემს საქონელს ბადალი არ ყავს. (უცბად შედის პროფესიულ ემზში და ისევ რუპორს მოიმარჯვებს.) საუკეთესო ქართული ნაწარმი!.. იჩქარეთ, შეიძინეთ! ყველაფერი ქართულია, არანაირი იმპორტული, არანაირი შემოტანილი... ჩინური არ გეგონოთ, სამ დღეში რომ კაპიკად არ ვარგა, მხოლოდ ქართული ნაწარმი... სისხლძარღვებში რომ დაგვივლით, გემრიელი, ჯიშინი... აბა, იჩქარეთ!.. ხარისხიანი, წელვადი, რა ფერის გინდათ, რა ზომის, თქვენ ოღონდ ბრძანეთ... ყველა ფერის მაქვს, შესახედი, საუკეთესო მოხმარების პირობით, გარანტიით... ქართულ საქონელს ხომ გარანტია ისედაც არ სჭირდება!.. იჩქარეთ, ნუ აგვიანებთ...ყველა პირობას ერგებიან, უკონკურენტონი არიან ამ საქმეში...წონა და სიმაღლე – სურვილის მიხედვით!.. მთაში გამოყვანილები, ზღვის

ჰაერნაყლაპები... გინდათ სოფელში, გინდათ ქალაქის გულში, ასფალტზე გამოყვანილები... ამტანები, გამტანები და გაუმტანები... აბა მამაკაცები! მამაკაცები! ქართველი მამაკაცები! ვის გინდათ, ვის?! ასი დოლარიდან იწყება და მიდის ზევით და ზევით. აბა, ვის გინდათ მოქეფენი, ღვინის დამლენი, ჭიქას რომ ბოლომდე ცლიან. აბა ქართველი მამაკაცები! შეიძინეთ სანამ დროა, შეიძინეთ, თორემ მერე გვიან იქნება. აბა კაცები ხართ თუ ქალები, შეიძინეთ, თორემ დაგვიანდა, შეიძლება სხვამ დაგასწოროთ. არ გინდათ?! შეიძინეთ ქართველი მამაკაცები, ქალებს რომ ხუთი წელი სიყვარულს ეფიცებიან და სამ თვეში ცემით რომ გააგდებენ სახლიდან, აბა ვის გინდათ ვის?! არ დაგვიწყდეთ, გარდა ამისა, გვყავს მორწმუნე მამაკაცები! ჭეშმარიტი ქართველები, ქრისტეს გულისათვის რომ ვისაც გინდა იმას მოკლავენ, შეაფურთხებენ და თუ საჭირო გახდება სექსუალურ ძალადობასაც დაამყარებენ მასთან „ქრისტეს სახელით“, თან თუ ეს უბედური „მასონური“ იდეებისაა, ხომ ნუ იკითხავთ, ჯერ მოკლავენ და მერე მოტყვანენ, „სულიერად“ რა თქმა უნდა. აბა, დაფიქრდით, ვის გინდათ ქართველი მამაკაცები?! (მცირე პაუზა...) დედის ერთები, მორცხვები, ნასწავლები, ნაკითხები... აი, ბიბლიოთეკიდან სულ ახალი გამოყვანილები, არ გინდათ? რამ შეგაჩვენათ?! ესენი სულ იაფად, ესენი ხომ აქეთ სარჩენები არიან?!.. მაშინ მექალთანეები, ვის გინდათ, ვის? ოღონდ იცოდეთ, ესენი ძვირი დაგიჯდებათ, რადგან მათ შესაშური სექსუალური პოტენცია აქვთ. აბა! არც ესენი არ გინდათ? დაფიქრდით, დაფიქრდით სანამ დრო გაქვთ. ხო მართლა, გვყავს პოლიტიკოსებიც, ნამდვილი პოლიტიკოსები! ნებისმიერი ასაკის – ოცდახუთი წლიდან ოთხმოცდაათ წლამდე. მემარჯვენე გინდა თუ მემარცხენე რადიკალები. ყველა პარტიაში ნამყოფები. პატრიოტიზმს ამოფარებულები. აბა, არ გინდათ პოლიტიკოსები? აილეთ, აილეთ! ესენი ნებისმიერ ფასში, მათ თქვენი ფული არ ჭირდებათ, ესენი ხომ თვითონ იხდიან! აილეთ! ოოოო... აი, ქართული ესტრადის ვარსკვლავები! ნამდვილი მომღერლები, ისეთები კი არა, მიკროფონი რომ ტყუილად უჭირაუთ და პირს ტყუილად აღებენ... ნამდვილები! ნამდვილი მომღერლები, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები, ღვინის თასით ხელში, ჩოხებში გამოწყობილები, ესენი მეტად ფასობენ! აბა, ვინა ხართ მსურველი?! აქვე ქართული ცეკვების მოცეკვავეები, მსოფლიო რო აქვთ შემოვლილი ბზრიალ-ტრიალში. კარგით, რადგან ესენიც არ გინდათ, მაშინ თოთო მამაკაცები, აი, ისინი, სამშობიაროდან რომ ცოლებს გამოექცნენ და თავისი შვილები მიატოვეს. ამათ განვადებით გაგატანთ, წაიყვანეთ, ოღონდ წაიყვანეთ! უი, ჩემი სირცხვილი! სულ დამაფიწყდნენ, ქართველი სპორტსმენები! უმედლოები, მედლიანები, ყველას ერთი ფასი აქვს. მოჩხუბრები, აი ისინი, ხან ერთ პარტიის გულისთვის რომ დაგალეწავენ თავ-პირს და ხან მეორეს... ეს იმათ, ვისაც ძლიერი მამაკაცები მოგენატრათ ან კიდევ ნარკომანი ქმრები გყავთ და აღარ უდგებათ. პა, რას გაჩერებულხართ?! მალე, თორემ გაიქცნენ ესენიც რუსეთში და მერე კარგად მეყოლეთ... აი, მაშინ მამიკოს შვილები! მამიკოს შვილები, არ გინდათ? ამათ ბევრი ფული აქვთ, მაგრამ ყველაფერი ეზარებათ, რადგან მზამზარეული დახვდათ ყველაფერი. წაიყვანეთ! წაიყვანეთ! ესენიც ისე წაიყვანეთ! აი, ქუჩის ბიჭები გვყავს,

ძველი ბიჭები, ციხიდან სულ ახალი გამოსულები. არ მუშაობენ, მაგრამ სამაგიეროდ ქუჩაში ამათთან უსაფრთხოება გარანტირებული გაქვთ, ბუხს ვერაფერ აგიფრთხთ, რა თქმა უნდა პოლიციის მოსვლამდე. აი, მაგალითად, თუ ვინმე მოვა და ყვავილს გაჩუქებთ, იმ ყვავილს უკანალში გაუკეთებენ, ან სცემენ და ისევ ციხეში ჩაჯდებათ თქვენი გულისთვის. აი, ხომ ხედავთ ნამდვილი „რაინდები“ გვყავს, არ გინდათ ხალხო?! წაიყვანეთ! აქვე არიან ზეპარტიული, მარად უმუშევარი და მარად სხვის ცხოვრებაში ჩამრევი კაცები. მხოლოდ საქართველო რომ უყვართ და სხვა დანარჩენი მსოფლიო სძულთ. ცოლები ან შვილები რომ ვეროპებში და ამერიკაში ყავთ გაგზავნილი და მაინც დასავლეთს და ვეროპას აგინებენ, ქართველობას რომ არავის წართმევენებენ... მიხვდებით ალბათ, ჭკვიანი საზოგადოება ხართ, ვისზეცაა საუბარი. აი ისინი თავიანთ ოჯახის წევრებსაც რომ არ უნდათ და სხვებს ჭკუას ასწავლიან. ყველა განსხვავებულ ადამიანს რომ დასდევენ და ქვეყნიდან გაყრით ემუქრებიან. აი ისინი, ქართული პოლიციისაც რომ არ ეშინიათ და საჯაროდ იმუქრებიან. წაიყვანეთ, მათ ხომ ყველაფერი ეპატიებათ!!! (პაუზა) პოლიციაზე გამახსენდა! პოლიციელებიც გვყავს, აი ისეთები, თქვენ თუ არ მიხვალთ, თვითონ რომ მოვლენ და წაიყვანენ. ცემა-წამებაში რომ სულს ამოგხდიან და უტიფრად დააბიჯებენ დედამიწაზე, მთავრობებს რომ ემსახურებიან და არა ჩვენ, გასაცოდებულ ადამიანებს... რა ვიცი, რა ვიცი, თუ გინდათ... თუმცა, აი! კიდევ არიან ნამდვილი მოქეფე და კაი სადღეგრძელოს მთქმელი მამაკაცები, ასე, ორმოციდან სამოც წლამდე. აი, ისეთები კვირიდან – კვირამდე რომ სუფრიდან არ დგებიან, სამშობლო რომ ძალიან უყვართ და ნაბახუსევს, ბორჯომი რომ ახსენდებათ, სამშობლოს ნაცვლად. აბა, ვინც ღიპიან კაცებს ამჯობინებთ... აქ არიან, აქ! წაიყვანეთ თუ ვინმეს გინდათ, წაიყვანეთ! (პაუზა) თუ ესენიც არავის გინდათ, აი კიდევ, ძველი ჩინოვნიკები! ძველები, აი ისინი, პატარა ფული რომ აქვთ შემორჩენილი და ზედმეტ ბინებს უცხოელებზე რომ აქირავენ ვაკეში და სხვა პრესტიჟულ უბნებში. ხო, ყოველი შემთხვევისთვის, სამხედროებიც გვყავს, უჭირთ მაინც ამათაც! გაითვალისწინეთ ამათი ყოფაც. უი, მართლა! პრეზიდენტიც გვყავს, პრეზიდენტი! ესეც კაი ბედოვლათია, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, წაიყვანენ ამასაც ვატყობ... იყიდეთ, სანამ მაგასაც ჩამოაგდებენ და წვერებიანი ავტომატების ხელში აღმოვჩნდებით, ეგენი ხომ გასაყიდათაც არ ვარგანან, პირიქით სირცხვილისგან უნდა გადავმალეთ კიდევ, როგორც აყროლები და ვადა გასული საქონელი... წვერებზე გამახსენდა, გაყიდული სამღვდელოებაც გვყავს, ჩაფუთიანებული მღვდლები, მაგრამ არ შეგაშინოთ „გაყიდულმა“, ესენი მრავალჯერადად იყიდებიან – ვინც მეტს გადაუხდის, იქ წავლენ, ამათთან აუქციონის პრინციპი მოქმედებს. არ გინდათ?!...ამათ, ყველას ერთად აღებულს ქვეყნის ბიუჯეტზე მეტი აქვთ, ასე რომ პოლიტიკოსებივით არც ამათ ჭირდებათ თქვენი ფული, წაიყვანეთ, არ გინდათ? არა?!... აბა, რა გინდათ, რა?! ჩამოყალიბდით ერთხელ და სამუდამოდ !!! (ხმის ხარვეზია) ხხხხხ... ფუუუ... ფუ ფუ, ისმის? (საყვირი ფუჭდება, ხმა ქრება).

ფარდა



ფრანკისკო ჰაბრონა

სონეტი IV

დიდია მასში ხელოვანის ძალა და არსი,
 ვინც ამ სამყაროს ოსტატურად შეაუღლო ხელი,
 გამორჩია და ცის თაღზე იუპიტერი
 უფრო სათუთი შექმნა, ვიდრე ციმციმა მარსი.
 განაზუნა ბნელი, დედამიწას შემოხსნა გარსი,
 ის, რაც ფარავდა სიმართლეს და იქმნა ნათელი;
 მესათხველენი ზეცად იხმო, მორჩილნი, მთმენნი,
 იოანეს და პეტრეს ბადეს მოედო ხაესი.
 განგებამ უფლის დაბადებით ღვთიური განცდა,
 ზეცის წყალობა იუდეას უბოძა მხოლოდ,
 საუფლო სიტყვა რომისათვის არ და ვერ დასცდა...
 დიდებული მზე ამობრწყინდა იმ სოფლის ბოლოს,
 სადაც მიწიერ სილამაზეს ბუნება გასცდა
 და მის წიაღში მზის ასული იშვა და ცხოვრობს.

სონეტი XI

გამოაჩინე თვალთა შუქი, მწველი მზის დარი,
 დათმე ვუალი და თვალები ჩრდილს განარიდე,
 ჩემს სურვილსაც რომ მოკრძალებით ჩამოგხსნა რიდე
 და მოწინებით რომ გაუღლო გულის ფიქრს კარი...

სანამ დიდებულ აზრებს ჩუმად ვუქციე მხარი,
 დაუფალი გონი და სიკვდილი ვინატრე კიდევც,
 უმაღ სახეზე შენს სიბრალულს მე თვალი ვკიდევ
 და შენ მიმიხვდი, სიყვარულით რომ შემიპყარი:

დამალე ჩემგან საბურველით შენი თმა ქერა,
 წამართვი უცებ, თან წაიღე, ვნატრობდი რასაც,
 შენ მომარიდე, ასე თბილი, მაგ თვალთა მზერა.

დიახ, ვუალში ვეძებ ახლა მე თითქოს ხსნასაც,
 სითბოს, სიცივეს შენი მზერით შევიგრძნობ ჯერაც,
 შენი თვალეებით სამყარო შლის ჩემს გულში ფრთასაც.



ბელა ახვალდულინა

მას შემდეგ

მას შემდეგ ბევრი წვეთი, ფანტელი
 და პაწაწინა ფიფქია თოვლში;
 შთამბეჭდავია, მიმოფანტული
 ქვები ნაპირზე, ზღვის საუფლოში.

რამდენჯერ წვიმამ ჩარეცხა გზები,
 წამოიქროლა ბევრჯერ ნიაჟმა;
 სწორედ შენ გამო, რამდენჯერ გზნებით,
 ფიქრებმა გული ამიფრიალა.



ანა ახმატოვა

* * *

გინდა, იცოდე, ყველაფერი თუ როგორ მოხდა?
ოთახში სამჯერ რომ გამოსცა საათმა ოხვრა,
მშვიდობა მითხრა და მოაჯირს მოკიდა ხელი,
თითქოს უჭირდა საუბარი ჩემთან, გულწრფელი:
– ეს ყველაფერი... ოჰ, არ მახსოვს... მაგრამ ცხადია,
მე შენ მიყვარხარ, როგორც უწინ, შენთან მწადია,
ჯერ კიდევ მაშინ, სიყვარულის დავიწყე ათვლა!
– მართლა?!

* * *

ვუალის მიღმა ვმაღავდი ხელებს ...
„რატომ ხარ დღეს შენ ასე ფერმკრთალი?“
– იმიტომ, დარდი მწარედ მახელებს,
მასაც სიმთვრალის წაკვიდე ალი.

რა დამავიწყებს? გავიდა გარეთ,
მთლად მოცახცახე, მომეცა ღონე,
მე გავეკიდე და კიბის არეს
გავცდი, ჭიშკართან გადავეღობე.

სუნთქვაშეკრული ვვიროდი: „მჯერა,
ეს ხუმრობაა! მოგკედები! წახვალ?“
ირონიული გაუხდა მხერა
და მშვიდად მითხრა: „ქარში ნუ დგახარ!“



გალინა ვოლენბერგი
(რულაიოვა)


* * *

მიქრიან წლები, ვერ ვეწვი, მიდის ცხოვრება,
ვერცხლისფერ კულულს თითქოს ვერ ვცნობ, მეუცხოვება;
ლაწვს დატყობია უწერილესი აბლაბუდები,
სადაც პირველი ნაოჭები ჩაბუდებულან.

შვილებიც მალე ამიფრინდნენ თბილი ბუდიდან,
თუმც მჩვენება, ყველაფერი ერთ დღეს უდრიდა;
იყო ბავშვობაც, სიყრმეც, წვიმის შეძახილებიც,
დღეს კი ბებიას მეძახიან შვილიშვილები.

გზა და ბილიკი გავიარე ბევრი თუ ცოტა...
ზოგჯერ შევცოდე, უფალმა კი შემინდო ცოდვა,
არ განმიკითხეს, არ განმსაჯეს მე ამის გამო,
თუმცა მიყვარდა უხმაუროდ და სამუდამოდ.

მიქრიან წლები, არ მაშინებს დროთა დინება,
მხოლოდ მდუმარე სევდამ სულში ყოფნა ინება,
როგორ შევძლო და შევაჩერო ჩემი დრო, მითხარ,
რომ აქ, მიწაზე სიყვარულით ვიცხოვრო დიდხანს.



ბულაბ ოჩუჯავა

ეს ქალი

ეს ქალი! რომ ვხედავ, მაშინვე ვმუნჯდები, ამიტომ, ვერ ვუშვებ მეც ასე მარტვად; არ მჯერა გუგულის, გვირილის ფურცლების და იცი, ბოშებთან არასდროს დავდივარ.

მირჩევენ: – ნუ გიყვარს, გრძნობებს გადაფურცლავ დილაძე ისე, რომ კვალაც არ უჩანდეს, ჯაღოთი, მკითხავით, გუგულის ხმით... თუმცა ის ქალი აქ ცხოვრობს, ჩემსავე ქუჩაზე.



სერგეი ესენინი

* * *


ცისფერი საღამოა, მთვარით განათებული, ჩამიქრა სიჭაბუკის წლები, გულანთებული;

ასე მოულოდნელად, ხელიდან გამიფრინდა, წარსულმა შორს წაიღო სილამაზის ხიბლი და თითქოს გული გაჩერდა, თვალს ვაყოლებ, ნამიანს, ცისფერ ბედნიერებას და ღამეებს მთვარიანს.

* * *

ცის სადარი კოფთა. ლურჯი ფერი თვალის. სიმართლესაც ვმაღავ, დღეისა თუ ხვალის. მეკითხება სატრფო: „ქარბუქი ძრწის, მოგვდლის? ავანთებდი ღუმელს და გავშლიდი ლოგინს“.

ვუპასუხე სატრფოს: „ვიდაც დღეს ზეციდან, თითქოს უსასრულოდ თეთრ ყვავილებს ყრიდა. როცა გაშლი ლოგინს, ღუმელს მიეც ალი, უშენობით დაძრწის გულში ქარიშხალი“.



ომარ ხაიაშვილის რობაიები

* * *

გუმინ ბაზარში ერთ მექონეს მე ვკიდე თვალი, თიხის ნაჭერზე ფეხით შემდგარს მოსვლოდა ძალი, კენესოდა თიხა: „შენებრ კაცი ვიყავი უწინ, შენც მიწად გაქცევს ეს საწუთრო, ასე მსახვრალი!“

. . .

გულო ვერ წვდები გამოცანის იდუმალ ჯერ არსს და ჭკუაც სიბრძნეს მავან ბრძენთა ამაოდ ზვერაგს, სჯობს, ლალისფერი ღვინით შენ აქ შექმნა სამოთხე, სხვა სამოთხეს კი ან ნახავ, ან არას და ვერას.

. . .

ვინც შეაერთა ნაწილები ამა ფიალის, უგუნურთათვის არ დაურთავს ნება ზიანის, თუმცა რომ სრულჭყო ლამაზმანთა უნაკლოება, ნეტავ შობს, ხოცავს, ვისი ზიზღით ანდა ტრფიალით?!

. . .

ვარდის ფურცლობას დაამშვენებს სიო ნორრუზის, მდელის ნაპირებს – სატრფოს სახე, გულში რომ გიზის, რაც იყო, გაქრა, რომც ეძახო, ვერ დააბრუნებ, დათმე წარსული, დღეის ღვინა შევბას გაგიზრდის.

. . .

ნუ მისცემ ნებას, სევდამ მხარში დევნა რომ იწყოს და მწუხარებამ შენი საქმე სრულად შეიცნოს; ნუ მიატოვებ ცხოვრების წიგნს, მდელის, მდინარეს, სანამ სიცოცხლე დაგთმობს შენ და მიწა დაგიპყრობს.

. . .

სიკეთისაგან რჩება მხოლოდ კარგი სახელი, ახალი ღვინო, ძველის არ ჩანს აქ ჩამომსხმელი... თუ შეიგრძენი სიმსუბუქე, დოქიც აიღე, სხვა არაფერი, ჯამს შეაუღლე მარტოლა ხელი.

. . .

მე ის არა ვარ, შეაშინებს სიკვდილი ვისაც, ის ნახევარიც ამ ნახევარს არ მიჯობს, ვფიცავ, სული უფალმა მომაბარა დროებით, მაგრამ უკანვე მივცემ, დრო დადგება დაბრუნებისაც.

. . .

ღიმილიანი ვინც არგუნა ბაგე ლამაზებს, რომელიც გულში გლოვის დარღს დებს, ასე ამაზრუნეს, თუ სიხარული არ მოგვმადლა, ნუ დავღონდებით, რადგან მწუხარეთ დარღი მისცა მეტი ამაზე.

. . .

ღმერთმა წინასწარ შენი პურის დღიური წილი იცის, არც გაზრდის შენს ხვედრს, მაგრამ არცაა მწირი, რაც გიწილადოს, თავისუფლად ის მოიხმარე, რასაც არ მოგცემს, მწუხარებით მასზე ნუ წვი.

. . .

ორი რამ არის ქვეყნად არსი სიბრძნის და გონის და უმჯობესი იდუმალი ამბების ქონის: შიმშილი გიჯობს ყოველგვარი საკვების გემოს, მარტოობა კი ყველასადმი სიყვარულს წონის.

. . .

თუმცა ლამაზი სახე და თმა მამშვენებს, მამკობს, ვგავარ კვიპაროსს, ტიტას ფერი ლოყები მაკროთბს, ვერ გავერკვიე, რატომ არ ვარ ყვავილთა ბაღში, მარადიულმა მხატვარმა რომ ამსგავსა წაღკოტს.

. . .

სამწუხაროა, ჩამოვბერდით და ასე მოხდა: ზეცის თაღისკენ გვიბიძგებდა ქარების ოხვრა, დრო, წამიერი, იყო მხოლოდ ვაების, დარდის, ისე წავედით, სურვილები დაგვირჩა ოხრად.

. . .

ჰე, მერიქიფევე, გამისკდება თუ უცებ გული, სად წავა? ზღვას ჰგავს ეს სამყარო ქაოსით სრულით; თუკი დერვიში უმეცრებით სავსე გემსა ჰგავს, ღვინოს რომ დაღვეს, თავში ურტყამს, ეხვევა რული.

. . .

სამწუხაროა, ყრმობის წიგნის ფურცელი ბოლო და ადრეული გაზაფხული დასრულდა, ზოლო ახალგაზრდობამ, სიხარულის ფრთიანმა მაცნემ, როდის მომნახა ან დამტოვა, არ ვიცი მხოლოდ.

. . .

ხაიამ, ცის ქვეშ კარავი რომ ჩადგი შენ მყარად, კარი ჩარაზე, მარტოობა ჩააგდე არად, ხარ წუთისოფლის ღვინის წვეთი, მერიქიფემ კი კიდევ ათასი ხაიამი შექმნა შენგვარად.

. . .

სანამდე შეძლებ, გაუმართე რაინდებს ხელი, ნუ გადაჰყვები ჩვეულებებს, მარხვას თუ ელი, ისმინე ომარ ხაიამის მართალი სიტყვა: დალიე ღვინო, გული უძღვევ სიკეთეს მთელი!

. . .

რაც გველოდება, ჩუმად გეტყვი, თუკი მომისმენ, ახლავე, მოკლედ, თან უტრემლოდ, აზრებს მოგისევე, ეს სიყვარული კი ჩამიყვანს მიწაში, მაგრამ შენდამი ტრფობა ამომიყვანს მიწიდან ისევე.

. . .

წუხელ მე, შემთვრალს, რომ მეახლე, მას ვმადლობ ცამდე, ჰარამხანიდან გამოპარვა ვისთანაც ცადე, იმ კაცს, რომელსაც უშენობით ცეცხლი ეკიდა, მაცოცხლებელი ნიაფივით გამოეცხადე.

. . .

ვიდრე სიკვდილის ჟამი მოვა, დაგათრობს ტიალს, გაგიგდებს ფეხქვეშ, ბედის ჩარხი დაიწყებს ტრიალს; სჯობს, აქ იზრუნო, მოიხვეჭო სახელი, ვიდრე დატაკი იქაც უხეიროდ მოჰყვე ხეტიალს.

თარგმანები მარი თაბაგარის



ნანა ჯიჟინაძე

მეფა კუჭუხიძე – 85

„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა“

გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მეფა კუჭუხიძე იუბილარია. მას ინტერვიუსთვის სახლში ვესტუმრე:

– სად დაიბადეთ, ბავშვობა, მშობლები, წინაპრები?

– დავბადე თბილისში 1937 წლის 10 ივლისს. მეავდა საუკეთესო მშობლები, უპატიოსნესი, განათლებული. მამა შალვა კონსტანტინეს ძე კუჭუხიძე, დედა ნინო გიორგის ასული ალშიბაია. სხვათა შორის, ჩემი ბაბუა გიორგი ალშიბაია, ცნობილი ადვოკატი აფხაზი თავადი იყო; როცა აფხაზებმა სეპარატიზმი წამოიწიეს, თავისი პასპორტი დახია, მილიციაში განაცხადა მომპარესო და ახლის ადების დროს ეროვნებაში აფხაზის ნაცვლად ქართველი ჩააწერინა. ბავშვობაში მშობლებზე მეტად ბებია, მამაჩემის დედა – ანასტასია გუბათაშვილი, მიყვარდა. ისე მანებებრებდა, გასაკვირია, ნორმალური ადამიანი როგორ გამოვედი. სხვათა შორის, ანასტასიას მამის აშენებულია დღევანდელი ხორავას ადრინდელი მღვთის ქუჩა; ის ხარაჩოდან გადმოვარდნილა და დაღუპულა, იმ სამ-

სართულიან სახლში ვაჟა-ფშაველას ძმა ცხოვრობდა და როცა პოეტს თავისი გენიალური ნაწარმოებები ხურჯინით ჩამოჰქონდა, მოპირდაპირე მხარეს ბებიჩემს შესძახებდა ხოლმე. – ტასო, გოგო, როგორა ხარო და ისიც პასუხობდა, – ვაჟა, ბიჭო, შენ როგორ ხარო?

ჩემი ბავშვობა სამამულო ომის დროს დაემთხვა. ბრძოლები საქართველოში არ იყო, მაგრამ გაჭირვება, უშუქობა და სხვა უბედურება არ მოგვკლებია. მაგალითად, სათამაშოები საერთოდ არ მქონია, არც ფერადი ფანქრები, სახატავი ალბომები და ა.შ. ღამდამობით ქალები ქუჩაში მორიგეობდნენ (ფუგასური ბომბების საშიშროების გამო) და ლამაზი დედაჩემიც აირწინადით სახეაფარებელი დადიოდა. ვფიქრობ ამან დიდი გავლენა იქონია ჩემი თაობის ადამიანებზე; ჯერ ერთი, საბედნიეროდ, მაშინ ტელევიზია არ იყო და ჟურნალისტები ფათხა-ფუთხა მეტყველებით გულს არ გაგიხეთქავდნენ და საზოგადოდ, ვიზუალურის არქონამ ფანტაზიის გამძაფრებას შეუწყო ხელი, რისი არა მარტო ნაკლებობა, არამედ საერთოდ გაქრობა დღეს სახეზეა და არა მარტო ჩვენთან.

ჩემი წინაპრების უანგარობა მინდა აღვნიშნო. მამაჩემის მამა კონსტანტინე იმხანად საქართველოში მოღვაწე კაპიტალისტ მანთაშოვის მდივანი იყო. მანთაშოვა წერა-კითხვა არ იცოდა და დოკუმენტებზე ხელსაც ვერ აწერდა. კონსტანტინე კუჭუხიძე აწარმოებდა მთელ მიმოწერას უცხოურ კომპანიებთან. მშენებელმა გუბათაშვილმა მთელი ქუჩა ააშენა და მისი ოჯახი პაწაწკინტელა ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა. დედაჩემის მამამ თავადმა გიორგი ალშიბაიამ ჯერ კიდევ რევოლუციამდე აჩუქა გლეხებს თავისი მამული და სოფელ კურზუში სასახლე, სადაც, როგორც მითხრეს დღესაც მოქმედი სკოლაა.

– განათლება სად მიიღეთ და პირველი ნაბიჯები?

– ამ მხრივაც ილბლიანი აღმოჩნდი. დავამთარე ქალთა I საშუალო სკოლა და დიდებული მასწავლებლები მეყვდა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ჩემს ცხოვრებაში; განსაკუთრებით ქართულის მასწავლებელმა შალვა გიგაშვილმა. პიონერთა სასახლეში მათემატიკისა და ქიმიის წრეებში დავდიოდი. სხვათაშორის, თენგიზ აბულაძის და რუზო ჩხეიძის პირველ ფილმში „ჩვენი სასახლე“ მეც გადამიღეს – ცდას ვატარებ კოლბებით და სინჯარებით.

ხელსაქმე თავად ვისწავლე სახელმძღვანელოებით და უკვე 12 წლიდან ოჯახის წევრებს ვუკერავდი, ვუქსოვდი

და ვუქარავდი.

სკოლის და დამთავრების შემდეგ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ვსწავლობდი ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც აგრეთვე დიდებული ლექტორები მყავდა, მაგრამ თავი დავანებე და თეატრალურ ინსტიტუტში შევედი სარეჟისორო ფაკულტეტზე, სადაც ბრწყინვალე მასწავლებლები მყავდა. ჩვენი ჯგუფი დღეს უსამართლოდ მივიწყებულმა ვასო ყუშიტაშვილმა აიყვანა. შემდეგ რეჟისურას მ. თუმანიშვილი მასწავლიდა. ჯგუფში ხუთნი ვიყავით, მათ შორის რ. სტურუა და აფხაზი ნელი ეშბა. სწორედ იმ ზაფხულს აკაკი ხორავა სოხუმში გაემგზავრა გამოცდების ჩასატარებლად, აკაკი ფაღაუა კი – ცხინვალში. თეორიულ საგნებში მომავალ რეჟისორებსა და მსახიობებს ერთად გვიტარდებოდა ლექციები. მაშინ აფხაზებმა და ოსებმა მშვენივრად იცოდნენ ქართული ენა და დამწერლობაც ქართული ჰქონდათ. ნელი აშბამ აფხაზური ენა საერთოდ არ იცოდა და არც მამამისმა – რაჟდენმა, დედა მეგრული მალანია ჰყავდა და ოჯახში მეგრულად ლაპარაკობდნენ. ჩემს პირველ საკურსო სპექტაკლში (სერვანტესის „სალამანკის გამოქვაბული“) ორი აფხაზი სტუდენტი თამაშობდა. საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები მაშინ არსებულ სანკულტურის თეატრში დავდგი, სადაც არაჩვეულებრივად კეთილი და ნიჭიერი მსახიობები მუშაობდნენ. შემდეგ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ დამიბარა და მკითხა, – საქართველო გიყვარსო? მე ვუპასუხე, – დიახ. ხოდა, დღეს შენს სამშობლოს ყველაზე მეტად სოხუმში სჭირდება ქართულ თეატრში სამუშაოდ და მეც სოხუმში გავემგზავრე. ერთ შენობაში იყო ორივე დასი ქართული და აფხაზური, რომელსაც უცებ „დაავიწყდა“ ქართული და მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდნენ. შემდეგ კი დამწერლობაც შეცვალეს და რუსულ კირილიცაზე გადავიდნენ.

ჩემი სოხუმში ყოფნისას გამოაცხადა ხრუშჩოვმა ემიგრანტების რეპატრიაცია. „მომე“ სომხეთის მთავრობა და პატრიარქი ვაზგენი დაბრუნებულებს სამშობლოს მაგორად აფხაზეთში ჩასასახლებლად აფინანსებდნენ. როგორც მითხრეს, დღეს იქ რაოდენობრივად აფხაზზე მეტი სომეხი ცხოვრობს. ჩემი იქ ყოფნისას თეატრებს გასვლითი სპექტაკლების ჩატარება ევალებოდათ. ქართული დასი ყველა რაიონში გავდიოდით, სადაც მოსახლეობა ქართული იყო. აფხაზური დასი კი მხოლოდ გუდაუთაში. შემდეგ



მედეა კუჭუხიძე

უკვე ყველა რაიონში სომხურ თეატრს ითხოვდნენ.

ნადირალა ხრუშჩოვმა სტალინის ჯიბრით, ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, თეატრებს დოტაცია მოუხსნა. სოხუმელი ქართველები დასწრებით არ გვანებებდნენ, ამიტომ ხელფასიც არ გვქონდა. ოთხი სპექტაკლი დავდგი და შიმშილისგან ავად გავხდი. თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ილია თავაძემ გადამიყვანა პედაგოგად. გრიბოედოვის თეატრის მაშინდელმა მთავარმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ კი, რომელსაც ნანახი ჰქონდა ჩემი სპექტაკლები სოხუმში, „ანა ფრანკის დღიურის“ დასადგმელად მიმიწვია.

- თქვენს სპექტაკლებზე უფრო ვრცლად მოგვიყვით?
- ჩემი მოკრძალებული შემოქმედების ყველაზე დიდ ღირსებად ის მიმაჩნია, რომ დიდი პოლიკარპე კაკაბაძის სამი პიესა პირველად მე დავდგი. 1972 წელს ბატონი პოლიკარპე ცოცხალი ბრძანდებოდა და „სამი ასულის“ დადგმის ნებართვა ვთხოვე. ძალიან გაუხარდა, მარჯანიშვილს უნდოდა დადგმა, მაგრამ ვერ მოასწროო; მეორე ერთაქტიანი პიესაც შემომთავაზა „ტყის ქალები“, რომელიც მაშინდელ გამოცემებში არ იყო შეტანილი და ხელ-



მ.თუმანიშვილთან ერთად რ. კლდიაშვილის „საპონელას“ პრემიერის მერე-1995 წ.

ნაწერი მომცა. სპექტაკლი ძალიან მოეწონა და მთხოვა, – „პორტოპოლის ტუსადები“ დადგო. ეს სამწუხაროდ მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა და მხოლოდ 1994 წელს შევასრულე, არა მარტო ავტორის, უკვე ჩემი ოცნებაც.

თეატრში ძველებისგან მქონდა გაგონილი – „ყვარყვარე“ რომ დაემთავრებინა, მარჯანიშვილმა პოლიკარპე ჩაკეტაო. ერთხელ ვკითხე ბატონ პოლიკარპეს, – მართლა ჩაკეტათ მეთქი მარჯანიშვილმა? მართლა ჩამკეტაო და თეატრში ის ოთახიც მაჩვენა; პურ-მარილს არ მაკლებდაო. პოლიკარპე კაკაბაძეს აქვს პიესები, რომლებიც დღემდე არ დადგმულა. ჩემი აზრით, ეს ქართული თეატრის დიდი ცოდვაა.

რაც შეეხება სხვა სპექტაკლებს: სანკულტურის თეატრში 3 სპექტაკლი დადგა, სოხუმის თეატრში – 4, გრიბოედოვის თეატრში – 2, რუსთაველის თეატრში – 1, თეატრალურ ინსტიტუტში ჩემს სტუდენტებთან – 8, მარჯანიშვილის თეატრში – 52. შემდეგ სააკაშვილმა „ჩამრეცხა“. ბოლო სპექტაკლი დიმიტრი ღვთისიაშვილის მიწვევით მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგა. ერთი

რამ შეამაყება: ჩემს მიერ დადგმული ოთხმოცდაათამდე პიესიდან, თუ არ ვცდები, თითქმის ნახევარი, ჩემი ორის ჩათვლით, ქართველი ავტორებისაა და ისეთებისაც ამით რომ დაიწყეს წარმატებული სასცენო მოღვაწეობა; მაგალითად, ლალი როსება და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი და დრამატურგი რეზო კლდიაშვილი.

– ყველაზე წარმატებული სპექტაკლები რომლები იყო?

– სანკულტურის თეატრში ბლაჟეკის „უხვი სადამოს“ პრემიერის შემდეგ მსახიობებმა ბანკეტი გამართეს. ყველა მილოცავდა დიდ წარმატებას, აქვე იმყოფებოდა მოსკოვში მოღვაწე რეჟისორი ევლახიშვილი, რომელმაც ასე შესვა ჩემი სადღეგრძელო: თქვენს მომავალ ჩავარდნილ სპექტაკლებს გაუმარჯოსო. ძალიან გამიკვირდა და მეწყინა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ სწორედ წარუმატებელი სპექტაკლები გეხმარებიან შემოქმედებით წინსვლაში. შეკითხვაზე პასუხი კი ასეთი იქნება: „ანა ფრანკის დღიური“ თბილისის გრიბოედოვის თეატრში. მაყურებლის მოზღვაება სხვა წარმოდგენებზეც ყოფილა, მაგრამ პირადად მე მოზღვაებული მაყურებლის შესაკავებლად ცხენოსანი მილიცია არასოდეს მინახავს. ჩემი ყოფილი ებრაელი მეზობლები ისრაელიდან მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: ბი-ბი-სიმ გადმოსცა, რომ საბჭოთა კავშირში პირველად „ანა ფრანკის დღიური“ ქრისტიანმა რეჟისორმა დადგაო და აქ, ისრაელში ყველა სინაგოგაში შენთვის ლოცვები აღავლინესო. მაპატიეთ, ტრაბახი გამომივიდა. პირადად მე წარმატებას იმას მივაწერ, რომ ანა ფრანკის როლს ნიჭიერი, მშვენიერი, არიანა შენგელაია ასრულებდა და სხვა მსახიობებზეც არ ითქმის სამღურავი. ძალიან შეამაყება, რომ დიდმა მსახიობმა აკაკი ხორავამ თავის ცხოვრებაში ერთადერთი რეცენზია ჩემს სპექტაკლზე დაწერა. ვერიკო ანჯაფარიძემ კი ჩამავლო ხელი, – ვიპოვე რეჟისორი, ვინც ჩაპეკის „დელას“ დადგამსო და მარჯანიშვილის თეატრში წამიყვანა.

მარჯანიშვილის თეატრში წარმატებული სპექტაკლი უნიჭიერესი ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“ იყო, რომელზეც ერთი ტომარა რეცენზიები მაქვს აქაურიც და საზღვარგარეთიც, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჩვენი პატრიარქის ილია II-ის შეხედულებაა, რომელიც სპექტაკლის შემდეგ კულისებში შემოვიდა და ერთი საათის განმავლობაში განიხილავდა წარმოდგენას: „ეს ხომ სპექტაკლი არ არის, ეს აღსარებააო“ და კიდევ ერთი

საგულისხმო რამ ბრძანა: ქართველების ორი განსაკუთრებულიად ცუდი თვისება შური და ამპარტავენება – ამასეაო ეს სპექტაკლი, დაგვლოცა და მადლობა გადაგვიხადა. ბედნიერი ვარ, რომ უნეტარების ლოცვა-კურთხევა შემდეგაც მივიღე, როცა 1996 წელს რომის პაპის იოანე-პავლე II-ის პიესა გამოქვეყნდა, ძალიან მომეწონა და დადგმის ნებართვის მისაღებად ჩვენს სულიერ მამას ვეახელი და გოვი შაჰნაზარის ნათარგმნი „ოქრომჭედლის სახელოსნო“ მიუუტანე. გადაწყვეტილება მომიწონა. პატარა ოთახში ბუხართან ჩვენ ორნი ვისხედით და ვსაუბრობდით. შემდეგ დამლოცა და თავისი მშვენიერი ორანჟერეაც დამათვალიერებინა.

წარმატებული იყო, აგრეთვე, იაპონელი კლასიკოსის ჩაკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, რომელიც, თურმე პირველად მე გამიტანია იაპონიის გარეთ.

წარმატებულის გარდა არსებობს რეჟისორის საყვარელი სპექტაკლები. ჩემთვის ასეთია ჩვენი დიდი პროზაიკოსის ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“ და ა. აფინოგენოვის „შიში“. 1992 წელს, როცა თბილისში ომი, დიდი გაჭირვება და სიძულვილი მძვინვარებდა, ანდერსენის ყველაზე კეთილი ზღაპარი „თოვლის დედოფალი“ დავდგი ბავშვებისათვის, რომლებიც წარმოდგენის შემდეგ სცენაზე ამორბოდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას პატარა გოგო, დედას რომ არ მიჰყვებოდა და ტიროდა, ზღაპარში მინდა დაერჩეო. „თოვლის დედოფალი“ ადრე სოხუმში დავდგი და სოფლებში გასვლით სპექტაკლებზე საშიშ და სახიფათო სცენებში ბავშვები იქაც ამორბოდნენ სცენაზე, გერდას ებლაუჭებოდნენ, – არ წახვიდეო და აზა ნუცუბიძე – გერდა იძულებული გახდა პიესაში საკუთარი ტექსტი ჩაერთო, ბავშვები რომ დაემშვიდებინა და სპექტაკლი გაგრძელებულიყო.

– **რას ნიშნავს შენთვის თბილისი?**

– „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

– **საყვარელი მწერალი?**

– ვაჟა-ფშაველა.

– **სამაგიდო წიგნი?**

– იობის წიგნი ბიბლიიდან.

– **თქვენი ისტორიული გმირი?**

– დემეტრე თავდადებული.

– **გამორჩეული მხატვრები?**

– ძველმოდური ვარ. მიყვარს კარგი რეალიზმი, არ მომწონს თვალის მაგივრად ყური და ცხვირის მაგივრად შუბლი და ა. შ. ჯერ ფოტოგრაფიამ გააუკუღმართა ფერწერა და შემდგომმა ტექნიკურმა მიღწევებმა ხელოვნების ყველა სახეობა თეატრისა და ლიტერატურის ჩათვლით. ამიტომაც დამჩემდა ტექნოფობია, მობილური ტელეფონიც არ მაქვს. სხვათა შორის, სწორედ ტექნოფობიის გამო დამიწუნეს და მსახიობის ოსტატობას ადარ ვასწავლი თეატრალურ უნივერსიტეტში.

– **რომელი კუთხის სამზარეულო გიყვართ?**

– ჩემი იმერული; აფხაზურიც, მეგრულიც, ქართული ფესვებიდან გამომდინარე ყველა კუთხის სამზარეულო მისაღებია და არა მარტო ქართული. იაპონიაში ყოფნისას, სადაც სანელელებს (ოღონდ სრულიად განსხვავებულს) ჩვენსავით ჭარბად ხმარობენ, მათ კერძებსაც გემრიელად მივირთმევდი. წუნია და აზიზი მჭამელი არ გახლავართ. მხოლოდ ზედმეტად ტკბილი არ მიყვარს, მაგალითად ტორტი. გამოგიტყდებით, საშინლად არ მიყვარს სამზარეულოში ტრიალი და კერძების მომზადება.

ერთი საინტერესო რამ მინდა გაგიზიაროთ: იაპონური კაბუკის თეატრის გასტროლების მოსამზადებლად ჩამოსულ პროდიუსერს მე ვახლდი კულტურის მინისტრთან და მისმა ერთმა შუკითხვამ გაგავოცა: „იმ შენობაში, სადაც გასტროლები გაიმართება სამზარეულო თუ არისო? ჩვენ სადაც ჩავდივართ, იქაურ საჭმელებს მივირთმევთ, მაგრამ კაბუკის მსახიობები ჩვეულებრივი ადამიანები ხომ არ არიანო?!“ ანუ ეროვნული თეატრის ეროვნული სპექტაკლების წარმოდგენისას მსახიობებმა უსათუოდ ეროვნული პროდუქტებისგან დაშზადებული ეროვნული კერძები უნდა მიირთვან. ასე უფროხილდება იაპონია ყველაფერ ეროვნულს.

იაპონიამ არაჩვეულებრივად გონივრულად მოაწყო განათლების სისტემა; მან ჩათვალა, რომ განსაკუთრებული ზრუნვას საჭიროებენ არა მხოლოდ უნარშეზღუდული ბავშვები არამედ უმცირესობაში მყოფი ჭკვიანი ბავშვებიც. სკოლაში ყველა ბავშვს იღებენ, მაგრამ დაწყებით კლასებში, როგორც ყველგან, იქაც უკვე გამოირჩევიან ნიჭიერები, რომლებიც უნიჭობებზე და ზარმაცებზე ნაკლებნი არიან და სწორედ ასეთი ბავშვებისათვის დაარსეს სპეციალური სკოლა ქალაქ იოკოჰამაში უფრო რთული

პროგრამით და სხვათა შორის, საუკეთესო თეატრალური დარბაზით, სადაც იაპონელებმა ჩათვალეს, რომ ნიჭიერ ბავშვებს უეჭველად უნდა ენახათ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძილზე“.

იაპონელებმა მოზრდილების დაფასებაც იციან, ასეთი ტიტულიც აქვთ – „იაპონიის ცოცხალი განძი“.

– საყვარელი სასმელი?

– ადრე ბავშვებს წყალღვინოს გვასმევდნენ ხოლმე. ეს ტრადიცია საქართველოში არსებობდა. მე ძალიან მომწონდა. როცა წამოვიზარდე, მინდოდა ხოლმე ღვინის დაღვევა. ყველაფერში ზომიერი მამაჩემი სადილის წინ ჯერ სასმელს გამოიღებდა და მიირთმევდა. ერთხელ დედამ უთხრა, – მედეასაც დააღვინო. მამამ უპასუხა, – ნინა, ეგ ცუდად დაამთავრებსო. დედამ, – ერთი პატარა სირჩა რას უზამსო? მამა: ლედი ჰამილტონიც ასე იწყებდაო. საბედნიეროდ, ნამდვილად არ გავლოთებულვარ, მაგრამ კარგი სასმელი მიყვარს.

– საყვარელი კინორეჟისორი?

– კოლეგებზე ლაპარაკი ჩემთვის უხერხულია.

– საყვარელი კინოსახიობი?

– სერგო ზაქარიასძე – ბრწყინვალე მსახიობი და დიდებული ადამიანი, რაც პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბატონი სერგო პირველ კურსზე სასცენო მეტყველებას გვასწავლიდა. ერთი რამ მინდა გავიხსენო: მომავალ რეჟისორებს მსახიობების ოსტატობასაც გვასწავლიდნენ და ერთმანეთის სპექტაკლში უნდა გვეთამაშა. მე რობერტ სტურუას პირველ სპექტაკლში ვითამაშე. 1969 წელს მარჯანიშვილის თეატრში ჩემს მიერ დადგმულ ალფრედ მიუსეს პიესაში „სიყვარული სახუმარო არ არის“ მსახიობმა მოულოდნელად დატოვა თეატრი და ვინაიდან ყველა ბილეთი გაყიდული იყო, მისი შეცვლა მომიხდა. ასევე მოულოდნელად დიდი წარმატება მხვდა და ტელესპექტაკლში გადამიღეს (კრონინის „იუპიტერი იცინის“). ბატონი სერგო მარჯანიშვილის თეატრში დაესწრო სპექტაკლს, ძალიან მოეწონე და ერთად თამაშაც მოისურვა. პიესაც ავარჩიეთ – ვერაპიღეს „იფიგენია თავრიდამი“, რომლის განხორციელებაც, სამწუხაროდ, ვერ შეეძლო – საბოლოოდ გაუხეთქეს გული. ქირურგებმა, რომლებმაც აუტოპსია ჩაუტარა და რომელსაც გარდაცვლილის გული ხელში ეჭირა, მითხრა, რომ სიცოცხლეში ცხრა ინფარქტი

ჰქონდა გადატანილი და ბოლოს ვეღარ გაუძლო.

ქართული შურიანობა... თავად მარჯანიშვილი გააგდეს მის მიერ აღზევებულმა მსახიობებმა და ამის მერე მე რა მეთქმის თუნდაც იმაზე, ბოლო სპექტაკლზე რომ გამიკეთეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში: დ. ღვთისიაშვილის მიწვევით გერმანელი რომანტიკოსის ე. ჰოფმანის „პატარძლის ამორჩევა“ დავდგი. ეს ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებია და საბედნიეროდ, ცოცხალი იყო ჩვენი ქართველი ნიჭიერი ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია, რომელმაც შესანიშნავი ფოკუსები დაგვიშხადა, მაგრამ თეატრში აღმოჩნდა კიდევ ერთი „ილუზიონისტი“, რომელმაც მაგიდაზე მოშადებული სპეციალური მოწყობილობები დააზიანა და პრემიერა ფოკუსების გარეშე ჩატარდა. ამას ისიც დაემატა, რომ მოხატული ფარდა ზოლებად დაჭრა. აქვე იმასაც გავიხსენებ, როცა ზემოთ ნახსენებ იაპონელ პროდიუსერს აეროპორტისკენ ვაცილებდი, მითხრა: მედეა-სან, ფრთხილად იყავით, ძალიან ბევრი მტერი გყავთ, – თურმე კარგა ხანს არ აძლევდნენ ჩემთან შეხვედრის შესაძლებლობას.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მახსენდებოდა „ანა ფრანკის დღიურის“ შემდეგ ჭკვიანი ნათელა ურუშაძის ნათქვამი: „ვაი, მედეა, რამდენი მტერი გაიჩინე“.

როცა იოანე-პავლე II თბილისში ჩამობრძანდა, სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად ინტელიგენციასთან შეხვედრაც გაიმართა შევარდნაძის რეზიდენციაში. ილია II-ც ესწრებოდა. ყველაფერი მკაცრი პროტოკოლით მიმდინარეობდა. მე და პიესის მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა მითითებით წიგნი, სპექტაკლის აფიშა და ფოტოები. ძალიან თბილად მიმიღო, მადლობა გადამიხადა (რუსული კარგად იცოდა). როგორც ყველგან თითქმის ყველა ქვეყნიდან აქაც ჩამოვიდნენ კორესპონდენტები და სურათებსაც იღებდნენ; ცხადია, ჩვენი საქინფორმიც იქ იყო. ძალიან მინდოდა სურათი დამრჩენოდა და ამისთვის მივედი საქინფორმში, მაგრამ მათ რატომღაც საჭიროდ არ ჩაუთვლიათ ჩემი გადაღება. ფოტოები ვატიკანიდან გამომიგზავნეს.

– სპორტის რომელი სახეობა მოეწონთ?

– ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი სპორტის დიდი მოყვარული იყო და სპორტის რომელიმე სახეობაში ჩართვა სტუდენტებისთვის საუკლებულო გახდა. მე მხატვრული ტანვარჯიშის სექცი-
აში მოვხვდი, რომელსაც სსრკ ყოფილი ჩემპიონი ნონა

ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა. სპორტის ეს სახეობა ძალიან მომეწონა.

– განსაკუთრებულად რომელი დღესასწაული გიყვართ?

– აღდგომა. მორწმუნე ქრისტიანი ვარ. II მსოფლიო ომის დროს მომნათლეს ქაშუეთში. ჩემი ნათლობის სახელია ნანა.

– მთის კურორტი უფრო გიყვართ, თუ ზღვა?

– ბავშვობიდან მაწუხებს თავის ტკივილი. სამი ადგილი, სადაც თავი არასოდეს მტკიოდა იყო: თვითმფრინავი (ცა), ცურვა (ზღვა) და რეპეტიცია. სამწუხაროდ აღარცერთი არა მაქვს.

– XX საუკუნის გამორჩეული ადამიანი?

– მე ჯერ უფრო პერიოდს (მჟაფანაძე-შევარდნაძის) გამოვარჩევდი. იმით დავიწყებ, რომ მაგ დროს აკადემიური თეატრის რეჟისორის თანამდებობა ცეკას ბიუროს ნომენკლატურა იყო და აქედან გამომდინარე კომპარტიის წევრობა – აუცილებელი. მხოლოდ ორნი – ცხონებული ვასო ყუშიტაშვილი და მე არ ვყოფილვართ კომპარტიის წევრები. ყველა დონეზე, დაწყებული თეატრის პარტკომიდან, რაიკომის, ქალაქკომის მდივნები მეუბნებოდნენ, რომ პარტიაში შევსულიყავი. მე კი ვპასუხობდი: სიტყვა პარტია პარტ-ისგან წარმოდგება, რაც ნაწილს ნიშნავს, მე კი არ მინდა ვიყო ნაწილი. მაინც მიტანდნენ. სისტემატიურად დავდიოდი სიონში, სადაც, ჩემს გარდა სხვა იშვიათად მინახავს – მოლაში არ იყო და ძალიან მიკვირს,

ჩემზე ბევრად ახალგაზრდები დღეს რომ ტელეეკრანებიდან ჩვიან, – როგორ ავიწროვებდნენ. ჩემთვის რატომღაც არავის უთქვამს, – ეკლესიაში რატომ დადიხარო. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იმ პერიოდის რეჟისორებიდან მე ერთადერთი ვარ ვისაც სამი სპექტაკლი მოუხსნეს (ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“, კარლო გოტის „ლურჯი ურჩხული“ და ალ. სამსონიას „ვაჩე ვაჩეიშვილი და სხვები“). აქედან პირველი მოსკოვის ცეკას დადგენილებაშიც კი მოხვდა (როგორც მითხრეს იქაური თეატრთმცოდნის დაბეზდებით).

შესავალი გამიგრძელდა, მაპატიეთ. შეკითხვაზე პასუხი კი ასეთი იქნება: გამორჩეულ ადამიანად ედუარდ შევარდნაძე მიმაჩნია და არა მარტო იმისთვის, მე რომ მითხრა: „ქალბატონო მედეა, რაც გინდათ, ის დადგით, ჩვენ თუ რეაქცია გვექნება, ყურადღებას ნუ მოგვაქცევთ“. ის პატიოსანი და ძალიან გონიერი ადამიანი იყო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, – თითქოს ყველას იცნობდა და ყველაფერი იცოდა. ერთ საინტერესო ფაქტს გაუხსენებ: რომის პაპის პიესის დადგმა რომ დავიწყე და ჯერ ეს არსად იყო გაცხადებული, ვატიკანის საელჩოდან დარეკეს თეატრში, – ნუნციუსს (ასე იწოდებიან მათი ელჩები) რეჟისორთან შეხვედრა სურსო. მივედი (მანქანა თვითონ გამომიგზავნეს) . ნუნციუსმა მაღლობა გადამიხადა და მითხრა, – მარტო ამისთვის არ შეგაწუხებდით, ვიცით, რომ დღეს ქვეყანაში გაჭირვებაა და თუ ნებას მოგვცე-



რომის პაპთან იოანე-პავლე II-თან

მთ, სადადგმო ხარჯებს ჩვენ დავაფინანსებთო. მაღლობა გადაუხადე და წამოსვლისას ვკითხე, – ჯერ საჯაროდ არსად ყოფილა გამოცხადებული ჩვენ რომ იოანე-პავლე II-ის პიესას ვდგამთ და თქვენ საიდან გაიგეთ მეთქი. შევარდნაძემ შეგვატყობინაო, – მიპასუხა.

იყვენ, რა თქმა უნდა, სხვა გამორჩეული ადამიანებიც და ვაი, რომ გალაკტიონის თქმისა არ იყოს:

„წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაშული“...

– თქვენი ჰობი?

– ფიზიკა-თერმოდინამიკის II საწყისი და ტორსიული კვლევები.

– ნატურისთვალის რომ გკონდეთ, რას ინატრებდით?

ეს ყველაზე რთული შეკითხვაა. ადამიანი იმას ნატრობს, რაც ცხოვრებაში დააკლდა და ეს იშვიათი რამ არის. ჩემი პესიმისმის გასამართლებლად წინაპრებს ე.წ. კულტურულ პესიმისტებს მოვიშველებ:

ვაჟა ფშაველა:

„რად გავჩნდი ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმად“,
გალაკტიონი:

„ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში,
უდაბურებად იქცა სოფელი“,

ნიკოს სამადაშვილი:

„რა ეშველება დაკარგულ ადათს
და ასე მწარედ გარეცხილ სინდისს“,

არაპესიმისტი გოეთე:

„მე ვწინასწარმეტყველებ დროს, როცა კაცობრიობა უკვე აღარ გაახარებს უფალს და იგი იძულებული იქნება კვლავ დაანგრის ყველაფერი განახლებული ქმნილებებისათვის“.

მთელი ცხოვრება მაინტერესებდა, რას უნდა გაემწარებინა ილია ჭავჭავაძე, „ბედნიერი ერი“ რომ დაწერა: „ყველა ყრუი, ყველა ცრუი“.

გენიალურ რუსთაველს ყველაფერი გენიალური აქვს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საგულისხმოა მისი შეგონება: „...თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“. დღეს, საუბედუროდ, ტოტალური სიცრუე მძვინვარებს და ჩემი პირველი თხოვნაც სწორედ ამას უკავშირდება; არ ვიცი, ეს ჩემი პროფესიის ბრალია, თუ არა – სიცრუის, ტყუილის ფიზიკური შეგრძნებაც კი მაქვს. ფსევდოდემოკრატიით დავიწყებ: კაპიტალისტურ სისტემაში, რომლის პრინციპი სოციალური

უთანასწორობაა, რანაირად უნდა არსებობდეს დემოკრატია? აი, ამ შეკითხვაზე ვინატრებდი პასუხს. შემდეგ: ე.წ. დამოუკიდებლობა, ვნატრობ განუწყვეტლივ არ ერეოდეს ყველაფერში და ტოლერანტობას გვასწავლიდეს იმ ქვეყნის ელჩი, სადაც ევროპიდან ჩასულმა კონკისტადორებმა ადგილობრივები ამოწყვეტეს და გადარჩენილები რეზერვაციაში – იგივე საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაამწყვდიეს; შემდეგი თხოვნა: ილიას გზას ვადგვართო გვეუბნებიან: მამული, ენა, სარწმუნოება. არადა, მამული დაქუცმაცებულია, ქრისტიანული სიყვარულის მაგივრად ისეთი ორგანიზებული სიძულვილი მეფობს, რომ ეს უკვე ფსევდოსარწმუნოებაა. ენა ხომ მთლად უბედურ დღეშია. ყველა სფეროში გაბატონებულმა უცხო აკვირებამ განსაკუთრებით ენას შეუტია. ჯერ ერთი, სხვა ენებისგან მკვეთრად განსხვავებულ ქართულ ენაში ყველა ასო, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანასწორუფლებიანია, განსაკუთრებით თანხმონები. დღეს კი ტელეეკრანებიდან „ცნობადი სახეები“, როგორც წესი ცდილობენ მეტყველება დასავლური გახადონ: მაგალითად, „არის“ მაგივრად ამბობენ არი, „მაქვს“ მაგივრად – მაქ, „რომ“-ის მაგივრად – რო და ა. შ. ნატურის თვალს ამასაც ვთხოვდი, რადგან მჯერა – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“.

ქართული ენის გადასავლურება სახელწოდებებით დაიწყეს. მაღაზიები დღეს უკვე მარკეტები; ჭავჭავაძის პროსპექტზე ერთ მაღაზიას „სნობი“ დაარქვეს, არც იცოდნენ სიტყვა რას ნიშნავდა (ჩემი ასისტენტი გაავაზვნე, აუხსნა და გადაარქვეს). თითქოს ქართული სიტყვები არა გვექონდეს, ჯერ სიტყვა სენსიტიური ამოიჩემეს, მერე – რელევანტური და ბოლოს ნარატივი.

უხერხული კია ნატურისთვალის ამით შეწუხება, მაგრამ ამასაც ვთხოვდი: ე. წ. პოლიტიკოსები რომ გვეუბნებიან, – ჩვენი მიზანი დასავლურ ოჯახში დაბრუნებააო, იქნებ ისიც ამიხსნან, – როდის ვიყავით დასავლურ ოჯახში. იქნებ მე ვერ ვიგებ და „ვეფხისტყაოსნის“ ხატაყთი, ინდოეთი, არაბეთი, ხვარაზმი საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია და აშშ არის? და რაც მთავარია, ნუთუ ისიც არ იციან, რომ კულტურაც, მეცნიერებაც და ქრისტიანობაც აღმოსავლეთიდან გავრცელდა ევროპაში და თავად სახელი ევროპაც ფინიკიის, რომელიც აზიაში მდებარეობდა, მეფის ასულს ერქვა, რომელიც ხარად გადაქცეულმა ზევსმა მოითაცა. ფინიკიაში ქალაქიც იყო, რომელსაც ევროპა

ერქვა. იქნებ ჩვენი „ცნობადი სახეებისგან“ განსხვავებით შეცდა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ლე გოფი, რომელმაც წიგნების თემატური სერია გამოსცა სახელწოდებით „ევროპის ჩამოყალიბება“, რომლის ცალკეული ტომი სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე კომპეტენტური ისტორიკოსებს დააწერინა და არც ერთში საქართველო ნახსენები არ არის. იმ ტომშიც კი, რომელიც კულინარიას ეხება. ამას საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ ნათქვამია: ადრე ევროპის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ტყე ყოფილა კაკლისა და თხილის ხეებით და ავტორი ამბობს, რომ მოსახლეობა ნაყოფს საკვებში ხმარობდა; დღეს კი, თუმცა ხეები გაჩეხილია, მაგრამ ნიგვზის შოვნა ევროპაში პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ევროპის არცერთ სახელმწიფოში საჭმლის მოსამზადებლად ნიგვზს არ იყენებენ. თუ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი იყო, რატომ არის ჩვენი ყველაზე გემრიელი კერძები ნიგვზით შეზავებული – ფხალეული და განსაკუთრებით კულინარიული შედევრი საციფი?

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მძლავრი ევროპული ქვეყნები უკვე შუა საუკუნეებში სწორედ თავიანთი აზიური წარმომავლობით ამაცობდნენ: რომის იმპერიის დამაარსებლად ლათინეები ენეას თვლიდნენ, რომელიც აზიაში მდებარე ტროადან იყო; ბრიტანელები კი თავიანთ წინაპრად – ენეას შვილიშვილს ბრიტს.

ნატურისთვალს ჩავაცივდი და ვედარ ვეშვები. ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ და დრამატურგმა ჟან პოლ სარტრმა, რომელიც 1980 წელს გარდაიცვალა, იწინასწარმეტყველა: პედარასტული მატრიარქატი დადგებაო. მაინტერესებს უკვე ახდა? მართალია, პოლიტიკოსობა ძალიან ადვილი გახდა: პუტინის, რუსეთის და ერთმანეთის ლანძღვა; რატომ ჰქვია პოლიტიკოსობა აშარი ქალების საქმიანობას, რასაც ადრე ინტრიგანობა ერქვა და ზოგიერთის ხულიგნობაც კი? და სულ ჩესტერტონი მახსენდება: ქალები, რომლებმაც ხმის უფლება მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მიიღეს, გვეგონა თავიანთი მოსვლით პოლიტიკაში სათნოებას და კდემამოსილებას შეიტანდნენ, პირიქით კი მოხდაო.

– **ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეეძლოთ, რამეს შეცვლიდით?**

– უცოდველი ადამიანი არ არსებობს. რა თქმა უნდა, მეც მქონდა შეცდომები, რომლებსაც აღარ გავიმეორებდი.

– **თქვენი ცხოვრების დაუვიწყარი დღე?**

– რა თქმა უნდა, ის დღეა, როცა დაგბადე ჩემი ერთადერთი შვილი – ამჟამად ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსუდან მირცხულავა; შესანიშნავი მეუღლე, ჰყავს შვილი და შვილიშვილიც, რომელსაც ჩემი საყვარელი ტასო ბაბოს სახელი ჰქვია – ანასტასია.

– **რომელ თვისებას აფასებთ ადამიანში?**

– ერთგულებას. არა მგონია ამის თქმა რუსთაველზე უკეთ ვინმემ შეძლოს:

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა; ვჰვძობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატანსა!“

არ შემიძლია ერთგულებასა და მაღლიერებასთან დაკავშირებით, კვლავ იაპონელები არ ვახსენო. მათ აქვთ სიტყვა „ონძინ“, რომელსაც შესატყვისი არ გააჩნია სხვა ენებში გარდა ქართულისა. „ონძინ“ ნიშნავს – ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის. ქართული „გენაცვალეც“ იგივეა, მაგრამ ჩვენთან მხოლოდ ფორმალურად, სამწუხაროდ. იაპონელები კი, თუ რამე კარგი გაუკეთო, ზედ გადაგყვებიან – საკუთარ თავზე გამოგცადე. წავიკითხე მათი პიესა, მომწონა და დაუდგი. 1981 წელს რესპუბლიკებში საელჩოები არ იყო. როგორც ჩანს, მოსკოვში გაზეთებს იღებდნენ რესპუბლიკებიდან. დავდგი თუ არა, დარეკეს თეატრში და იკითხეს, – მართალია? და დაიწყო: სანახავად საელჩოდან ხომ ჩამოვიდნენ, იაპონიიდან მოსკოვში ჩასულებიც ითხოვდნენ თბილისში გამგზავრებას. ჩამოდიოდნენ, წარმოდგენას ესწრებოდნენ და თავიანთ ქვეყანაში მიჰქონდათ ამბავი. მე იაპონიის მთავრობამ მოწვევა გამომიგზავნა. თავადვე დააფინანსეს ჩემი გამგზავრება. იქ ხომ გადამეყენენ: ტოკიოდან კიოტოშიც წამიყვანეს, ოსაკაში და რათქმა უნდა, კაბუკის თეატრშიც ვიყავი. სამხატვრო ხელმძღვანელი და დიდი მსახიობი „იაპონიის ცოცხალი განძის“ ტიტულის მფლობელი ნაკამურა უტაემონ VI გავიცანი, რომელიც ჩემი თბილისში დაბრუნებიდან ერთი თვის შემდეგ თავად გვესტუმრა და ნახა სპექტაკლი. ისე მოეწონა, რომ კაბუკის თეატრი ჩამოიყვანა თბილისში. მთელმა დასმა ნახა ჩვენი სპექტაკლი. ჩათვალეს, რომ უსათუოდ უნდა გვეთამაშა იაპონიაში. განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ იაპონელი სტუმრები. ჩვენი მსახიობები ზუმრობდნენ, –უკვე თითქმის მთელმა იაპონიამ ნახაო სპექტაკლი და ალბათ აღარ წავალთო. გასტროლებამდე თეატრის ხელმძღვანელობა ჩაგვიყვანეს (ისევ თავიანთი დაფინანსებით) ტე-



ნაკამურა უტაემონ VI მარჯანიშვილის თეატრში
სპექტაკლის შემდეგ

ქნიკური საკითხების მოსაგვარებლად. მე თემურ ჩხეიძის „ჯაყოს ხიზნების“ ჩართვაც ვთხოვე. დაეთანხმნენ. ჩვენი გასტროლები დიდი ტრიუმფით ჩატარდა იაპონიაში. ერთი თვე ვიყავით. წარმოდგენას იმხანად ტახტის მემკვიდრე, შემდეგ უკვე იმპერატორი დაესწრო და ბოდიში მომიხადა და თბილისში რომ არ ჩამოვიდა სანახავად. ამასობაში საქართველოში პოლიტიკური წყობილება შეიცვალა და დამოუკიდებელ საქართველოში ერთი სიტყვაც კი არ გაიმეტეს იაპონიაში ქართული თეატრი წარმატებაზე.

„შეყვარებულთა თვითმკვლელობა...“ 1981 წელს დადგა, ე. ი. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ოთხი თვის წინ ბერლინიდან მირეკავენ, – ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი ჩამოვიდა თბილისში თქვენთან შესახვედრად და ნებართვას გთხოვთ, თქვენი ტელეფონის ნომერი მივცეთო. მარჯანიშვილის თეატრში მისულა და იქ დირექციაში უთქვამთ, – არ ვიცით ვინ არისო. ბერლინში იციან და მირეკავენ და თეატრში, რომლის გვერდითაც ვცხოვრობ

– არა?! ბერლინისთვის იმიტომ მიუმართავს პროფესორს, რომ ტოკიოს გარდა იქაც მიუღია განათლება. 80-იან წლებში როცა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა...“ დაიდგა ის ბავშვი იყო. მაგრამ, როცა მოვიდა ჩემთან, მითხრა, – თურმე ჩვენს სპექტაკლს, რომელიც გადაიღეს, დღემდე აჩვენებენ იაპონიაში ტელევიზიით და ისე მოეწონა, რომ ჩემზე წიგნის დაწერა გადაწყვიტა და ამიტომაც ჩამოვიდა თბილისში ჩემთან შესახვედრად.

მეშინია, შური არ იყოს, რასაც მე განვიცდი; მე მხოლოდ ის მინდა, რომ ქართველებიც ერთგულები ვიყოთ და არ გვახასიათებდეს უმადურობა და სასუფეველშიც არ გოვებდეს ჩემი საყვარელი ვაჟა-ფშაველა:

„რამდენი ფიქრი მწვავეს, მეზადება:

თუ ვერ ვიგუეთ, არ მოვუარეთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლე,
არ გეკადრება, არ გეკადრება“.

ქალბატონი მედეა კუჭუხიძის შესახებ კომენტარი ვთხოვე საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს:

მერაბ კოკჩაშვილი – კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი: მედეა კუჭუხიძე არის შესანიშნავი რეჟისორი და შესანიშნავი პედაგოგი, მისი ერთადერთი და ირინა კუჭუხიძე გახლდათ საუკეთესო კინომცოდნე, ხოლო ირინას ვაჟი ირაკლი ბათიაშვილი ღირსეული მამულიშვილი, ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერი.

რეზო კლდიაშვილი – ქიმიკოსი და დრამატურგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი: მედეა კუჭუხიძე ჩემთვის ნიჭიერების, სიღირსის, აკადემიზმის, ერთგულების და უღალატო მეგობრობის ნიმუშია. ჩემი პიესის მიხედვით მან მარჯანიშვილის თეატრში დადგა სპექტაკლი „საპონელა“ (1995 წ.) და რუსთაველის თეატრში „მორაპნელი ქალბატონები“ (1998 წ.). ორივე სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ინესა მერაბიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი: ქალბატონი მედეა გამორჩეულად ნიჭიერი რეჟისორია და დიდი ინტელექტუალი.

ქეთევან კიკნაძე – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი: მედეა კუჭუხიძე ძველი ინტელიგენციის ოჯახიდან წამოსული ადამიანია; ის იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც თავის ქვეყანას და ადამიანებს სულიერ საზრდოს აწვდის. აწვდის ისეთ პროდუქციას, რომელიც ადამიანის გონებასა და სიცოცხლეს ამდიდრებს. დაუვიწყარია მისი შექმნილი სპექტაკლები, რომლებმაც გაამდიდრა ქართული თეატრალური სამყარო. გარდა რეჟისორული მუშაობისა იგი ქვეყანა პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრალურ უნივერსიტეტში. მან მრავალი თაობა გაზარდა, ბედნიერი არიან ის სტუდენტები, რომლებმაც მისი ფრთების ქვეშ გაიარეს.

ბევრჯერ მომიწია მასთან მუშაობა და ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი. ყოველ მის სპექტაკლში ჩემი ნამუშევარი წინგადადგმული ნაბიჯი იყო შემდგომი წარმატებისათვის. მე მჯეროდა ყოველთვის, თუ დამჯერი მოწაფე ვიქნებოდი, წარმატება აუცილებლად მექნებოდა და ეს მისი გამარჯვებაც იყო. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეს პატარა ქალი რეპეტიციის დროს როგორი ძლიერი და ცეცხლოვანი იყო. ათასჯერ მომხიბვლელი ხდებოდა,

როდესაც აჩვენებდა ამა თუ იმ პერსონაჟის სახეს. მან ზუსტად იცის თითოეული მსახიობის შესაძლებლობები, რომელიც მუშაობას უმსუბუქებს, თუ ოდნავ უახლოვდება პერსონაჟს, რომელიც უნდა განასახიერო. ეს მასთან ადვილად ხდება, ის შენთან ერთად ცხოვრობს და განიცდის, გაჩვენებს ამა თუ იმ პერსონაჟის სახეს. არ შეიძლება არ მოიხიბლო და არ გიყვარდეს თავად შეყვარებული თავის პროფესიაზე, უტყუარი მეგობარი, რომელსაც საერთოდ ადამიანი უყვარს.

მედეა წარმატებული რეჟისორია, ჩვენ ვამაყობთ, რომ შეგვეძლო მასთან მუშაობა და მეგობრობა.

ყოველი მისი პრემიერა იყო დიდი გამარჯვება და სიხარული.

გიგა ლორთქიფანიძე მისი ნიჭის დიდი დამფასებელი იყო, ამიტომ, ყოველთვის ცდილობდა მას მუშაობის ასპარეზი ჰქონოდა. მედეას ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ხოლო ჩვენ კი – შეგვეძლოს ადამიანის შრომის დაფასება.

ვალერი ასათიანი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი: ქალბატონი მედეა კუჭუხიძის შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული თეატრის შეფასება. მისი როლი და ღვაწლი უადრესად დასაფასებელი და მნიშვნელოვანია.

ნანი ჩიქვინაძე – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი: თეატრალურ ინსტიტუტში მიმა თუმანიშვილის ჯგუფში ვიყავი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შემოთავაზება მქონდა რუსთაველის თეატრში მემუშავა; ქალბატონმა მედეამ თავისთან, მარჯანიშვილის თეატრში, მიმიწვია. მას ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩემი შემოქმედებითი საქმიანობის ზრდაში. მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები ქალბატონი მედეასი, რადგან მან პატარა გოგონა თავის ფრთის ქვეშ შემიფარა და როგორც მსახიობსა და როგორც ადამიანს ძალიან ბევრი სიკეთე მაჩუქა.

ჯემალ კუხალაშვილი – მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი: ქალბატონი მედეა კუჭუხიძე თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა, თავისი ინდივიდუალური ხელწერით და ღვთისაგან ბოძებული დიდი ნიჭიერებით.

ქეთი დოლიძე – რეჟისორი: მედეა კუჭუხიძე არის ყველაფერი იმის განსახიერება, რაც შეიძლება ყველაზე კარგ ქართველ ადამიანს ახასიათებდეს და რაც ღვთის

იშვიათია. პრინციპული, მართალი, ნიჭიერი, მრავალმხრივ დაჯილდოებული ხელოვანი, რომელსაც არასდროს პრინციპებისთვის არ უღალატია. უერთგულესი მეგობარი, იშვიათი ინტელექტუალი, ადამიანი, რომელიც დღესაც თვითგანათლებითაა დაკავებული და მეცნიერების ყველა დარგი აინტერესებს. მაღლობა მეგობრობისა და ერთგულებისათვის.

სვეტლანა შალვაშვილი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენოსანი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი: მედია კუჭუხიძე მშენებლების სიმბოლოა. შესანიშნავი რეჟისორი და პედაგოგი. მან ფართო ასპარეზი მისცა ქართველ ქალობის ეტალონებს ქეთინო კიკნაძეს და ნანი ჩიქვინაძეს. მათ კოტე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და ქართულ კინოში შექმნეს არაერთი უბრწყინვალესი სახე, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში.

მზია ხეთაგური – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, თეატრმცოდნე: მედია კუჭუხიძის სპექტაკლები, როდესაც ვნახე, მაშინვე მივხვდი, რომ მისი სახით ქართულ თეატრს ჰყავდა ერუდირებული, განათლებული, საინტერესო ხედვისა და დიდი მასშტაბის რეჟისორი. მისი შემოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ თეატრში გაცხადდა, ჩემი აზრით მსოფლიო მნიშვნელობის ხასიათს ატარებს.

არიან ნიჭიერი ადამიანები, მაგრამ მათი ინტელექტი ყოველთვის არ შეესაბამება მათ ნიჭს. მედია კუჭუხიძე ამ მხრივ გამონაკლისია.

ღიმიტრი (ღიმა) დვთისიაშვილი – მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: ქალბატონი მედია მიმანია, რომ არის არა მხოლოდ დამდგმელი რეჟისორი, არამედ არის პედაგოგი, რომელიც უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობთათვის, დაოსტატების გზაზე ჰაერივით საჭიროა.. მედია კუჭუხიძის არსებობა ყველა იმ თეატრში, სადაც მას უმუშაუია, ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო. იგი წარმატებული სპექტაკლის დადგმის პარალელურად დასის შემოქმედებით გაჯანსაღებაზე ზრუნავდა მუდამ; სწორედ ამიტომაც, როდესაც დაფინანსებულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად პირველი

ვისაც სპექტაკლის დადგმა შეეთავაზე ქალბატონი მედია კუჭუხიძე იყო. სამუშაო პროცესი, რომელიც ქალბატონმა მედიამ მოზარდში წარმართა, ჩვენი თეატრის მსახიობთათვის ნამდვილ მასტერ კლასად გადაიქცა. სწორედ ამიტომაც და იმ დიდი დამსახურებისთვისაც, რაც ქალბატონ მედიას მიუძღვის ქართული თეატრის ისტორიაში, მისი 80 წლის საიუბილეო საღამო ჩვენს თეატრში გაემართეთ; გვინდოდა ჩვენი თეატრის მოზარდი მაყურებლისთვისაც მოგვეთხრო ამბავი ერთ შესანიშნავ რეჟისორ ქალზე, რომლის სპექტაკლები: „მე მჯერა შენი“, „ანა ფრანკის დღიური“, „ჟამთა სიავე“, „ტაკიმასხარა“, „პრემიერა“, „პროვინციული ამბავი“, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა“, „შიში“ და მრავალი სხვა სეზონების განმავლობაში ამშვენებდა თბილისის თეატრის სცენებს.

ელენორა ბაბუნაშვილი – თბილისის საპატიო მოქალაქე, 95 წლის მოქმედი ექიმი თურაპვეტი: თავს ბედნიერად ვთვლი, რომ უნიჭიერესი რეჟისორის მედია კუჭუხიძის ყველა სპექტაკლი მაქვს ნანახი, როგორც მარჯანიშვილის თეატრში, ასევე რუსთაველის თეატრში და გრიბოედოვის თეატრში. როგორი საქებარი სიტყვებიც არ უნდა ვთქვა, როგორი ხოტბაც არ უნდა შევასხა მის შემოქმედებას, საკმარისი მაინც არ იქნება... რაოდენ სასიხარულოა, რომ იგი გახლავთ საუკეთესო შვილის რუსუდან ფირცხალავას დედა და საუკეთესო დისშვილის ირაკლი ბათიაშვილის დეიდა. იშვიათი შემთხვევა, როცა ერთი ოჯახიდან ორი თაობის ოთხი ღირსეული პიროვნება ამშვენებს ჩვენს სამშობლოს.

დალი ქურდაძე – ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი: მედია კუჭუხიძე საქვეყნოდ აღიარებული რეჟისორია, თავის საქმის დიდი ოსტატი. დღესაც მახსოვს ის შთაბეჭდილება და ემოცია, რაც მისმა სპექტაკლებმა მომანიჭა. ბორჯომელი პედაგოგების სახელით ქალბატონ მედიას ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას და დღევრძელობას.

ვაჟა აზარაშვილი – კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი: ცნობილ, პოპულარულ რეჟისორს ქალბატონ მედიას ვულოცავ სახელოვან იუბილეს და ვუსურვებ კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს.

ნინო ბარყაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ დანერის თარიღი

მკვლევარები „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად, მართალია, სხვადასხვა წლებს ასახელებენ, მაგრამ მკვლევართა გარკვეული ჯგუფი დაახლოებით ერთსა და იმავე წელსა შუალედს მოიაზრებს. შალვა ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად მიაჩნდა 1198-1207 წლები. პავლე ინგოროყვას გამოკვლევით, პოემა შექმნილია 1196-1207 წლებში. 1922 წელს პავლე ინგოროყვას მწერალთა კავშირის სხდომაზე წაუკითხავს მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ რუსთაველს პოემა დაუწერია 1196-1206 წლებში.

იუსტინე აბულაძემ 1914 წელს გამოთქვა მოსაზრება. ის თვლიდა, რომ პოემა, შესაძლოა, თამარის შემდგომ პერიოდში ყოფილიყო დაწერილი.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის მსჯელობა კი ასეთია: თამარი და დავით სოსლანი პოემის დასაწყისში და დასასრულში ცოცხლებად გამოიყურებიან.

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული ვთქვენნი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩელი. მელნად ვინმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული, ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა. გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ღბილისა.“ – ნაწყვეტი პროლოგიდან.

„ქართულთა ღმრთისა დავითის ვის – შხე – მსახურებს სარებლად, ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად, ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.“ – ნაწყვეტი ეპილოგიდან.

მკვლევარ ტიტე მოსიას დაკვირვებით, „დამოწმებული ტაეპების ხაზგასმული ზმნები(ვაქებდეთ, მიბრძანეს, შვენის, დაესხდეთ, გვდის, ცანით, ვაქებ, მსახურებს, არის) ავტორს გამოყენებული აქვს აწმყო, ანუ ახლანდელ დრო-



ში. ამით პოეტი სრულიად მკაფიოდ მიგვანიშნებს: „ვეფხისტყაოსნის“ წერის პროცესში თუ მისი დასრულებისას, სახელოვანი ისტორიული გმირები – თამარ მეფე და დავით სოსლანი ფიზიკურად ცოცხლები არიან“. ბუნებრივია, პოემა იწერება მათი დაქორწინებიდან (1188 წელი) რომელიმე მათგანის გარდაცვალებამდე. დავით სოსლანი აღესრულა 1207 წელს. აქედან გამომდინარე „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზულია 1189-1207 წლებში.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის განსაზღვრის საქმეში, ვფიქრობ, დიდ დახმარებას გაგვიწევს 1918 წელს გამოცემულ ჟურნალ „რუსთაველის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატია: „ვეფხისტყაოსნის“ ცენზორი და მისი დევნა.

ამ წერილიდან ვიგებთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავის დროზე დაუწუნებია XII საუკუნის ქართველ საღმრთო მწიგნობარს, იოანე კათოლიკოსს და უმხილებია კიდევ ავტორი, რასაც თავად ავტორი არ დასთანხმებია. ეს კიცხვა მოყვანილი ყოფილა იოანე კათოლიკოსის შესახებ დაწერილ არსენ ბერის წიგნში. პოლიექტოს კარბელაშვილის წიგნის: იერარქია საქართველოს ეკლესიისა, მიხედვით, იოანე VII საქართველოს კათოლიკოსი მართავდა საქართველოს ეკლესიას 1205-1206 – 1210 წლებში და იყო თამარ მეფის თანამედროვე. თუ „ვეფხისტყაოსნის“ მხილება ამ წლებში მოხდა, ეს თავისთავად მეტყველებს, რომ 1210

წლისათვის, პოემა, ყველა შემთხვევაში, დასრულებული ყოფილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ პოემა დავითისა და თამარის სიცოცხლეშია დაწერილი. აქედან გამომდინარე, ნაწარმოების დაწერის თარიღიც მცირდება 1207 წლამდე. ამ თარიღის სიახლოვეს უნდა მომხდარიყო, სავარაუდოდ, მისი მხილებაც.

საყურადღებოა, რომ ინფორმაცია იოანე კათოლიკოსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მხილების თაობაზე, საიდანაც ვგებულობთ, დაახლოებით რომელი წლისთვის ყოფილა დამთავრებული პოემა და მკვლევართა მოსაზრებები პოემის დაწერის თარიღთან დაკავშირებით, პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს.

მკითხველს შევახსენებ, იოანე კათოლიკოსი არის ის

საეკლესიო პირი, რომელმაც ფრიად ორიგინალურად გადაწყვიტა ქართველთა და სომეხთა დავა იმის შესახებ, რომელნი ემსახურებოდნენ მართალ სარწმუნოებას. კათოლიკოსის შეთავაზებით, სამი დღე ძაღლები უნდა ეშიმშილებინათ და შემდეგ დაეღოთ მათთვის მართლმადიდებლურ და მონოფიზიტურ ეკლესიებში ნაკვეთი სეფისკვერები. რომელ ეკლესიაში ნაკვეთი სეფისკვერსაც ძაღლი არ გაეკარებოდა, ის იქნებოდა მართლის მადიდებელი ეკლესია. მართლაც აშიმშილეს ძაღლები და სამი დღის შემდეგ, როდესაც მათ სეფისკვერები დაუდეს, ძაღლებმა პირი დასტაცეს სომხურ ეკლესიაში ნაკვეთი სეფისკვერს და შესანსლეს. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ნაკვეთი სეფისკვერს კი ახლოს არ გაეკარნენ.



ლალი ბასილაიშვილი

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელი გამარჯვება
(ყოფილი ყუზუნდარა)**

სოფელი გამარჯვება მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროს დასავლეთით და დაშორებულია 12 კილომეტრით. მასზე გადის ორი სახელმწიფო გზა და ერთი რკინიგზის ხაზი.

სოფელს შუაში ჩამოუდის საკმაოდ დიდი ხევი ე. წ. „უზუნდარა“, რაც სპარსული წარმოშობისაა და გრძელ ხევის ნიშნავს. ლევენდა კი მოგვითხრობს: „შემოსულ მტერს ადგილობრივები ისე მედგრად შეებრძოდნენ, რომ

ხევის აქეთ ფეხი არ დაადგმევინეს. გრძელი ხევის გადმოლახვა რომ ვერ შეძლეს, მტერი უკუიქცა“. ლევენდა კი დღემდე შემორჩა სოფელს.

საინტერესოა, უძველესი დროიდან სახლობდა თუ არა აქ მოსახლეობა? ისტორიამ შემოგვინახა ზოგიერთი ცნობა, რომელიც ამ კითხვას პასუხობს. ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 63 წ. – ახ. წ. 24 წ.) მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის საქართველოში მოგზაურობის შესახებ. აღწერს რა იბერიელთა წარმართულ სარწმუნოებას, საკულტო ტრადიციებს და დასძენს: „იბერიის ახლოს, ალაზნის და კამბისეს (კამბისის – მცირე ალაზანი, ანუ იორი, სახელწოდება მომდინარეობს ქიზიყ-შირაქის ძველი სახელის – კამბეჩოვანის – ბერძნული ტრანსკრიფციიდან – კამბისენე) საზღვართან მზის ტაძარი არსებობდაო“, მართლაც შირაქის ველზე მიწის ტრაქტორით დამუშავებისას იპოვეს ქალის ქვის ქანდაკება, რომელიც მზის ღვთაებას გამოხატავდა.

უძველეს წარსულში შირაქის ველი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. დასახლებისთვის ხელი უნდა შეეწყო საირიგაციო სისტემის შექმნას, რომლის ნაკვალევი ახლაც შეინიშნება. „დილიჩაში“ თხრილების გაჭრის დროს თიხის წყლის მილები აღმოაჩინეს. ვარაუდობენ, რომ წყალი შირაქის დასაწყისი მაღლობიდან „ქოჩებიდან“ ან „ნაზარლებიდან“ უნდა ყოფილიყო გამოყვანილი და

ერცელი ზეგნის მთელ სიგრძეზე მიედინებოდა. წყლის საკმარის დიდ რესურსებზე უნდა მიუთითებდეს დიდ შირაქში დღემდე შემორჩენილი ნაარხალების არსებობა და ტოპონიმიკაში ისეთი სახელწოდებების შემორჩენა, როგორც არის „დიდი რუი“ დიდი შირაქის სამხრეთ ნაწილში მთის ძირებზე.

უძველესი მოსახლეობის არსებობაზე სოფელ გამარჯვების ტერიტორიაზე მიუთითებს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი სამეურნეო, საომარი, საოჯახო იარაღები, ნაგებობათა ნაშთები; ელდერ გოგოჭურის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. I ათასწლეული) არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც მეტყველებენ, რომ უძველეს წარსულში აქ იყო საცხოვრისი (ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

1265 წელს საქართველოს ამ ტერიტორიაზე ერთმანეთს შეეჯახნენ ბერქა ოქროს ურდის ყაენი და ჰულაგუ აღმოსავლეთის ყაენი (ჰულაგუ ყაენის მონეტა დაცულია მუზეუმში).

ბერქა ყაენის 300 000-იანი არმიის შემოჭრამ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი და იორ-ალაზნის ქვემო წელი ისე ააოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავლობაში აქ მოსახლეობა ვეღარ მოშენდა. ხოლო ქალაქ ხორნაბუჯში სამოქალაქო ცხოვრება მას შემდეგ აღარ აღდგენილა. თუმცა როგორც სტრატეგიული ციხე-სიმაგრე, რომელიც სამხრეთ აღმოსავლეთით ასეულობით კილომეტრ სასაზღვრო პერიმეტრს აკონტროლებდა მუდმივად გამოიყენებოდა. ბოლოს ერეკლე მეფე იყენებდა ლეკიანობის წინააღმდეგ. ამ დროს, XIII საუკუნეში, განადგურდა ამ ციხის ახლო-მახლო სოფლები, მათ შორის დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობაც. ამ ფაქტის უტყვე მოწმეებად არის შემორჩენილი მაშინდელი საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ნივთები: იარაღები, ქვევრები, თონის ნამტვრევები, დანგრეული და მიტოვებული საცხოვრებელ სახლთა ნაშთები.

ახლანდელი სოფელი გამარჯვება იგივე „უზუნდარა“ შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს, გასული საუკუნის 30-იან წლებში. მანამდე ის ძირითად მირზაანელების საზაფხულო საცხოვრისს წარმოადგენდა. აქ იყო მარცვლელი კულტურების გასაღწი კალოები.


ლამაზი იყო სოფელი მირზაანი, მაგრამ ულამაზო და უღიმღამო იყო გლეხთა ცხოვრება. ამას ერთი გაჭირვებაც ემატებოდა, სოფლიდან ძალიან შორს ჰქონდათ სახნავ-სათესი ნაკვეთები. ეს აიძულებდა გლეხკაცს ზაფხულობით მინდვრის ახლოს მდებარე კალოებზე გადასახლებულიყო ცოლ-შვილით, აქედან მოსაგალი, დაებინაგებინა და შემოდგომით ისევ დაბრუნებოდა სოფელს, რაც ძალზე ართულებდა იმ გლეხთა მდგომარეობას, რომელთაც საკუთარი ტრანსპორტი არ ჰყავდათ. ასეთი უმწეო გლეხები მუდმივად საცხოვრებლად დარჩნენ ე. წ. კალოებზე, რამაც დასაბამი მისცა დღევანდელ სოფელ გამარჯვებას. ეს იყო XX საუკუნის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

სოფელ გამარჯვების-„უზუნდარის“ კოლმეურნეობა შეიქმნა 1929 წლის გაზაფხულზე. აქ ერთი თავისებურება იყო, სხვაგან ძველი გლეხური სოფლების ბაზაზე შეიქმნა კოლმეურნეობები, აქ პირიქით მოხდა, მირზაანელთა ყოფილ კალოებზე შეიქმნა ჯერ კოლმეურნეობა და მერე სოფელი.

პირველად ჩამოყალიბდა ორი გაერთიანება – ამხანაგობა „იმედი“, რომელსაც სანდრო ფიროსმანაშვილი ჩაუდგა სათავეში და „ხორბალი“, რომელსაც ილო პოპიაშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ ეს ჯგუფები გაერთიანდა ერთ კოლმეურნეობაში. მას სათავეში ედგა პარტიის (სკკპ) წევრობის კანდიდატი, ყოფილი მოჯამაგირე, ივანე იოსების ძე ფიროსმანაშვილი („წყალწყალა“), რომელიც შეუცვლელად ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე პერიოდში კოლმეურნეობის ავლა-დიდებას შეადგენდა 43 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. 100 სული ცხვარი, ცხენი, 250 ჰამიწა, საიდანაც მხოლოდ 50 ჰა-ს თესდნენ.

იზრდებოდა და იფურჩქნებოდა სოფელი „უზუნდარა“, მიუხედავად იმისა რომ მამაკაცთა 90 პროცენტი ომში იყო წასული (1941-1945 წლები, ომში გაწვეული იყო 200 კაცი, ვერ დაბრუნდა 92). მის წლებში სოფელ უზუნდარას ტრადიციისათვის არ უღალატია და ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, განსაკუთრებით მარცვლელის მოსაგლის საქმეში.

მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად და ზურგიდან ფრონტისთვის დიდი დახმარებისათვის 1946 წელს სოფელს ეწოდა „გამარჯვება“, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე იოსების ძე ფიროსმანაშვილმა უმა-



ივანე ფიროსმანაშვილი (წყალწყალა)

დღესი მთავარსარდლის სტალინის მადლობის წერილი მიიღო.

სოფელი თანდათან წინ მიდიოდა. აშენდა სკოლა, სამედიცინო პუნქტი, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი. პატარა სოფლის ქიზიყელ მოსახლეობას XX საუკუნის 50-იან წლებში მთიდან ჩამოსახლებული ხევსურები შემოუერთდნენ, რამაც სოფლის კიდევ უფრო გაძლიერებას შეუწყო ხელი.

1962 წლიდან სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს ივანე ალექსანდრეს ძე ფიროსმანაშვილი, რომელმაც აღმავლობის გზაზე წაიყვანა კოლმეურნეობა. 1968 წლიდან 1976 წლამდე ის სახალხო მიღწევათა გამოფენის უცვლელი მონაწილეა; ფართო ჩვენების, სადაც დაჯილდოვდა საპატიო დიპლომებით. 1970 წელს კოლმეურნეობას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის სახელი. გადაეცა დიპლომა და დროშა. 400-მდე კოლმეურნეს მინიჭებული ჰქონდა კომუნისტური შრომის დამკვერელი წოდება. 1972 წლის 7 დეკემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მინისტრთა საბჭომ, ჟდანოვის სახელობის გამარჯვების კოლმეურნეობა დააჯილდოვა „საიუბილეო საპატიო სიგელით, სსრკ 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მიღწევებისათვის“.

1973 წელს კოლმეურნეობა გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობისა და მემცენარეობაში და გადაცემული აქვს სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტროსა და პროფსაბჭოს ორი სამახსოვრო დროშა და ფულადი პრემია.

1976 წელს კოლმეურნეობა დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის ორდენით“.

1974 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ივანე ფიროსმანაშვილს დამსახურებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ეს ყველაფერი ფიზიკური და ეკონომიკური კუთხით აღმასვლას ნიშნავდა, მაგრამ სულიერება და ქრისტიანული რწმენა სრულიად იგნორირებული იყო. სოფელს ისტორიულად არ შემორჩენია ეკლესია, თუ არ ჩავთვლით სოფლის მიმდებარე ტყეში საკულტო დანიშნულების ეკლესიის ნანგრევებს, რომელსაც მოსახლეობა „ზღმურდლის“ სახელით მოიხსენიებს. იგი დათარიღებულია განვითარებული შუა საუკუნეებით – XIII-XIV სს.

დღეს წარსულს ჩაბარდა კომუნისტური მშენებლობა. ჩვენც თავისუფალი ვართ და აღმსარებლობაც თავისუფალია. ხალხი უფლის რწმენას დაუბრუნდა. სოფელ გამარჯვების ცენტრში, სკოლასთან, 2013 წლის ივნისში დაიწყო სამების სახელობის ტაძრის მშენებლობა. ამ საქმეს სათავეში ამ სოფლის მკვიდრი მამა იოანე, ერობაში ვასილ გვიშვილი ჩაუდგა. ის ამ სოფელში დაიბადა 1978



ივანე ფიროსმანაშვილი



სოფელ გამარჯვების ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძრის წინამძღვარი ილუმენი იოანე (გივიშვილი)

წლის 29 დეკემბერს. დედა – გულიკო ბაშარული დი-ასახლისი გახლდათ, მამა – დიმიტრი გივიშვილი, ომის

მონაწილე (1941-1945 წ.) და კოლმეურნეობის განთქმული მუშაკი. საშუალო სკოლა სოფელში დაამთავრა. შემდეგ ჩააბარა გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში. სწავლის დროს მოექცა სარწმუნოებაში და ღმერთი შეიყვარა. წარმატებით დაამთავრა სამხედრო აკადემიის სრული კურსი და დაინიშნა კოდის პირველი ქვეითი ბრიგადის ოფიცრად, იყო შტაბის უფროსი. უფლის შთაგონებით დატოვა სამსახური და ნეკრესის ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა. 13 წელი დაჰყო და იმოღვაწა ჯერ გრემის, ხოლო შემდეგ ნეკრესის მამათა მონასტერში. იქვე აღიკვეცა ბერად და გახდა ლომისციხის მონასტრის წინამძღვარი. ნეკრესში ყოფნისას დიდი წვლილი მიუძღვის ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში.

ღვთის ნებით და ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით 2013 წელს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში მშობლიურ სოფელ გამარჯვებას დაუბრუნდა და დიდწილად მისი დამსახურებაა, რომ დღეს სოფელს ამშვენებს სამების სახელობის სამნავიანი ბაზილიკა (ფოტო იხილეთ ყდის 1 გვერზე).

მარიანა პოპიაშვილი

რეზო ამაშუკელი

ბლიც-ინტერვიუ რეზო ამაშუკელის მეუღლესთან, თსუ-ს ინგლისური ენის ლექტორთან, ქალბატონ გულიკო ბეროძესთან

– სად გაიცანით ბატონი რეზო?
– პიონერთა სასახლესთან ტროლეიბუსის გაჩერებაზე. მე ვსწავლობდი ახლანდელ 51-ე სკოლაში, რეზო მოვიდა ჩვენს სკოლაში პრაქტიკაზე; იგი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი და გაკვეთილის მოსაყოლად მე გამომიძახა... ასე გავიცანით ერთმანეთი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გაუხდი, რეზო ყოველ შაბათს ლექსს მიტოვებდა... 61 წელი ერთად ვიცხოვრეთ, 62 წელი ვეღარ დაუასრულეთ.



– რას გაიხსენებდით ამ განვლილი წლებიდან?
– მოსიყვარულე ოჯახი გვქონდა, განსაკუთრებით უყ-



რეზო ამაშუკელი მეუღლესთან ერთად პარიზში

ვარდა შვილიშვილები და შვილთაშვილები. გვყავს ერთი შვილი ბაია ამაშუკელი, ორი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი. ყველაფრის დიდი დონით გაკეთება უყვარდა. ვინც რამეს სთხოვდა ყველას ეხმარებოდა, მათ შორის იმ ადამიანებსაც ვინც ტკივილი მიაყენა. გაჭირვების დროს წყენას იფიქრებდა და მათ გვერდით დგებოდა.

– რომელ ლექსს გამოარჩევდით მისი პეზიიდან?

– ასეთი ძალიან ბევრი ლექსია, ზოგიერთი მათგანი პირადად მე მომიძღვნა, მკითხველს შევთავაზებდი ლექსს „მარტოობა“:

გ. ბ. – ს

იმ დამეს თოვდა, თოვდა და თოვდა
და შენ გეძინა ყველაფრით დაღლილს,
გარშემო ცივი სინათლე კრთოდა
და იესებოდა სიჩუმით სახლი.
ვხედავდი ჩემს ლანდს საწოლთან დახრილს
და ჩრდილი დახრილ კედელზე თრთოდა,
შენ კი გეძინა ყველაფრით დაღლილს,
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა
და შენი განი გრძელი და თხელი
მკვეთრი ხაზებით მოჩანდა ბნელში

და შენი ხელი, გამხდარი ხელი,
მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელში,
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...

ბოლო სამი ლექსის დაწერა ვეღარ მოასწრო და ზეცაში წაიღო.

– როგორ ვგუბით უიმისობას?

– რეზოს ყოველ დღით ვესალმები, სურათს ველაპარაკები; სადამოთი ვემშვიდობები. ის სულ ჩემს გვერდით არის. ამ სახლში იმდენი ლამაზი დღეები მანსოვს; ზეიმი იყო ჩვენთან ირაკლი აბაშიძის და მისი თანამედროვეების სტუმრობა... გულდასაწყვეტია, რომ აღარ არიან გოგლა ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, თუმცა ცხოვრება გრძელდება და მოდის ახალი თაობა.

მკითხველს კიდევ ერთ ლექსს შევთავაზებ:

კახეთში

გ.ბ.-ს

ცა წყნარად ღუის საყვარელ ფერში
მწიფე და მძიმე ატმის ტოტებით,

ახლა მზე ჩადის შორეულ მთებში
 და უსათუოდ შენ მაგონდები!
 დალურჯებული ტუჩები ღვინით
 ჩუმი კონიან ჯამებს ცარიელს
 და დალოცვილი კახური ღვინი
 მიჰყვება კახურ მრავალჯამიერს.
 თამადა ახალ სიყვარულს გეაწვდის,
 დგას დაბალ დვირში როხროხი კაცთა;
 ვიუარე და ვეება ყანწი
 დამიზნებული თოფივით ამცდა.
 მოდის სიმთვრალე, თან ეს ოხერი
 შავი მტვენები რარიე მენება!..
 შემომახტება, როგორც ფოცხვერი
 დარდიან გულზე შენი ხსენება.
 ო, როგორ მინდა ამ გაშლილ სუფრას
 ყელმოღერილი აქაც შევნოდე,
 შეიფერებდი ყველაზე უფრო
 ამ უდარებელ კახურ შემოდგეს.
 დალურჯებული ტუჩები ღვინით
 ჩუმი კონიან ჯამებს ცარიელს
 და დალოცვილი კახური ღვინი
 მიჰყვება კახურ მრავალჯამიერს...


**კომენტარი ვთხოვე რეზო ამაშუკელის მეუღლის გუ-
 ლიკო ბეროდის უახლოეს მეგობარს და კოლეგას, ისუ-ს
 პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
 აკადემიის აკადემიკოსს ინესა მერაბიშვილს:**

რეზო ამაშუკელზე დაუსრულებლად შეიძლება საუ-
 ბარი; მისი გარდაცვალება იმდენად განვიცადე, რომ მეორე
 დღესვე ლექსი მივუძღვენი:

ქართული დილა შენი ლექსით კვლავ გათენდება

რეზო ამაშუკელს

ამ კაცის მკერდში კი არ ძგერდა გული, – ელაგდა!
 გრძნეულ რითმებით თვალს მოსჭრიდა პარნასს, ელადას!
 მას წინაპართა წმინდა ხსოვნა ფიცად ებარა,
 ის საქართველოს სინდის-ნამუსს გადაეფარა!
 ამოაფრქვევდა ხოლმე ლავას, ვითარც ვულკანი,
 ვერ ეტეოდა კაცში განცდა, ბედი მუხთალი!
 თეთრ ანგელოსებს მისი ცათა მისვლა უხარით,
 მის მართალ სიტყვას დღეს აკურთხებს თავად უფალი.
 სამშობლოს მიწას მოგაყრიან როცა ბელტებად,
 აგიზგიზდება ცხელი გული, არ დანებდება,
 რადგან მისი ხმა გაიგონეს უკვე ღმერთებმა!
 ქართული დილა შენი ლექსით კვლავ გათენდება.



რეზო ამაშუკელი მეუღლესთან ერთად იერუსალიმში



ნანა ჯიჟინაძე

თემურ ჩხეიძე –
კარი, რომელიც ყველას უყვარდა

გამოჩენილი ქართველი რეჟისორი – თემურ ნოდარის ძე ჩხეიძე 2022 წლის 5 ივნისს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თემურ ჩხეიძე დაიბადა 1943 წლის 18 ნოემბერს თბილისში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში იგი გახლდათ ზუგდიდის დრამატული თეატრის, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის, რუსთაველის თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი, საქართველოს სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის პედაგოგი.

რუსეთის უდიდესი ტრადიციების სანქტ პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის დასის თხოვნით ტოვებულ ნოვოვოლკის გარდაცვალების შემდეგ თემურ ჩხეიძე ოციოდე წელი ხელმძღვანელობდა ამ თეატრს, 1997 წელს დაიმსახურა სანქტ პეტერბურგის უმაღლესი თეატრალური პრემია „ოქროს სოფიტი“ რეჟისორის საუკეთესო ნამუშევარი, ჟან ანუის „ანტიგონეს“ დადგმისთვის, იგი გახლავთ ასევე რუსთაველის, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის საქართველოს თეატრალური პრემიის „ოქროს ნიდაბი“ ლაურეატი. მას დადგმული აქვს 80-მდე დრამატული, საოპერო (მეტროპოლიტენ ოპერაში) და სატელევიზიო სპექტაკლი. 2013 წელს თემურ ჩხეიძემ დაიმსახურა ილიას მედალი(მარად

და ყველგან საქართველო, მე ვარ შენთანა) ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

მისი მოულოდნელი გარდაცვალებით თითქმის დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა თეატრალურ სამყაროში.

9 ივნისს, ხუთშაბათს, მარჯანიშვილის თეატრში ზღვა ხალხმა მიაგო პატივი მის ხსოვნას.

ფოიეში თემურ ჩხეიძის პორტრეტები იყო წარმოდგენილი. თეატრის სცენაზე სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანზე უწყვეტად გადიოდა კადრები თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან და ასევე მისი ცხოვრებისა შემოქმედების ამსახველი ფოტომასალა. სამგლოვიარო ცერემონიას უძღვებოდა რეჟისორი დიმიტრი ღვთისიაშვილი, მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი კოლეგები, მათ შორის სანქტ პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე ირინე შამბარევიჩი და ცნობილი მსახიობის კირილ ლავროვის ქალიშვილი – მაშა ლავროვა. თითოეულმა გამოძვლელმა ვრცლად ისაუბრა თემურ ჩხეიძის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით აღნიშნეს მისი როგორც პიროვნების და მოქალაქის როლი ქვეყნისა და ერის წინაშე, მისი უდიდესი ღვაწლი ახალგაზრდა სტუდენტების აღზრდის საქმეში...

ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე გამოასვენეს XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანთა, რეჟისორთა ხუთეულში, გამოვლენილი თემურ ჩხეიძე (ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ 2022 წლის მარტის, მე-12 ნომერში დაიბეჭდა ვრცელია მასალა: „XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვანებთან შეხვედრა“, სამწუხაროდ ბატონი თემური ვერ ესწრებოდ ამ შეხვედრას, რადგან ლექცია ჰქონდა. მე ტელეფონით ვესაუბრე შეხვედრის შესახებ და ვუთხარი, – ამ ღონისძიების წამყვანი, ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავა, გადმოგიგზავნით ვიდეო კოლაჟს მეთქი. სამი დღის შემდეგ მისგან მივიღე მესიჯი: „ჩათვალე, რომ მაგ შეხვედრას ვესწრებოდი. საუკეთესო სურვილებით და ღრმა პატივისცემით თემურ ჩხეიძე“).

ბატონი თემურის გარდაცვალების დღეებში ბევრი დაიწერა და შემდგომშიც ბევრი დიწერება მის შესახებ...

საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი: „ბატონი თემურის უნიკალური ხელწერით შექმნილი, ღრმა ჰუმანიზმით გამსჭვალული სპექტაკლები მაყურებელთა არაერთმა თაობამ შეიყვარა და მსოფლიო თეატრალურ საგანბურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. იგი გამორჩეულ ფიგურად დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში...“


რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა: „თემო ჩხეიძე! დიდი ქართველი რეჟისორი! რუსთაველის თეატრის ცნობილი მსახიობების მედია ჩახავასა და ნოდარ ჩხეიძის საყვარელი ვაჟიშვილი! ნიჭიერმა ახალგაზრდამ, მიხეილ თუმანიშვილის ერთგულმა მოწაფემ, რუსთაველის თეატრში აიღვა ფეხი. გადის დრო და ხალხის უსაყვარლესი პიროვნება მარჯანიშვილის თეატრის სათავეში გვევლინება და აი, სანქტ პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის დასის თხოვნით, დიდი ტოვსტონოგოვის სიკვდილის შემდეგ, თემო ჩხეიძე 20 წელი ხელმძღვანელობს ამ თეატრს.“

ინგრევა ბოროტების იმპერია, რეჟისორი ტოვებს რუსეთს და კვლავ სამშობლოში ბრუნდება...

და აი, მოულოდნელად მიგვატოვა დიდმა ოსტატმა!

ქართული თეატრი მიატოვა და გული მოგვიკლა!

ახლა ვხვდებით, რომ თეატრის ერთგულმა რაინდმა დააობლა ჩვენი ხელოვნება“.



კომენტარი ვთხოვე ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს და ერთგულ მაყურებლებს:

რეზო ტაკიძე – თბილისი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: ბატონი თემურ ჩხეიძე რომ დიდი რეჟისორია, საყოველთაოდ ცნობილია და აღიარებული. „გუშინდელნი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ჰაკი აბა“, „ასი წლის წინათ“, „არტ ხელოვნება“ და სხვა მრავალი მის მიერ დადგმული სპექტაკლი გვიდასტურებს ამ ჭეშმარიტებას. მისი შემოქმედების გარეშე ქართული თეატრის ისტორია წარმოუდგენელია.

ბატონ თემურს ჰქონდა განუმეურებელი ყველასგან განსხვავებული ფაქიზი და რაფინირებული რეჟისორული ხელწერა, რომლის ქვაკუთხედადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ სპექტაკლის გმირთა სულის ლაბირინთებში შეღწევისა და უმცირესი დეტალების აღმოჩენის უნარი. მაყურებელი თავიდანვე ექცეოდა რეჟისორული ჩანაფიქრის ბედნიერ ტყვეობაში და თითქოს თავადაც ხდებოდა სპექტაკლის მონაწილე. შეუძლებელი იყო ამ სპექტაკლების გულგრილად ან ანალიტიკოსის თვალთ ცქერა. დიდი მადლობა ბატონ თემურს ამ დაუვიწყარი წუთებისათვის...

ბატონი თემური ვალდობდილია თავისი სამშობლოს და იმ რთული ეპოქის წინაშე, რომელშიც მას ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია. თავისი დიდი საზოგადო მოღვაწეობით, შემოქმედებითა და უაღრესად საჭირო პედაგოგიური ღვაწლით მან შექმნა და სამუდამოდ მოსაგონებლად

დაგვიტოვა სახე დიდი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწისა, რომელიც სრულიად განსხვავებულია ყველასგან, მაგრამ სავსეა იმ ჭეშმარიტად მაღალი ადამიანური და ზნეობრივი თვისებებით, რითაც ასე გამორჩეული იყო მე-19 საუკუნის ჩვენი დიდი ქართული ინტელიგენცია. ვფიქრობ ბატონი თემური სულიერად სწორედ ამ ხაზის გამგრძელებელი გახლდათ...

ნანა ბროძელი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი: თემურ ჩხეიძე ჩემთვის ცოცხალი რუსთველი იყო, რომლის სპექტაკლებში იმდენივე სიბრძნე იფრქვეოდა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებში.

ინესა მერაბიშვილი – თსუ-ს პროფესორი, აკადემიკოსი: გარდა იმისა, რომ თემურ ჩხეიძე იყო დიდი რეჟისორი, ის იყო კოლორიტი და ყველასათვის გამორჩეულად ძვირფასი და საყვარელი პიროვნება. იმედს ვიტოვებ მის მიერ შექმნილი თეატრალური სკოლა, კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს.

ნათელა ვაჩნაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი: თემურის დაკრძალვაზე რომ ვიყავი მარჯანიშვილის თეატრში, იმდენად განვიცადე, რომ შინ როგორც დაბრუნდი, იმის შემდეგ ლოგინად ვარ ჩავარდნილი. მეტი რაღა კომენტარი უნდა გითხრათ?!

ქეთი ჩხეიძე – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი: თემურ ჩხეიძეზე იმდენი რამე ითქვა და დაიწერა, რაღა უნდა დავამატო? თითქოს სამყარო დაცარიელდა; თითუბზე

ჩამოსათვლელები დაგვრჩნენ ასეთი ხელოვნები: რობერტ სტურუა, ელდარ შენგელაია, მერაბ კოკჩიაშვილი...

გოგი ალექსი-მესხიშვილი – მხატვარი: მე და თემური მთელი ცხოვრება ერთად ვიყავით. გამორჩეული პიროვნება იყო თავისი ხელწერით, ფანტასტიკური პედაგოგი, არავისი არაფერი არ შურდა; სამწუხაროდ უდროოდ გამოგვეცალნენ ხელიდან თემურ ჩხეიძე, ლექსო თორაძე, კახი კავსაძე, ანზორ ერქომაიშვილი, რუხო ამაშუკელი... ამ სიცარიელის შვესებას საუკუნეებიც არ ეყოფა,

ლია გამხარაშვილი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ მოლარე (ერთგული მაყურებელი): ბატონი თემურ, თქვენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ დამზაფრა... მუხთალია ეს წუთისოფელი. ვინ იფიქრებდა ღმერთივით კაცს მსახვრალი, დაუნდობელი, მოუსყიდველი სიკვდილის ცელი ასე უდროოდ გამოგასალმებდათ ამ წუთისოფელს. თქვენი ნიჭის თავყანისმცემლებს არასოდეს დაგვაიწყებდა რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში თქვენს მიერ დადგმული სპექტაკლები, ქართულ მხატვრულ ფილმში „რაიკომის მდივანი – მშობლიური ჩემო მიწა“, რაიკომის მდივნის გიორგი თორელის შთამბეჭდავი სახე...

კახა კალაძე – თბილისის მერი, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გემოვნებიანი მამაკაცი“: თემურ ჩხეიძე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მხოლოდ სიკეთე დატოვა და უკვდავი სახელი, რომელმაც თეატრსა და კინოში ეპოქა შექმნა.

ირაკლი ბათიაშვილი – ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, თსუ-ს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გემოვნებიანი მამაკაცი“: თემურ ჩხეიძის შემოქმედება მთელი ეპოქაა, ხოლო ის თავად კაცი, რომელიც ყველას უყვარდა.

გოგი ჭიჭინაძე – დირიჟორი, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გემოვნებიანი მამაკაცი“: თემურ ჩხეიძე განგებამ არა მარტო ნიჭით, საოცარი ოჯახითაც დააჯილდოვა, თავადაც თვლიდა, რომ ამით ბედმა გაანებვრა; ბატონ თემურზე იმდენი კარგი რამ ითქვა და დაიწერა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, რომ ვერაფერს დავამატებ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, სულ უფრო ცოტადღებინ თემურისნაირი სანუკვარი ადამიანები.

ლია მარტყოფიშვილი – დედოფლისწყაროს ტელევიზიის დამფუძნებელი, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გემოვნებიანი მამაკაცი“: ქართული თეატრი და მის მიერ შექმნილი თეატრალური სკოლა მის

გარეშე დაობლდა, მთელი მისი შემოქმედება დღევანდელ ყოფას ჭეშმარიტად ენმაურება. მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ამირან ქისტაური – პროფესიონალი მძღოლი, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გემოვნებიანი მამაკაცი“: ჩემი პროფესიიდან გამომდინარე მქონდა ბედნიერება მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძის სპექტაკლებს ხშირად დაუსწრებოდი და თითოეული მათგანი რამოდენიმეჯერ მენახა; ყოველი სპექტაკლის ნახვისას ვგრძნობდი, რომ სულიერად ვმდიდრდებოდი. ამაში იყო სწორედ მისი დიდი რეჟისორული გენია; ახლა კი მისი არ ყოფნის გამო სიცარიელეს ვგრძნობ.

გოჩა კაპანაძე – რეჟისორი: თემურ ჩხეიძე გენიალური რეჟისორი იყო. თითოეულ ჩვენგანზე ათი თავით მაღლა იდგა.

ნიკოლოზ ბენიაიძე – საქართველოს მერძვევთა ასოციაციის თავმჯდომარე: თემურ ჩხეიძის გარდაცვალებით ქართულ თეატრალურ სამყაროში თითქმის დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა, რომელიც არასოდეს განმეორდება, რადგან თემურ ჩხეიძე განუმეორებელია.

თეა წულუკიანი – საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი: დიდი თემურ ჩხეიძე დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ, განუზომელი დანაკლისია; ამის შესახებ ბევრი ითქმება და დაიწერება...

პირადად მე კი ერთ პატარა სასიამოვნო ამბავს გავიხსენებდი: ერთხელ მარჯანიშვილის თეატრთან დამხვდნენ ჩემი ალალი დეიდაშვილის დარეჯან გომელაურის ერთადერთი ვაჟიშვილის კახა ჯალიაშვილის (რომელიც ამჟამად დედოფლისწყაროს ცნობილი დერმატო-ვენეროლოგია) თანაკლასელები და თანაკურსელები, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები: გოჩა ტუხაშვილი, კობა ნატროშვილი და გია ობოლაშვილი; „ჯაყოს ხიზნებზე“ ვერ ვშოულობთ ბილეთებს და იქნებ თქვენ დაგვემართო. ბატონი თემურის კაბინეტში შევედი... ახლაც თვალწინ მიდგას მისი მომღიმარე სახე, სამი მოსაწვევი ბარათი გამომიწოდა და დასძინა: „აი, გაახარე შენი ახალგაზრდა თანამემამულეები“.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ იგი იყო უაღრესად თავმდაბალი, ყურადღებიანი, ალალ-მართალი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული პიროვნება. ნებისმიერ დროს რომ დამერეკა მისი მობილური ტელეფონის ნომერზე, აუცილებლად მიპასუხებდა; თუ არ ეცალა, იმ დროს მეტყოდა – მე თვითონ ვადმოგირეკავო. ახლაც მესმის ყურში მისი უჩვეულოდ მომხიბლავი ხმის ტემბრი: „თემური ვარ, გისმენთ ყურადღებით!“

ლის მისურაძე-გონაშვილის



მე, ლია მისურაძე, დავიბადე აფხაზეთში. მამა კახეთიდან თელავის რ-ნ. სოფ. წინანდლიდან იყო. განათლებით საგზაო ინჟინერი, გაანაწილეს სოხუმის საგზაო დეპარტამენტში... იქ გაიცნო დედა, რომელიც ბუღალტრად მუშაობდა. დაქორწინდნენ და საცხოვრებლად გადავიდნენ გუდაუთაში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. საშუალო სკოლაც გუდაუთაში დაავამთავრე.

გვქონდა კერძო ძალიან ლამაზი სახლი, ეზო, მანდარინის ბაღი, ვენახი ეზოში, ხილი და დიდი მიმოზის ხე. მქონდა ლალი ბავშვობა და სტუდენტობა. რაც ასაკი მემატება, მენატრება ჩემი ბავშვობის სახლი, რომელიც დარჩა იქ, შორეულ აფხაზეთში...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით. სწავლის დამთავრების შემდეგ გამანაწილეს ტახომეტრის კვლევით ინსტიტუტში ინჟინრად. მუშაობის პერიოდში ჩავაბარე ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში. სწავლის პერიოდში შევხვდი და გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე - ვაჟა გონაშვილი. შევქმენით ოჯახი და საცხოვრებლად არბოშიკში გადამოვედით.

დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. მთელი ახალგაზრდული დრო მოვანდომე შვილების აღზრდას. მყავს ორი შვილი: მერი და გურამ გონაშვილი, ორივე დაოჯახებული და წარმატებული...

რაც შეეხება ქარგვას, უკვე მეოთხე წელია ვქარგავ. სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემში ეს მისწრაფება, თუ გატაცება... საერთოდ ასეთი ვარ, ყოველთვის, რასაც ვაკეთებდი, ბოლომდის ვიხარჯებოდი და გამომდიოდა კიდევ. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა, უკმარისობის განცდა მქონდა და ეს რაღაც ქარგვა ყოფილა, რომელსაც მივაგენი და ვიპოვე ჩემი თავი. ქედს ვიხრი უფლის წინაშე და მადლიერი ვარ ამ დიდი საჩუქრისათვის, ქარგვის სამყაროსთან დაახლოებისათვის, რომელსაც სულიერი სიმშვიდე და ნეტარება მოაქვს ჩემთვის.

პირველად გაჩნდა ფიქრი, თავში აირია უამრავი რამ, მერე დალაგდა, დაკონკრეტდა, შევიძინე უამრავი ფერადი მულინეს ძაფი, საქარგავი ინვენტარი და დავიწყე... ტექნიკა თანდათან იხვეწებოდა...

ვქარგავ ერთი წვერი ძაფით, ჩემს ტექნიკას ქვია:

„მხატვრული ქარგვა“, ანუ ხატვა ნემსით და ძაფით, რომელიც არც თუ ისე მარტივია.

მუშაობის პროცესში სრულიად სხვა ადამიანად გარდავიქმნები, ყველა ყველაფერი გვერდზე დგება, მხოლოდ მე და ჩემი სამუშაო სამყარო, ფერად ძაფებში ნემსი და ჩემი ხელი. ხან ისეც ხდება, რომ ოჯახში საქმეა გასაკეთებელი და ფიქრით ქარგვის პროცესია თავში, ნეტა განახათ, რა ხდება ამ დროს... ჩქარა და უხარისხოდ ვაკეთებ საქმეს, მეჩქარება, რათა დაგვადე და ვქარგო. როგორც კი ვუბრუნდები შემოქმედებით პროცესს, მაშინვე ვმშვიდდები. ამ დროს მაქვს სრული თავისუფლება. ხელები მიდის იქით, საითაც ტვინი კარნახობს. შემიძლია დღეში ხუთი-ექვსი საათი ვქარგო. პროცესი არის ნელი, რადგანაც ერთი წვერი ძაფით უნდა გამოვიდეს ის, რაც გამომდის. ზოგ ნაქარგს მთელი ერთი წელიც კი დასჭირდება. იდეები უამრავია, ხშირად მიფიქრია: მეყოფა კი ჩემი დარჩენილი ცხოვრება, ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მადლობა უფალს, რომ მაპოვნინა ჩემი თავი და ეს ფერადი გზა მაჩვენა. მიყვარს ყველა ჩემი ნაქარგი: ვერც გავყვდი და ვერც გავაჩუქებ, რადგანაც ისინი შვილებით მიყვარს. მათში მთელი სიყვარული მაქვს ჩაქსოვილი და მომავალში შვილებს დაუტოვებ სამახსოვროდ.

ვოცნებობ ჩემს აფხაზეთზე, ჩემი სახლის კიბიდან ულამაზესი ხედი იშლებოდა. ჩემი სახლის წინ შორს, მთები იყო, უკან ახლოს ზღვა. საოცარ ადგილზე ვცხოვრობდი და გავიზარდე. მენატრება ის ჩემი გუდაუთის ზღვა, მთა, ზღვის ტალღები. აბობოქრებულ ზღვას მოვქარგავ აუცილებლად. ძირითადად პეიჟაჟებია ჩემი მუშაობის თემა. ვოცნებობ ჩემი ოჯახი წავიყვანო გუდაუთაში და ვუთხრა მათ:

ამ ლამაზ კუთხეში დავიბადე!

ჩვენ დაგბრუნდებით!


აფხაზეთი საქართველოა!




ვერბაჟი




ქაფი ვერაჟი



რეჟი ტყვალთი ღანახელი „ვილი“



რეჟი



რანდვილი

შემოქმედებ მთავილი ჰოჩანი



ISSN 2346-822X
9 772346 822004 >